


796(09)
D-156

გურამ მაგანია



ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის
ინსტიტუტი

შეჯიშ

გულა



თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი 2004

გურამ ძაგანია

ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის
ისტორია

სსიპ-შიფრე რუსთაველა
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკა
№ 1103-



თბილისის უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი 2004

წინამდებარე სახელმძღვანელოში დოკუმენტურ და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია უხსოვარი დროიდან დღემდე. წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა ფიზიკურ აღზრდას ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით საბერძნეთსა და რომში. გარკვეული სიახლეა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორიის გაშუქებაში, სადაც დეტალურად არის განხილული ჩვენი ქვეყნის სპორტის საკითხები უძველესი დროიდან.

წიგნი განკუთვნილია სპეციალური უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების სტუდენტებისათვის და სპორტის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ჯუანშერ ხალდასტანიშვილი

რეცენზენტები: ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მერაბ მირცხულავა
პედაგოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. ლელა აფციაური

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

წინასიტყვაობა5

თავი I. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მსოფლიო ისტორია7

1.1. ფიზიკური აღზრდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში7

1.2. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ძველ საბერძნეთში9

1.3. ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში.....11

1.4. ფიზიკური აღზრდა ძველ რომში.....19

თავი II. ფიზიკური აღზრდა შუა საუკუნეებში.....22

2.1. ევროპა22

2.2. შუა საუკუნეების აზია, აფრიკა და ამერიკა...24

2.3. ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური იდეების განვითარება აღორძინების ეპოქაში.....27

2.4. მივიწყებული ოლიმპიური ტრადიციების აღორძინება30

თავი III. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ახალ დროში.....32

3.1. ტანვარჯიშული სისტემები36

3.2. სპორტული და სათამაშო სისტემები.....41

3.3. საერთაშორისო სპორტული მოძრაობის განვითარება, ოლიმპიური თამაშების აღორძინება.....43

თავი IV. ფიზიკური აღზრდა და სპორტი უახლეს პერიოდში.....60

4.1. გერმანია, იტალია, აპონია60

4.2. აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, სკანდინავია და სხვა ქვეყნები.....64

4.3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.....69

4.4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ყოფილი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.....74

თავი V. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია.....81

5.1. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ძველ დროში.....	77
5.2. ფიზიკური აღზრდა და სპორტი შუასაუკუნეების საქართველოში.....	80
5.3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი საქართველოს რუსეთის იმპერიაში ყოფნის პერიოდში (1801-1918 წწ.)	83
5.4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921).....	88
5.5. ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბჭოთა საქართველოში მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941 წწ.).....	100
5.6. ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბჭოთა საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დამ- თავრებიდან სსრ კავშირის დაშლამდე.....	106
5.7. ფიზიკური აღზრდა და სპორტი დამოუკი- დელობის მეორედ მოპოვების შემდეგ (1992 წლიდან).....	113
თავი VII. ოლიმპიური მოძრაობა საქართველოში.....	118
7.1. საქართველოს სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე	131
თავი VIII. საერთაშორისო და საქართველოს სპორტული ფედერაციები.....	134

წინასიტყვაობა

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია საერთო ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი ისტორიული და პედაგოგიური ცოდნის სპეციფიკური დარგია და სპორტული მეცნიერების ჰუმანიტარული განათლების საფუძველს წარმოადგენს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია სამოქალაქო, სამხედრო, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, პედაგოგიკის, მედიცინისა და კულტურის ისტორიებთან. მისი უპირველესი მიზანია ადამიანთა საზოგადოების არსებობის სხვადასხვა ეტაპებზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აღმოცენების, ჩამოყალიბებისა და განვითარების საერთო კანონზომიერების შესწავლა.

რთული და წინააღმდეგობებით სავსეა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, როგორც თვით კაცობრიობის მატინანე. ამოუწურავია მის სახეობათა და საშუალებათა სიღრმე და ძალა. აქედან გამომდინარე, დიდია საჭიროება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის რაობის და მისი ისტორიის ცოდნისა.

სპორტის არსებობის მანძილზე დაგროვდა საინტერესო მასალა, რაც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ გზის შესახებ, რომელიც გავლილ იქნა განვითარების დაბალი საფეხურიდან თანამედროვე დონემდე.

დღეისათვის მსოფლიოში გამოცემულია უამრავი ლიტერატურა, რომელშიც განხილულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სხვადასხვა ისტორიული ასპექტები. შრომები ეძღვნება როგორც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ისე უძველესი და თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ცალკეული სპორტის სახეების განვითარებას.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სპორტის ისტორიის შესწავლის საქმეში ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა სპორტულმა მეცნიერებმა მიხეილ გორგაძემ, ვასილ ელაშვილმა და ავთანდილ ციბაძემ. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ავთანდილ ციბაძის მრავალწლიანი დაუღალავი შრომა, რომელმაც თითქმის 250 სამეცნიერო შრომა და

მრავალი მონოგრაფია მიექდვნა სპორტის ისტორიის პრობლემებს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, ისე როგორც ისტორია ზოგადად, საერთო კანონზომიერებებს ემორჩილება და მისი განვითარება უკავშირდება გარკვეულ ისტორიულ პერიოდებს. სულ გამოყოფენ ოთხ ძირითად პერიოდს: 1. ძველი დრო, რომელიც იწყება ადამიანთა საზოგადოების ჩანასახის გაჩენიდან და მთავრდება ჩვენი წელთაღრიცხვით V საუკუნეში. 2. შუა საუკუნეები VI-XVII ასწლეულებით შემოიფარგლება. 3. ახალი დრო, რომელიც იწყება ინგლისში ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებიდან (1649 წლიდან) და 1914 წლამდე გრძელდება. 4. უახლესი დრო იწყება 1918 წლიდან (პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ).

თავი I. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მსოფლიო ისტორია

წარსულის იმ პერიოდამდე მიდის, როდესაც ადამიანის ფიზიკური და გონებრივი მოღვაწეობა მხოლოდ საარსებო საშუალებების მოპოვებისაკენ იყო მიმართული. მკაცრ ბუნებასთან თავგამოდებული ბრძოლა, სპეციალური საბრძოლო იარაღის გარეშე, ადამიანისაგან განსაკუთრებულ ფიზიკურ ძალას, ამტანობას, სიმარჯვეს და გამბედაობას მოითხოვდა. ყოველივე ამის დაუფლება და განმტკიცება კი მას მხოლოდ შრომისა და თავდაცვის პირობებში შეეძლო.

კაცობრიობის განვითარების შემდგომ საფეხურზე, როდესაც ადამიანმა ისწავლა ცეცხლის მოპოვება და იარაღის დამზადება, ბუნებრივია, შეიცვალა არსებობისათვის ბრძოლის ხერხებიც. საჭირო გახდა ახალი უნარ-ჩვევების შექმნა, რაც სპეციალურ მომზადებას მოითხოვდა.

ჯერ კიდევ პირველყოფილ თემურ წყობილებაში თანდათან ეყრებოდა საფუძველი სხვადასხვაგვარ მასობრივ თამაშებს, რომლებშიც გარკვეულწილად შეჯიბრების ელემენტებიც შეიმჩნეოდა. ამ პერიოდში ფიზიკური ვარჯიშები მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომით პროცესთან.

თუ პირველყოფილ წყობილებაში ფიზიკურ აღზრდას არ გააჩნია კლასობრივი ხასიათი და იგი მისაწვდომი იყო ყველასთვის, კლასთა ჩასახვისთანავე ფიზიკურმა აღზრდამ დაკარგა საზოგადოებრივი ხასიათი და მმართველი კლასების ბატონობის განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად იარაღად იქცა.

1.1. ფიზიკური აღზრდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში

ფიზიკური აღზრდის პირველი კვალი ცნობილია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV ათასწლეულში.

უძველეს მესოპოტამიას სამართლიანად მიიჩნევენ კაცობრიობისა და ცივილიზაციის აკვნად. „ისტორია დაწყო

„შუმერებისაგან“ - ამტკიცებს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი სემუელ კრამერი. პირველად აქ დაიწიეს მარცვლეულის მოყვანა, საქონლის მომრავლება, მეტალის დამუშავება. ამ რეგიონში ისწავლა ხალხმა თიხისაგან და ხისაგან მუდმივი საცხოვრებელი სახლების აშენება. პირველად აქ სახელმწიფო ორგანიზაციების სამსახურში ხელოვნება, დამწერლობა, კალენდარი და ფიზიკური აღზრდა იქნა ჩაყენებული. იმ დროიდან მოყოლებული, თითქმის ნახევარი ათასწლეულის მანძილზე, მესოპოტამია იყო მსოფლიოს მთავარი კულტურული ცენტრი. შუმერების კულტურა გადაიღეს და გააგრძელეს ასურეთმა, ბაბილონმა, ეგვიპტემ, სპარსეთმა, რომმა, საბერძნეთმა. ეს ის ქვეყნებია, რომელთა ძლიერება და სიმდიდრე ჯარის ძლევამოსილებაზე იყო დაფუძნებული, სადაც დიდი ყურადღება ექცეოდა სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას. ასურელები და ბაბილონელები ძველთაგან გათქმული მეომრები იყვნენ და რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, ამ ქვეყნებში ფიზიკურ ვარჯიშებს სამკურნალო მიზნებითაც იყენებდნენ. სპარსეთში მიზნად ისახავდნენ ისეთი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც უნდა სცოდნოდათ ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, შუბის ტყორცნა და ჭიდაობა. მათი ვაჟკაცობის გამოცდა ეწყობოდა სპეციალურად მოწყობილ ნადირობაზე. ეგვიპტეში აღმოჩენილი ხუთი ათასი წლის ისტორიის მქონე სამარხების - აკლდამების ქვებზე - გამოსახულია შუბისა და ისრის ტყორცნა, ფარიკაობა, ჭიდაობა, ცეკვა. დაახლოებით მესამე ათასწლეულს (ძველი წელთაღრიცხვით) განეკუთვნება წერილობითი წყაროები ჩინეთში ფიზიკური ვარჯიშების შესახებ. 2698 წლით (ძვ. წ. აღ.) არის დათარიღებული წიგნი, რომელ-საც „კუნფუ“ ერქვა. მასში მითითებულია თავისუფალი და სუნთქვითი ვარჯიშების გამოყენებაზე როგორც გამაჯანსაღებელი, ასევე სამკურნალო მიზნით. გარდა ამისა ჩინეთში გავრცელებული იყო მშვილდოსნობა, ფარიკაობა, ჭიდაობა და ბურთაობა, რომელსაც „ჩჟუ-კუ“ ერქვა და მას თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ წინაპრად მიიჩნევენ. ინდოელებს საკმაოდ მაღალ დონეზე ჰქონდათ განვითარებული ფარიკაობა, სამკურნალო ტანვარჯიში და მასაჟი. უძველესი დროიდან გავრცელებული იყო იოგების

...არაქმიანი ძველი ინდოეთში მრავალი ვარჯიში საკულტო ცერემონიებების შემადგენელი ნაწილი იყო. ინდოეთი ითვლება ჭადრაკის სამშობლოდ. ჩატურანგა - ჭადრაკის წინამორბედი, ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან არის ცნობილი.

1.2. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ძველ საბერძნეთში

ბერძნული კულტურის აყვავების ხანაში ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ცივილიზაციის ცენტრი ანტიკურ საბერძნეთში გადმოდის. დიადი ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“ ერთადერთი დოკუმენტური წყაროა გამოყენებული ძველი წელთაღრიცხვის XII-VII საუკუნეების საბერძნეთის საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად. ამ პერიოდის სამეურნეო ცხოვრება ეყრდნობოდა საკმაოდ განვითარებულ მიწათმოქმედებას და მეჯოგეობას, ამავე დროს ვითარდება ხელოსნობა, სააღმშენებლო და საზღვაო საქმე, სამეურნეო ტექნიკა. როგორც ჰომეროსის პოემიდან ჩანს, თავის ძალ-ღონეს გმირები არა მარტო ომში ამკლავებდნენ, არამედ ასპარეზობებში, რომლებიც ხშირად იმართებოდა ძველ საბერძნეთში. პოემებში აღწერილია მრავალი ფიზიკური ვარჯიში, რომლებიც გავრცელებული ყოფილა ამ პერიოდში - ჭიდაობა, კრივი, რბენა, შუბისა და ბადროს ტყორცნა, შესაბამელი ეტლებით რბოლა და სხვ. რაც უფრო ძლიერდებოდა სამხედრო-არისტოკრატიული კლასი, მით უფრო ფართოდ იყენებდა იგი ფიზიკურ აღზრდას თავისი გაბატონების საშუალებად. მაშინდელი საბერძნეთის სოციალურ-პოლიტიკური წყობის დამახასიათებელ თვისებას ქალაქების - „პოლისების“ არსებობა წარმოადგენდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სპარტა და ათენი იყო. მიუხედავად იმისა, რომ აღზრდის სისტემებს ორივე ქალაქ - პოლისში ბევრი რამ ჰქონდათ საერთო, განსხვავება მაინც საგრძნობი იყო.

ათენი უფრო პროგრესული, ხოლო სპარტა ტრადიციების მიმდევარი და კონსერვატიული სახელმწიფო იყო.

სპარტაში აღზრდას სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა. სპარტელი ბავშვების აღზრდა სამხედრო სულისკვე-

თებით იყო გამსჭვალული. აღზრდის სისტემა მეტად შკაცრი იყო. ბავშვებს ზამთარ-ზაფხულს ერთსა და იმავე ტანსაცმელში და ფეხშიშველა ატარებდნენ, აძინებდნენ ღია ცის ქვეშ თივაზე, აჩვევდნენ შიმშილს, სიცივეს და ტკივილების ატანას.

ათენში აღზრდა არა მარტო მებრძოლის, არამედ განათლებული მოქალაქის აღზრდასაც ითვალისწინებდა. თუ სპარტაში ახალშობილს რაიმე ფიზიკური ხინჯი აღმოაჩნდებოდა, მას კანონით სიცოცხლეს ახალმებდნენ (კლდიდან აგდებდნენ), ათენში სახელმწიფო არ აიძულებდა ოჯახს მისთვის მოსაკლავად გადაეცა მახინჯი ახალშობილი.

სპარტაში ბავშვი დაბადებიდან შვიდ წლამდე ოჯახში იზრდებოდა ძიძის მეთვალყურეობით (ძიძა აუცილებლად მამაკაცი იყო). შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ისინი სკოლაში სწავლობდნენ, სადაც მათ უმთავრესად ფიზიკურად ამზადებდნენ. თოთხმეტი წლის შემდეგ კი აღზრდა მკვეთრ სამხედრო მიმართულებას იღებდა. 20-დან 30 წლამდე ისინი გადადიოდნენ ე.წ. მელეირენტა ჯგუფში. მათ ევალებოდათ ომში მონაწილეობა და ბიჭების აღზრდის ხელმძღვანელობა.

აღსანიშნავია, რომ სპარტაში ქალთა აღზრდასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. ქალი სპარტაში შედარებით თავისუფლებით სარგებლობდა და ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალები ოჯახში იზრდებოდნენ.

ათენშიც ბავშვი 7 წლამდე ოჯახში იზრდებოდა. 7-დან 14-16 წლამდე ყმაწვილები სამ სკოლაში სწავლობდნენ გრამატიკულ, მუსიკალურ და ტანვარჯიშულ სკოლაში. 14-16 წლიდან კი მხოლოდ ფიზიკური აღზრდით იყვნენ დაკავებული გიმნასიებში. ათენელები თავიანთ ვარჯიშებს ორ ჯგუფად ყოფდნენ - აგონისტიკად და გიმნასტიკად. აგონისტიკაში სპეციალური ვარჯიშები შედიოდა და მას იყენებდნენ შეჯიბრებაში მონაწილეობის წინა პერიოდში. გიმნასტიკა უფრო საერთო ფიზიკურ განვითარებას ითვალისწინებდა.

აღზრდის ეს სისტემები ბერძნებს ქვეყნის ძლიერების განმტკიცებასა და დამონებულ კლასებზე ბატონობის გაძლიერებაში უწყობდა ხელს.

დიდია საბერძნეთის დამსახურება ფიზიკური აღზრ-

დის განვითარების საქმეში, თუმცა ქვეყნის სახელის უკუდასაცოფად საკმარისია კაცობრიობისათვის ისეთი საოცარი საჩუქრის გაკეთება, რომელსაც ოლიმპიური თამაშები ჰქვია და რომლის იდეალები უკვდავი და მარადიულია.

1.3. ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში მითები და ლეგენდები

ოლიმპიური თამაშების ჩასახვის თაობაზე ბერძნულმა ტრადიციამ მრავალი წერილობითი წყარო შემოინახა. თითქმის სამიათასწლოვანი ასპარეზობის დასაბამი მითებისა და ლეგენდების პოეტურ სამყაროში იკარგება, რომლებსაც ზევსის, ჰერაკლეს, ჰელოპსის, იფიტესა და ლიკურგეს სახელებს უკავშირებენ.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, უსასრულოდ ძლიერი და სასტიკი იყო ღმერთების პირველი მბრძანებელი - კრონოსი. მან ცოლად თავისი და - რეა შეირთო. დედამიწის ქალღმერთმა გეამ კრონოსს უწინასწარმეტყველა - საკუთარი შვილი დაგამხოვსო, ამიტომ კრონოსი ახალშობილ შვილებს ელაპავდა, რომ თავისი ბატონობა უზრუნველყო. ასე შთანთქა ყველანი, ზევსის გარდა, რომელიც რეამ ცბიერებით გადაარჩინა. მან კრონოსს ახალშობილი ბავშვის ნაცვლად ჩერებში გახვეული ქვა შეუგდო პირში, ყრმა კი გადამალა. ზევსმა, დავაუკაცებისთანავე, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა თავის საშინელ მამას და დაამარცხა იგი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად დააარსა ოლიმპიური თამაშები.

მეორე ლეგენდა თამაშების ჩასახვას თავის უპირველეს ეროვნულ გმირს-ჰერაკლეს სახელს უკავშირებს. ბერძენტა უდიდესი ლირიკოსის პინდარეს ერთ-ერთ ოდაში ნათქვამია, რომ ოლიმპიური თამაშების დაბადება დაკავშირებულია ჰერაკლეს სახელთან. ჩ.წ. აღრიცხვამდე 1253 წელს ელიდის მეფე-ავგეამ, რომელსაც ურიცხვი საქონლის ჯოგი ჰყავდა, ჰერაკლეს შესთავაზა გაეწმინდა საქონლის ნაკელისაგან უზარმაზარი ბოსელი, რომელიც ოცდაათი წელი არავის გახსენებია. ჰერაკლე დათანხმდა ავგეას წინადადებას და პირობა დადო, რომ ერთ დღეში მოათავებდა ამ საქმეს, სამაგიეროდ ის ჯოგის მეათედს

ითხოვდა. ავგეამ თანხმობა განაცხადა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ერთ დღეში ამ დავალების შესრულება შეუძლებელი იყო. მეფის ამ უზარმაზარ ბოსელს ორი მხრიდან ჩაუდიოდა მდინარეები - ავგოსი და პენეოსი. ჰერაკლემ ბოსელის კედლები მოპირდაპირე მხარეებში გაარღვია, მდინარეებს კალაპოტი უცვალა, წყალი მიუშვა ნაკელს და ერთ დღეში გაწმინდა ბოსელი. ავგეამ პირობა დაარღვია, ჰერაკლეს უარი უთხრა საქონლის მეთედზე და გმირი მუქარით გააბრუნა ტირინთოში. რამდენიმე წლის შემდეგ ჰერაკლემ შური იძია ავგეაზე. მან ჯარი შეაგროვა, ააოხრა ქალაქი და მუხანათი მეფე ისრით განგმირა. ამ ომში მოპოვებული ნადავლი ჰერაკლემ მსხვერპლად შესწირა ოლიმპოს ღმერთებს და მათ საპატივსაცემოდ დააარსა ოლიმპიური თამაშები. თამაშები იმართებოდა ყოველ ოთხ წელიწადში ზეთისხილიან წმინდათაწმინდა ვაკეზე.

შემდგომი ლეგენდა მოგვითხრობს ზევსის შვილი-შვილის პელოპსის გამარჯვებაზე ქალაქ პისის მეფე - ენომაოსზე. პელოპსი, სახელგანთქმული ლიდიელი გმირი, სულ მცირე ხანს მეფობდა თავის ქალაქში. ტროას ძლიერმა მეფე ილოსმა ომი გამოუცხადა, სძლია და განდევნა იგი. პელოპსმა მცირე აზია მიატოვა და დასახლდა შორეულ ნახევარკუნძულზე. ერთხელ ელიდაში თვალი მოკრა პისის მეფის ენომაოსის ასულს - მშვენიერ ჰიპოდამიას და განიზრახა მისი ცოლად შერთვა. ეს არ იყო იოლი საქმე. ომის ღმერთის არესისა და მდინარის ღმერთი ასოპოსის ასულ ჰარპინოას ძე — მრისხანე ენომაოსი თავის ასულს მიათხოვებდა მხოლოდ მას, ვინც ეტლით რბოლაში დაამარცხებდა. მეფეს მამის ნაჩუქარი მერნები ჰყავდა, ქარის უსწრაფესად დაჰქროდა მისი ეტლი, სასიძოვებს დაეწეოდა, ზურგში შუბს სცემდა და სიცოცხლეს ასალმებდა. მოასპარევეთ ეტლით უდა გაეელოთ გრძელი გზა პისიდან ისთმოს პოსეიდონის საკურთხეველამდე, მაგრამ ბევრ ვაჟკაცს არ ეწერა ისთმომდე მისვლა. ენომაოსი არავის ინდობდა, რადგან მისანს ნათქვამი ჰქონდა: სიძის ხელით დაიღუპებო. პელოპსის საქმე რთულად იყო, რამეთუ, უკვე თორმეტი სასიძო განეგმირა შუბით პისის მბრძანებელს. მართალია, თავისმა მფარველმა პოსეიდონმა პელოპსს

რჩეული რაშები აჩუქა, მაგრამ ენომაოსის მერნები მათზე ვაცილებით სწრაფნი იყვნენ. პელოპსმა იცოდა, ვერაფერი იხსნიდა, თუ არა მზაკვრობა. ამიტომ წინასწარ ენომაოსის მკეტლე - მირტილე მოისყიდა, რომელსაც მდიდრული საჩუქრები და სამეფოს ნაწილი აღუთქვა. იმანაც ენომაოსის ეტლის ღერძში ჭილები არ ჩასვა (ბორბალს რკინის მანების ნაცვლად ცვილისა გაუკეთა), რითაც უზრუნველყო პელოპსის გამარჯვება. მან შეერთო მეფის ასული ჰიპოდამია და ხელთ იგდო ელიდეს ტახტი. ღმერთების საპატივსაცემოდ და მადლობის ნიშნად პელოპსმა ოლიმპიაში ააგო ტაძარი და დააფუძნა თამაშები. ამ თამაშებზე ყველაზე მეტი პოპულარობით ეტლებით რბოლა სარგებლობდა და მასში გამარჯვებულს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ლეგენდის მიხედვით, პელოპსის წყალობით, თამაშებმა ტრადიციული ხასიათი მიიღო. ითვლება, რომ ეს თამაშები ჩვენს წელთაღრიცხვამდე 884 წელს დაიწყო.

ზოგი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ოლიმპიური თამაშები იმართებოდა მოსავლის აღების ზეიმის აღსანიშნავად. მათი აზრით, ამიტომაც აჯილდოვებდნენ გამარჯვებულებს ზეთის ხილის ტოტით და გვირგვინით. თამაშების ჩატარების დრო - აგვისტო, სექტემბერი როგორღაც ამავრებენ ამ ვერსიას.

მიუხედავად არსებული ლეგენდებისა, არსებობს პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარების უტყუარი ცნობა, რომ იგი ჩატარდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს და სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს უძველესი ოლიმპიური თამაშების ისტორია. ეს თარიღი მთელ მსოფლიოში იმიტომ არის მიღებული, რომ შესაძლებელი გახდა თამაშებში გამარჯვებულის ვინაობის დადგენა. იმხანად საბერძნეთში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად ოლიმპიური ჩემპიონის სახელებს ამოტიფრავდნენ მარმარილოს სვეტებზე, რომლებიც ალფეის სანაპიროზე იდგმებოდა. სწორედ ასეთ სვეტზე იქნა აღმოჩენილი პირველი გამარჯვებულის ვინაობა. ეს იყო ქალაქ - პოლისის ელიდეს მკვიდრი, პროფესიით მზარეული - კოროიბოსი, რომლის გვარის გასწვრივ ეწერა თარიღი - 776 წელი.

პირველ ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობა მხოლოდ ერთ სახეობაში - ერთ სტადიაზე რბენაში იმართებოდა. სირბილის ეს სახეობა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე (13 თამაშებში) ერთადერთი შეჯიბრება იყო ელინთა ზეიმზე. მეოთხემეტე ოლიმპიურ თამაშებზე (724 წელი ჩვენს წაღრიცხვამდე) პროგრამაში შეაქვთ რბენა ორ სტადიაზე (384,54 მეტრი), მე-15 თამაშებიდან მოყოლებული კი შეჯიბრებები უფრო გრძელ დისტანციაზე, ჯერ 8, შემდეგ 10, 12 და 14 სტადიაზე იმართებოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 708 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამა შეივსო პენტატლონით, რომელშიც ხტომა, სირბილი, ბადრო, შუბი და ჭიდაობა შედიოდა. 688 წლის თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნა შეჯიბრება კრივიში. 680 წლიდან კი შეჯიბრებები ეტლებით რბოლაში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნის შუა პერიოდიდან (648 წ.) ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედის - პანკრატიონი (ჭიდაობისა და კრივის ნაერთი). 396 წლიდან, 96-ე თამაშებიდან ოლიმპიადის პროგრამაში შეაქვთ მესაყვირეთა და მაცნეთა რბენა. ამის შემდეგ ოლიმპიური თამაშების პროგრამისათვის სპორტის სხვა სახის დამატების შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

632 წლის ოლიმპიურ თამაშებზე უკვე ახალგაზრდებიც დებულობენ მონაწილეობას, რადგან აქამდე ასპარეზობაზე მხოლოდ 18 წელს მიღწეული სრულწლოებიანი მოქალაქეები დაიშვებოდნენ, თანაც ისეთები, რომლებსაც სისხლი არ ემართათ და წინასწარ გავლილი ჰქონდათ ერთთვიანი წვრთნა ოლიმპიაში. მონაწილეთა უსაფრთხოება მგზავრობისა და თამაშის მიმდინარეობისას კანონით იყო დაცული.

ძველბერძნული ცივილიზაციის გასათვალისწინებლად მონაპოვართა შორის, რომლებიც დაკავშირებული იყო ოლიმპიურ თამაშებთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ-სახელმწიფოებს ეკრძალებოდათ საომარი მოქმედებების წარმოება ოლიმპიური თამაშების ჩატარების პერიოდში. სავარაუდოდ ელადაში საყოველთაო ზავი ანუ „ეკეხერია“ სამ თვემდე გრძელდებოდა. ეს დრო საჭირო იყო ათლეტების მოსამზადებლად, თამაშებში მონაწილეობის მისაღებად

და მგზავ-რობისათვის, ოლიმპიადაზე და უკან. ამ ტრადიციას ბერძნები მკაცრად იცავდნენ - მაშინაც კი, როდესაც ქალაქ-სახელმწიფოებს უშიშმესი ჟამი ედგათ.

ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე აღწერს: 480 წელს ჩ.წ. აღრიცხვამდე საბერძნეთს თავს დაესხა სპარსეთი, ზუსტად იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა ოლიმპიური თამაშები. მიუხედავად ამისა, თამაშები არ შეწყვეტილა და იგი ჩატარდა დადგენილ ვადებში. როდესაც სპარსთა მეფემ მათ მხარეს გადასულ ბერძენ მეომრებს ჰკითხა - რას აკეთებენ ელინები, მათ უპასუხეს, რომ ისინი ოლიმპიურ ზეიმს იხდიან, უყურებენ ტანვარჯიშულ და სხვა შეჯიბრებებსო. სპარსებს ეს ამბავი უცნაურად ეჩვენათ, მაგრამ, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყვეს, რომ ბერძნები ოლიმპიაში ზეთისხილის გვირგვინისათვის იბრძოდნენ. შეიტყო რა, რომ ელინები ჯილდოდ მიიჩნევდნენ უბრალო გვირგვინს და არა ფულს, ერთ-ერთმა წარჩინებულმა სპარსმა თავის მხედართმთავარს მიმართა - ვის წინააღმდეგ მიგყავართ საომრად? ეს ხალხი ასპარეზობენ არა ფულისათვის, არამედ დიდებისათვისო.

მიუხედავად ყველაფრისა, ბერძნები არ არღვევდნენ და მკაცრად იცავდნენ ტრადიციას. ოლიმპიადებში გამარჯვებულებს - ოლიმპიონიკებს ჯილდოდ ზეთისხილის რტოს გვირგვინი ეძლეოდათ. რტო ოქროს დანით უნდა მოეჭრა ბავშვს, რომელსაც მშობლები ცოცხალი ჰყავდა. გამარჯვებულებს ასევე დამატებით ეძლეოდათ საჩუქრები და ძღვევის სიმბოლო-პალმის რტო. წმინდა ჭალაში მათი ძეგლი იდგმებოდა, უმართავდნენ ნადიმს, ოდებში აღიდებდნენ ისეთი უპირველესი პოეტები, როგორებიც იყვნენ პინდარე და სიმონიდე. მშობლიური მხარე მათ ცალკე უწყობდა ზეიმს. გენიალური პინდარეს თითქმის მთელი შემოქმედება გმირთა დიდებაა, ოლიმპიურ და სხვა ასპარეზობებზე ჩამოდიოდნენ შორეული კოლონიებიდან, მცირე აზიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ეწყობოდა სახელმწიფოთა ელჩების საზეიმო მიღება. იმართებოდა პაექრობა მუსიკაში, ლექსების კითხვაში და მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-ბაზრობები.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე 444 წელს, 84-ე თამაშებიდან მოყოლებული, ოლიმპიური თამაშების ნაწილად იქცა კონკურსები ხელოვნებაში, ბერძნები დიდად არ მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან ხელოვნებაში, თუ სპორტში დაოსტატებდახელოვნებას. ოლიმპიაში თალესის, ჰერაკლიდეს, პლატონის, სოკრატეს და დიოგენეს ფილოსოფიური აზრები და სიბრძნე ჟღერდა, იკითხებოდა სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიები, პინდარეს ოდები. 84-ე თამაშებზე წაიკითხა ჰეროდოტემ თავისი ისტორიის ნაწილები, რისთვისაც პირველობის დაფნის გვირგვინი და ოქროს მედალი მიიღო. სახელოვანმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა პითაგორამ ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა ჭიდაობაში. პითაგორა გამორჩეული მწერტნელი - დამრიგებელიც ყოფილა. როგორც ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი გვამცნობს, პითაგორას აღზრდილი იყო სახელოვანი კროტონელი ფალავანი, ნახევრად ლეგენდარული მოჭიდავე მილონი, რომელმაც ექვსჯერ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის წოდება ჭიდაობაში. მისი სახელი უკვდავყოფილია არა მარტო ოლიმპიური თამაშების ლეგენდებსა და მითებში, არამედ ხელოვნებაში. საფრანგეთის ორმა გამოჩენილმა სკულპტორმა პიერ პიუჟემ და მორის ფალკონემ შთამომავლობას კროტონელ მილონზე დაუტოვეს შესანიშნავი ქმნილებები მარმარილოში.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე 228 წლიდან ოლიმპიურ თამაშებში ბერძნებთან ერთად ასპარეზობენ რომაელებიც. როდესაც რომაელმა დამპყრობლებმა ბოლო მოუღეს ბერძნების დამოუკიდებლობას, რომის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ ძველბერძნული ოლიმპიადები გადაექციათ იმპერიულ თამაშებად.

ჩვენი წელთაღრიცხვის 67 წელს 211 ოლიმპიადის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობას იღებდა იმპერატორი ნერონი. ცნობილია, რომ იგი თავისი წინამორბედებისაგან აშკარად გამოირჩეოდა ხასიათის თავგასულობით და ავადმყოფური პატივმოყვარეობით. ნერონი თავის თავს უდიდეს მსახიობად და მომღერლად თვლიდა. სწორედ ამ მიმართულებით იქნა „სრულყოფილი“ ოლიმპიადის

პროგრამა. თამაშების შედეგები განსაცვიფრებელი იყო. მთელი ასპარეზობაში გამარჯვებულად ნერონი გამოცხადდა. საინტერესო იყო მისი გამოსვლა ეტლებით რბოლაში. ის შეჯიბრების ერთადერთი მონაწილე იყო. მის ეტლში ოთხის ნაცვლად ათი ბედაური იყო შებმული. მიუხედავად იმისა, რომ ნერონი რბოლის დროს ეტლიდან გადმოვარდა და დისტანცია ვერც კი დაამთავრა, ის მაინც გამარჯვებულად გამოაცხადეს და გვირგვინით შეამკეს. ისტორიაში ეს თამაშები შევიდა როგორც ცრუ თამაშები.

მიუხედავად ოლიმპიურ თამაშებზე ასეთი უარყოფითი შედეგებისა, რომაულმა პერიოდმა ზოგი სასიკეთო რამ მისცა ამ ასპარეზობას. იგი იქცა მრავალეროვნულ თამაშებად. თუ მთელი შვიდი საუკუნის მანძილზე მასში მხოლოდ ბერძნები მონაწილეობდნენ, ახლა უკვე გზა ხსნილი ჰქონდათ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს, რომლებიც რომის იმპერიის უზარმაზარ ტერიტორიაზე იყვნენ დასახლებული. თამაშებში უკვე გამოჩნდნენ ათლეტები სირიიდან, ალექსანდრიიდან, ბაბილონიდან, მომავალი საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიებიდან.

ძველ ოლიმპიადებს ჰყავდა თავისი გმირები, ადამიანები, რომლებმაც რამდენიმეჯერ მოიპოვეს უმაღლესი ჯილდოები.

ათლეტებს შორის ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია კუნძულ როდოსის მკვიდრმა — ლეონიდემ, რომელმაც თორმეტი უმაღლესი ჯილდო ოთხ ოლიმპიადაზე მოიპოვა ჩვენ წელთაღრიცხვამდე 164-152 წლებში. ლეონიდეს შემდეგ ასახელებენ კროტონელ ასტილოსეს და ათლეტს კრანფადან - გერმოგენეს. მათ რვა-რვა უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს, პირველმა 488-476 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო მეორემ 80-64 წლებში. მილონის დარად ექვსი გვირგვინის მფლობელი იყო ხიონისე ლაკონიიდან, რომელმაც იმარჯვა 664-656 წლების ოლიმპიურ თამაშებზე, სპარტანელმა გიპოსფენემ ჭიდაობაში ხუთჯერ გაიმარჯვა 624-656 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

უნდა აღინიშნოს ერთი ოჯახური დინასტიის შესახებაც. ვინმე დიაგორემ კუნძულ როდოსიდან მისმა შვილებმა და შემდეგ შვილიშვილებმა, თითქმის ოთხმოცი წელი იასპა-

რეხეს ოლიმპიადებზე და ოც თამაშში მიიღეს მონაწილეობა. საერთო ჯამში ამ დინასტიის წარმომადგენლებმა თავი-ანთ მზიურ კუნძულს ცხრა უმაღლესი ჯილდო მოუპოვეს.

ოლიმპიონიკების უდიდეს პატივისცემაზე მოგვითხრობს ერთი ლეგენდა. ერთ-ერთ ოლიმპიურ თამაშებზე ბერძენმა ქალმა-კალიფატერიამ მოისურვა საკუთარი თვალთ ენახა შვილის ფინალური ორთაბრძოლა კრიეში. მან კაცურად შეიჭრა თმები, მოიცვა მწვერთნელის მანტია და შეიპარა სტადიონზე (ძველ ოლიმპიურ თამაშებზე კატეგორიულად აკრძალული იყო ქალების დასწრება მაყურებლადაც კი). როდესაც ორთაბრძოლა დასრულდა და მისი ვაჟი გამარჯვებულად გამოაცხადეს, ქალი გაექანა შვილისაკენ მისალოცად, მაგრამ მოულოდნელად მას მანტია ჩამოძვრა და გამოააშკარავა თავისი ვინაობა. მიუხედავად იმისა, რომ ქალს გარდაუვალი სიკვდილი ელოდა, მას აპატიეს, რადგან ის იყო ჩემპიონის დედა, დიოგენეს რძალი და ოლიმპიური ჩემპიონის ცოლი. ამ ამბის შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე როგორც მონაწილეები, ისე მწვერთნელები და მსაჯები აბსოლუტურად შიშვლები იყვნენ.

მაგრამ, ეტყობა, ყველა უდიდეს წამოწყებას აქვს დასასრული და ეს ოლიმპიურ თამაშებსაც შეეხო. რომის იმპერატორის გრაციანუს გარდაცვალების შემდეგ, მის ადგილს წარმოშობით ესპანელი - თეოდოსიუს I იკავებს, რომელიც რომის იმპერიის ერთპიროვნული მბრძანებელი ხდება. მან საბოლოოდ განამტკიცა ორთოდოქსული ქრისტიანობის ბატონობა, დაანგრია ტაძრები, დაწვა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა და ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წელს აკრძალა ოლიმპიური თამაშები, როგორც წარმართული დღესასწაული. ოლიმპიას სხვა მრავალი უბედარებაც დაატყდა თავს. 395 წელს მდინარე ალფეოსის ნაპირზე სამკვრდოსასიცოცხლო ბრძოლაში შეებნენ ერთმანეთს ბიზანტიელები და გოთები, რის შედეგადაც დაინგრა ოლიმპიის სპორტული ნაგებობები და სხვა ობიექტები. 426 წელს იმპერატორ თეოდოსიუს II ბრძანებით საბოლოოდ იქნა განადგურებული წარმართულ ტაძართა ნანგრევები, მათ შორის ზევსის ტაძრის ნარჩენები. ფილიასის უკვდავი ქმნილება, ზევსის

ქანდაკება კი, რომელიც სამყაროს ერთ-ერთ საოცრებადაა მიხნეული, კონსტანტინეპოლში იქნა გადატანილი. ოლიმპიის საბოლოო განადგურებას წერტილი დაუსვა დამანგრეველმა მიწისძვრამ და უდიდესმა წყალ-დიდობამ.

როგორც ცნობილია, ძველბერძნული ოლიმპიადები 293-ჯერ ჩატარდა. იგი 1169 წლის განმავლობაში შეუწყვეტილი იმართებოდა. ალბათ მსოფლიოში არ მოიძებნება ანალოგი კაცობრიობის მიერ ჩაფიქრებულ რომელიმე სხვა საქმეს ასეთი ხანგრძლივი და დიდებული ისტორია ჰქონდეს.

1.4. ფიზიკური აღზრდა ძველ რომში ✦

თუ საბერძნეთში აღზრდას საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა, რომში გაბატონებული იყო ოჯახური აღზრდა. ბავშვებს თავდაპირველად დედა ზრდიდა. შემდეგ ვაჟის აღზრდას მამა იღებდა თავის თავზე და ამ საქმეს 16 წლამდე უძღვებოდა. აღზრდა მეტად მკაცრი იყო. ბიჭი მამას დაჰყვებოდა ყველგან, უკვირდებოდა მის მოქმედებას და ყველაფერში ბაძავდა. პარალელურად კი სწავლობდა ცურვას, ფარიკაობას, ცხენოსნობას, ჭიდაობას და სხვა ფიზიკურ ვარჯიშებს. 16 წლის ჭაბუკი შეჰყავდათ რომელ მოქალაქეთა სიაში, რაც შესაძლებლობას იძლეოდა ქალაქის დამცველთა ლეგიონში ჩასარიცხად. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დამპყრობლური ომების წყალობით ლეგიონერთა უმეტესობა დიდ ქონებას იძენდა, გასაგები ხდება, რატომ აქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას მშობლები ბავშვის მებრძოლად მომზადებას. რომში იყო კერძო სკოლებიც, რომლებშიც ოჯახის მიერ გაღებული თანხებით მიმდინარეობდა აღზრდა. ამ ტიპის სკოლებში ასწავლიდნენ ცხენოსნობას, ფარიკაობას, შუბის ტყორცნას, მშვილდოსნობას და ბურთის თამაშს. *ქალაქი რომი 10 ხეობისა და*

ძველ რომში ფიზიკური აღზრდის უმაღლეს დონეზე არსებობას მიუთითებს სპორტული ნაგებობების რაოდენობა და მათი გრანდიოზულობა. სავარჯიშოდ და მასობრივი სანახაობისათვის აგებული იყო კოლიზეუმები, ცირკები, სხვადასხვა სახის დარბაზები, სადაც იმართებოდა შეჯიბ-

რებები. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 80 წელს რომის დიქტატორმა ლუციუს კორნილიუს სულამ ბრძანა, რომ რიგით 175-ე ოლიმპიური თამაშები რომში გადმოეტანათ, მაგრამ იგი საკმაოდ დაბალ დონეზე ჩატარდა და შემდგომში ასეთი ცდა აღარ გამეორებულა.

რომში არსებულ სანახაობებს შორის თავისი სისასტიკით გლადიატორთა ბრძოლები გამოირჩეოდა. პირველი ცნობები გლადიატორთა ბრძოლების შესახებ ძვ. წელთაღრიცხვის 264 წელს მიეკუთვნება. გლადიატორთა მოსამზადებლად სპეციალური სკოლები იყო გახსნილი, სადაც მხოლოდ ფიზიკურად ძლიერი მონები ხვდებოდნენ. ისინი ეუფლებოდნენ სხვადასხვა სახის იარაღს და ბრძოლის ხერხებს. მონა, რომელიც ბრძოლებში გაიმარჯვებდა, თავისუფალი მოქალაქე ხდებოდა. რომში დროგამოშვებით მხეცებთან ბრძოლებიც იმართებოდა. ხშირად ნადირთან საბრძოლველად სიკვდილიმისჯილი მონები გაჰყავდათ. გლადიატორები მძიმე და აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ. უმნიშვნელო დანაშაულისათვის მათ სასტიკად სჯიდნენ. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ქალაქ კაპუაში არსებული სკოლა. გლადიატორები, როგორც განსაკუთრებული ფიზიკური ძალისა და ბრძოლისუნარიანი ხალხი, საშიშროებას უქმნიდა მათ პატრონებს და ამით იყო გამოწვეული მათდამი სიმკაცრის განსაკუთრებული ზომების მიღება. გლადიატორების აჯანყება, რომელიც ისტორიაში სპარტაკის სახელთან არის დაკავშირებული, ლამის რომის იმპერიის დამხობით დამთავრდა. ოფიციალურად გლადიატორების ბრძოლები ჩვენი წელთაღრიცხვის 404 წელს აიკრძალა.

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეტლებით ბრძოლა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი მრბოლელები გამოდიოდნენ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ესპანელი მრბოლელი დიოკლე, რომელმაც 24 წლის მანძილზე იასპარეხა და 1462 გამარჯვება მოიპოვა. მიუხედავად იმისა, რომ ეტლით მრბოლელები პროფესიონალები იყვნენ, ხშირად მათ რიგებში არისტოკრატებიც გამოდიოდნენ.

თამაშებს შორის რომში ყველაზე მასშტაბური იყო ასპარეზობები, რომელსაც პონტიფიკებისა და ტარენტის

სახელწოდებით იცნობდნენ. ისინი 100-110 წელიწადში ერთხელ ეწყობოდა. ტარდებოდა ასევე ტროას თამაშები, რომლის პროგრამა ძირითადად ცხენოსნობით შემოიფარგლებოდა. რომში იმართებოდა სხვა სახის თამაშებიც. იმპერატორმა აგუსტემ მოაწყო დიდი ტანვარჯიშული და მუსიკალური შეჯიბრება, რომელიც ოლიმპიური თამაშების მსგავსად ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იგი მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. მოგვიანებით იმპერატორმა ნერონმა სცადა მსგავსი თამაშების ჩატარება, რომელსაც ნერონეა უწოდეს, მაგრამ მასაც არ ეწერა დიდი დღე. იგი სულ ორჯერ ჩატარეს.

თავი II. ფიზიკური აღზრდა შუა საუკუნეებში ✦

2.1. ევროპა

ეს პერიოდი VI-XVII საუკუნეებს მოიცავს. იგი ძირითადად ფეოდალურ ეპოქას ემთხვევა, რომელიც მონათმფლობელურ წყობილებასთან შედარებით უფრო პროგრესული საზოგადოებრივი მოვლენა იყო. ამ ისტორიულ მონაკვეთში აღზრდა ორი მიმართულებით ვითარდებოდა - რელიგიური და რაინდული. პირველი მიმართულების სკოლებში უმთავრესად საღვთო სჯული და სხვა მსგავსი საგნები ისწავლებოდა და მასში ძირითადად ქალები იყვნენ ჩაბმულნი. ხოლო მეორეში, რომელიც ძირითადად ფიზიკური აღზრდის მიმდევარი იყო, მხოლოდ მამაკაცები იყვნენ გაერთიანებული.

IX საუკუნიდან, როცა დასავლეთ ევროპაში საბოლოოდ განმტკიცდა ფეოდალიზმი და ცალკე სამთავროები, ისინი განუწყვეტილად აწარმოებდნენ ბრძოლებს ერთმანეთს შორის, დღის წესრიგში დადგა სამხედრო-ფიზიკური მომზადების აუცილებლობა, რამაც საბოლოო ჯამში აღზრდის თავისებური სისტემა ჩამოაყალიბა. მას აღზრდის რაინდული სისტემა უწოდეს, რომლის საფუძველსაც სამხედრო და ფიზიკური მომზადება შეადგენდა.

რაინდული სისტემა ითვალისწინებდა სამი ეტაპის გავლას. პირველი ეტაპი გრძელდებოდა დაბადებიდან 7 წლამდე. მეორე პერიოდი მოიცავდა პერიოდს 7-დან 14 წლამდე. ფეოდალის ბავშვი უფრო ცნობილი და შეძლებული ფეოდალის ოჯახში იზრდებოდა და ფაქტიურად მოსამსახურის მოვალეობას ასრულებდა. ამ პერიოდში იგი დებულობდა მტკიცე ფიზიკურ აღზრდას, სწავლობდა იარაღის ხმარებას, ფარიკაობას, ცურვას, ქვისა და შუბის ტყორცნას, ჭიდაობას. 14 წლიდან ყმაწვილი იარაღის მატარებლის მოვალეობას ასრულებდა. მას ევალებოდა იარაღის შენახვა და გასუფთავება, ცხენის მოვლა, ნადირობაში მონაწილეობა, ტურნირებზე და ომში თავის პატრონის გაცილება. ჭრილობის მიღების შემთხვევაში მისთვის დახმარების აღმოჩენა და სხვ. ამის პარალელურად იგი აგრძელებდა

წვრთნას ფარიკაობაში, ცხენოსნობაში, ცურვასა და სხვა სახეობაში. ძირითადად ამ ასაკში მომავალი რაინდები ეუფლებოდნენ სამხედრო საქმეს. 21 წლის ასაკში ჭაბუკს რაინდთა რიგებში დებულობდნენ. რაინდისათვის სავალდებულო იყო დახელოვნება შვიდ სარაინდო სახეობაში: ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, ფარიკაობა, ცურვა, ნადირობასა, ჭადრაკის თამაშში და ლექსების თხზვაში.

რაინდები საინტერესო შეჯიბრებებს მართავდნენ, რომელთა შორის გამოირჩეოდა დიდი საჯარო ასპარეზობა, რომელიც რაინდთა ძალების დათვალიერების და ბრძოლისათვის მზადყოფნის დემონსტრაციას წარმოადგენდა. ტურნირებზე იმართებოდა მხედართა ორთაბრძოლები, რომლებიც ხშირად სიკვდილითაც კი მთავრდებოდა. გარდა ტურნირებისა, რაინდები მართავდნენ სამხედრო თამაშებს, რომელიც საომარ მოქმედებათა ცალკეულ ეპიზოდებს განასახიერებდნენ (ქალაქისათვის აღყის შემორტყმა, ქალაქის აღება, ციხესიმაგრის აღება და სხვ.). შეჯიბრებისათვის გამოყოფილ მსაჯებს ევალებოდათ ასპარეზობაში რაინდთა მონაწილეობის უფლების შემოწმება, იარაღისა და ცხენების შემოწმება, შეჯიბრების წესების დაცვაზე მთავალყურეობა და სხვა. გამარჯვებულს, რომელსაც უმაღლეს ჯილდოს გადასცემდნენ, ქვეყნის მეფე, უხუცესი რაინდები და მსაჯები ავლენდნენ.

XV საუკუნიდან, ფეოდალური საზოგადოების გარკვეული დაკნინების ფონზე, თანდათან უფერულდება ფიზიკური აღზრდის რაინდული სისტემა. მას განსაკუთრებულად ძლიერი დარტყმა მიაყენა დენტისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამ. რაინდების საომარი პრივილეგია მსროლელთა ფეხოსან ნაწილებს დაუთმეს.

ფიზიკური აღზრდა სოფლის მცხოვრებ გლეხთა ცხოვრებაშიც იჭრებოდა. მართალია, იგი ისეთი შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველი არ იყო, როგორც საზოგადოების მაღალი ფენებისათვის, მაგრამ მაინც დიდ როლს თამაშობდა გლეხთა ფიზიკურ წრთობასა და კლასობრივი ბრძოლისათვის მომზადებაში. ძირითადად, გლეხებისა და ხალხის ფართო მასების ფიზიკური აღზრდა სტიქიურად მიმდინარეობდა. თუმცა ზოგ შემთხვევაში საკმაოდ ორგანიზებულ

ფორმასაც ღებულობდა. ასე მაგალითად, შვეიცარიაში (XIV საუკუნეში) 16-18 წლის ჭაბუკებისათვის ტარდებოდა სისტემატური მეცადინეობები რბენაში, ხტომებში, ჭიდაობაში, შუბის ტყორცნასა და ფარიკაობაში (ჯოხებით). მათი ფიზიკური მომზადების დონე მოწმდებოდა სპეციალურად ორგანიზებულ შეჯიბრებებზე.

2.2. შუასაუკუნეების აზია, აფრიკა, ამერიკა

შუასაუკუნეების ეპოქაში განსაკუთრებული თავისებურებებით გამოირჩეოდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება აზიის, აფრიკისა და ამერიკის ქვეყნებში, სადაც ფეოდალური ურთიერთობები შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე ევროპაში. აქ ძირითადად შენარჩუნებული იყო ფიზიკური აღზრდის უძველესი ტრადიციები, თუმცა ისინი დროის შესაბამისად ივსებოდა ახალ-ახალი ელემენტებით.

შუასაუკუნეების ინდოეთში ფართოდ ვითარდებოდა ჭიდაობა, მშვილდოსნობა და ცხენოსნობა. ნაციონალურ ცეკვებთან ერთად დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ხათხა-იოგა“, რომლის საფუძვლებში იდო სხეულის მოძრაობის გარკვეული ნორმები და რიტუალური ვარჯიშები, რაც რბენასა და თამაშებთან იყო დაკავშირებული.

ჩინეთში თითქმის სამსაუკუნოვანი გლეხთა აჯანყების შემდეგ (III-V სს.) მოქმედებდა კანონი მოსახლეობის მიერ ყველა სახის იარაღის ჩაბარების შესახებ, რაც განპირობებული იყო შემდგომში შეიარაღებული ამბოხებების თავიდან ასაცილებლად. ამ გარემოებამ აიძულა ხალხის სხვადასხვა ფენები ჩამოეყალიბებინათ გარკვეული სისტემები, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა უიარაღოდ თავდაცვას. დაწესებული VI საუკუნიდან, სწრაფად დაიწყო განვითარება თავისებურმა ტანვარჯიშულმა მიმართულებამ, რომელსაც უშუ უწოდეს. მისი ძირითადი დანიშნულება იყო მუშტის, გაშლილი მტევნის, იდაყვისა და ფეხების საშუალებით წინააღმდეგობის გაწევა. მინის დინასტიის მმართველობის ეპოქაში (XIV-XVII სს.-ში) უშუ თავისი განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია. შემდგომში, როდესაც გამოგონი-

ლი იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, უშუ, როგორც საბრძოლო ხელოვნებამ თავისი დანიშნულება დაკარგა. სამაგიეროდ, საგრძნობლად ამაღლდა მისი როლი, როგორც გამაჯანსაღებელმა საშუალებამ. შუა საუკუნეების ჩინეთში ასევე საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა ცხენოსნობა, რბენები და ინდოეთიდან შემოტანილი „ხათხა-იოგა“.

ფიზიკური აღზრდის განვითარება შუასაუკუნეების იაპონიაში დაკავშირებულია სამურაების ხანასთან. სამურაების ფიზიკური აღზრდის სისტემაში შედიოდა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობები (სუმო, ჯიუ-ჯიციუ და კარატე), ფარიკაობა ერთი და ორი ხელით (კენდო), შუბის ტყორცნა, მშვილდოსნობა, სხვადასხვაგვარი რიტუალური შეჯიბრებები და ბურთით თამაშები.

ამერიკელი ხალხის ფიზიკური აღზრდის შესახებ მოგვითხრობენ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ნივთები, ეთნოგრაფიული კოლექციები და XVI-XVIII საუკუნეების ესპანური ქრონიკები. მკვლევართა აზრით, ქრისტეფორე კოლუმბის დროს ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობდა პირველყოფილი ადამიანების მსგავსად. მხოლოდ სამხრეთ ნახევარსფეროს, მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ტერიტორიებზე მცხოვრებ ტომებში იყო დამკვიდრებული თავისებური კლასობრივი ურთიერთობები. საწარმოო ძალების განვითარების დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა განვითარებული ევროპისა და აზიის ქვეყნებს.

ამერიკაში ინკები, აცტეკები და მაიას ტომები განსაკუთრებულად იყვნენ განვითარებულნი. XII-XV საუკუნეებში აქ ჩამოყალიბდა ფიზიკური აღზრდის გარკვეული სისტემები, რომლებიც შეიცავდა, როგორც ოჯახურ, ისე სახელმწიფოებრივ ფორმებს. არსებულ სკოლებში მოსწავლეები მეცადინეობდნენ ფიზიკურ მომზადებასა და თამაშებში. დიდი ყურადღება ეთმობოდა სამხედრო ფიზიკურ მომზადებას - მშვილდოსნობას, ხმლისა და ფარის ხმარების ხელოვნებას, ჭიდაობას (რომელიც წააგავდა კარატეს). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მორბენალი-კურიერების მომზადება, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ინკები და აცტეკები. ამ ხალხთა თამაშები და სხვადასხვაგვარი ვარჯიშები

დაკავშირებული იყო რელიგიურ რიტუალურ წეს-
წვეულებებთან. ხშირად ტარდებოდა ტომთაშორისი
თამაშები, რელი-გიური ცერემონიები, ათლეტური
შეჯიბრებები. ფიზიკური აღზრდის ყველაწარმო
სისტემები სათანადო აღვივებს იკავებდნენ ამერიკელი აბორიგენების
შრომით, სამხედრო და ყოფით ცხოვრებაში.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც ევროპელმა კოლონიზატო-
რებმა იწყეს ამერიკის კონტინენტის დაპყრობა, რაც
ძარცვაში, მკვლელობასა და ძალადობაში გამოიხატებოდა,
კარგა ხნით შეაფერხა ფიზიკური აღზრდის თვითმყოფადი
სისტემების განვითარება აღნიშნული რეგიონის ხალხებში.

შუასაუკუნეებში აფრიკის კონტინენტის ხალხები-
სათვის ასევე შრომით, სამხედრო საქმითა და ყოფით განი-
საზღვრებოდა ფიზიკური აღზრდის ფორმები. ძირითადად
აღზრდა მიმდინარეობდა ოჯახში, მონადირეთა სახლებში,
თემისა და ტომის ბელადებთან. ვარჯიშთა უმრავლესობას
აფრიკელები საშეჯიბრო ფორმულით ასრულებდნენ. ისინი
ისროდნენ მშვილდს და ტყორცნიდნენ ჯოხს მიზანში, ცო-
ცავდნენ ბოძზე მოსწრებაზე და ა.შ. საცეკვაო რიტუალებ-
თან ერთად ავითარებდნენ საბრძოლო მოქმედებებთან
მიახლოებულ ვარჯიშებს. ხშირ შემთხვევაში ტომებისა და
თემების ბელადების სახლების წინ იმართებოდა სადღესას-
წაულო რიტუალები, სადაც ფაქტიურად მოწმდებოდა
ყოველი მონაწილის ფიზიკური და სამხედრო მზადყოფნა.
შეჯიბრებები იმართებოდა ჭიდაობაში, რბენებში, შუბისა
და ბადროს ტყორცნაში. მოზარდებისა და გოგონების მომზა-
დების სისტემაში შედიოდა რიტუალური ცეკვები, სხვადა-
სხვაგვარი მოძრაობის თამაშები, აკრობატული ვარჯიშები.
არც ერთი რელიგიური დღესასწაული არ ჩაივლიდა ძალის,
გამძლეობის, სიმარჯვის, მამაცობისა და საცეკვაო მოძრა-
ობების სილამაზის განსაზღვრის გარეშე. სხვადასხვაგვარი
თამაშები და ფიზიკური ვარჯიშები, რომლებსაც შეჯიბრის
ხასიათი ჰქონდა, იმ დროისათვის სხვადასხვა ტომებისა
და თემების მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულების
ერთადერთი საშუალება იყო.

2.3. ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური იდეების + განვითარება აღორძინების ეპოქაში

ფეოდალიზმის წიაღში აღმოცენებულმა ახალმა
კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა დიდი ბიძგი მისცა
წარმოების, ვაჭრობისა და ქალაქების განვითარებას.
წარმოების განვითარებამ ხელი შეუწყო მეცნიერების ყველა
ფორმის, (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო და პედაგო-
გიური), მძლავრ აღმავლობას, რამაც თავის მხრივ მკვეთრად
შეცვალა მოზარდი თაობის აღზრდის სისტემები. ეს
ცვლილებები ფიზიკურ აღზრდასაც შეეხო. იმ მოღვაწეებს,
რომლებმაც ითავეს აღზრდის ახალი სისტემების შექმნა -
ჰუმანისტები უწოდეს. ისინი ქადაგებდნენ ჯანმრთელი და
სიცოცხლისუნარიანი ადამიანების აღზრდას. ჰუმანიზმი
პირველად იტალიაში ჩაისახა, შემდეგ საფრანგეთში, ინგლი-
სში, ჩეხეთში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც გავრცელდა.

ადრინდელი იტალიური ჰუმანიზმის წარმომადგენე-
ლია - ვიტორინო დე ფელტრე (1378-1446). ქალაქის ბინძური
ქუჩებიდან მან სკოლა ბუნების წიაღში გადაიტანა, რომელ-
საც „მხიარული სახლი“ შეარქვა. დე ფელტრე აღზრდის
სისტემაში ახალ მეთოდებს იყენებდა, რომელიც ჰუმანის-
ტური პედაგოგიის პრინციპებზე იყო დაფუძნებული. ამ
სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობოდა გონებრივი, ესთე-
ტიკური და ფიზიკური აღზრდის შეხამებას. მოსწავლეები
ეუფლებოდნენ ცხენოსნობას, ჭიდაობას, სხვადასხვაგვარ
თამაშებს და ცეკვებს. მეცადინეობები მიმართული იყო
სიმარდის, მოქნილობის, მოძრაობების შესრულების სილამა-
ზისა და მოხდენილობისაკენ. ვიტორინო დე ფელტრეს პედა-
გოგიურმა მოღვაწეობამ განაპირობა ფიზიკური აღზრდის
იდეების განვითარება მომდევნო წლებში.

თვალსაჩინო ფრანგი ჰუმანისტი, მეცნიერი და მწერა-
ლი, საქვეყნოდ ცნობილი რომანის „გარგანტუა და
პანტაგრუელის“ ავტორი - ფრანსუა რაბლე (1494-1553) თავდა-
პირველად ბერი და მღვდელთმსახური იყო. რაბლეს რომანი
მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამ გენიალურ სატირაში
ავტორი დასცინის სქოლასტიკური განათლების უაზრობას,
მის სრულ იზოლაციას ცხოვრებისაგან და გამოხატავს

პროგრესულ, ჰუმანისტურ შეხედულებებს აღზრდა-განათლებლაზე. სატირაში რაბლე ეხება ეპოქის მსოფლმხედველობის ყველა მხარეს, გამოთქვამს აზრებს აღზრდის შესახებ და იძლევა არსებული აღზრდის სისტემის კრიტიკას. რომანში რაბლე ფიზიკური აღზრდის საკითხებსაც ეხება.

რომანში რაბლე მოგვითხრობს მეფის შვილის-გარგანტუას აღზრდის შესახებ. პირველად იგი სქოლასტიკური პედაგოგების ხელში ხდება და ხანგრძლივი უსისტემო სწავლების შედეგად ძლივს აითვისა ანბანი. გარგანტუა არანორმალურ ცხოვრებას ეწეოდა - იღვიძებდა გვიან, სვამდა და ჭამდა უზომოდ, თამაშობდა ბანქოს და ბოლოს სულ დაუჩლუნგდა გონება. დარწმუნდა რა, რომ ამგვარმა აღზრდამ მხოლოდ უარყოფითი ნაყოფი გამოიღო, მეფემ განდევნა მისი მასწავლებლები და აღსაზრდელად შეიღოს ახალი მასწავლებელი მიუჩინა. ეს ახალი ტიპის პედაგოგ-ჰუმანისტი იყო. შეიცვალა გარგანტუას დღის რეჟიმი და მთელი ცხოვრება. იგი დილით ადრე დგება. გასეირნების შემდეგ იმეორებს გაკვეთილებს და შემდეგ თამაშობს ბურთს და ასრულებს სხვადასხვა ვარჯიშებს. ამის შემდეგ იგი კვლავ მეცადინეობს და ისევ ვარჯიშობს, რომლის პროგრამაში შედის ჭიდაობა, ცხენოსნობა, ფარიკაობა, რბენა, ხტომა, ცურვა, შუბის ტყორცნა, ბაგირზე ცოცვა, სიმძიმეების აწევა და სხვ. ვახშობის შემდეგ გარგანტუა მუსიკით ერთობა და ამით მთავრდება დღე. რაბლე მოითხოვდა აღსაზრდელისათვის დღის მტკიცე რეჟიმს, პირად ჰიგიენას (ხშირი ბანაობა, მასაჟი), კვების რეჟიმს და სხვ.

გვიანდელი პერიოდის იტალიურ ჰუმანისტთა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო პადუას უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინისა და ფილოსოფიის დოქტორი იერონიმე მერკურიალისი (1530-1606). იგი ავტორია ექვსი წიგნისა, რომელიც ტანვარჯიშის ხელოვნებას ეძღვნება. მან საფუძვლიანად შეისწავლა ძველი დროის ექიმებისა და ფილოსოფოსების ნაშრომები ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკურ ვარჯიშთა გავლენის შესახებ. მისი პირველი სამი წიგნი ტანვარჯიშის ისტორიის განხილვას ეძღვნება, ხოლო დანარჩენი სამი - ფიზიკური ვარჯიშების საექიმო ანალიზს. თავის ნაწარმოებში ავტორი ვარჯიშებს სამ

ჯგუფად ყოფს: პირველ ჯგუფს იგი გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს მიაკუთვნებს, რომლებსაც „ჭეშმარიტ“ ვარჯიშებად ნათლავს. მეორე ჯგუფში შედის სამხედრო ვარჯიშები („აუცილებელი“ ვარჯიშები). მიუხედავად იმისა, რომ მეორე ჯგუფის ვარჯიშები ავტორის დიდ იდეოლოგიას არ იწვევს, კლასობრივ საზოგადოებაში მას მაინც საჭიროდ მიიჩნევს. მესამე ჯგუფში კი შეჯიბრებისათვის მოსამზადებელი ვარჯიშები შედის („ათლეტური“ ვარჯიშები), რომელიც მერკურიალისს უსარგებლო და ყალბად მიაჩნდა. ავტორის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი „ცდილობს დაუბრუნოს მსოფლიოს ტანვარჯიშული ხელოვნება“, უარყოფილ იქნა მისივე წიგნების შინაარსით. ფაქტიურად, მერკურიალისმა ვერ დაუბრუნა მსოფლიოს ტანვარჯიში“, იგი შეეცადა მხოლოდ დაემორჩილებინა ტანვარჯიში მმართველი კლასის ინტერესებისათვის. მერკურიალისი ცდილობდა ფიზიკური ვარჯიშები გამაჯანსაღებელ-ჰიგიენური ფაქტორების დამხმარე საშუალებად გაეხადა.

დიდი ჩეხი მოაზროვნე და პედაგოგ-ჰუმანისტი იან ამოს კომენსკი, მეწისქვილის ოჯახში დაიბადა. გერმანიაში განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1632 წელს კომენსკიმ დაამთავრა თავისი ძირითადი ნაწარმოები „დიადი დიდაქტიკა“, რომელშიც მოცემულია მისი პედაგოგიური სისტემა.

იან ამოს კომენსკი ყოველმხრივი აღზრდის მომხრეა. იგი მოითხოვს საყოველთაო დაწყებით სწავლებას და დამუშავებული აქვს მთლიანი სკოლის სისტემა. „არა მარტო მდიდრების ან წარჩინებულების ბავშვებს - ამბობდა კომენსკი, - არამედ, ყველა ერთნაირად, წარჩინებულები და არაწარჩინებულები, მდიდრები და ღარიბები, ვაჟები და ქალები, ყველა ქალაქსა და სოფელში უნდა იყვნენ ჩაბმული სკოლებში“. იან კომენსკი პირველი პედაგოგი იყო, რომელმაც წამოჭრა საკითხი სკოლამდელი აღზრდის საჭიროების შესახებ და ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით დაწვრილებით დაამუშავა ასეთი აღზრდის შინაარსი. „დიად დიდაქტიკაში“ იგი სწავლების და აღზრდის თეორიის განხილვას იწყებს ფიზიკური აღზრ-

დის საკითხებიდან. კომენსკი ეხება ბავშვთა ფიზიკური განვითარების, მათი ორგანიზმის ჯანმრთელობის, ჰიგიენური რეჟიმისა და კვების საკითხებს. ფიზიკური აღზრდის უპირველეს ამოცანად მას ადამიანის სხეულის გამოწრთობა, ჯანმრთელობა და გონებრივი მოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა მიაჩნია.

იან ამოს კომენსკის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა წამოჭრა საკითხი ბავშვთა ჯანმრთელობის შესახებ და ფიზიკურ აღზრდას პედაგოგიურ მუშაობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მიანიჭა.

კომენსკის პედაგოგიურმა შეხედულებებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო დემოკრატიული პედაგოგიური აზროვნების ფორმირებაზე.

აღნიშნულ პერიოდში ფიზიკური აღზრდის იდეის განვითარებას საგრძნობლად შეუწყო ხელი უტოპისტების, ინგლისელი - თომას მორისა (1478-1535 წწ.) და იტალიელი ტომასო კამპანელას (1568-1639 წწ.) იდეებმა. ისინი თავის ნაწარმოებებში "უტოპია" და "შხის ქალაქი" მკაცრად აკრიტიკებენ არა მარტო ფეოდალურ საზოგადოებას და მის აღზრდის სისტემას, არამედ იმ დროისათვის უკვე ჩასახულ ბურჟუაზიულ ურთიერთობებს. ისინი ოცნებობდნენ ისეთ საზოგადოებაზე, სადაც ყველა იქნებოდა თანასწორი, არ იქნებოდა კერძო საკუთრება, სადაც აღზრდას ექნებოდა ყოველმხრივი ხასიათი. მორი და კამპანელა თვლიდნენ, რომ ფიზიკური აღზრდა აუცილებელი ელემენტი იყო ადამიანის ჰარმონიული განვითარებისათვის, საზოგადოების ყველა წევრის ჯანმრთელობა და ფიზიკური აღზრდა სახელმწიფოს საქმედ უნდა ქცეულიყო.

2.4. მივიწყებული ოლიმპიური ტრადიციების აღორძინება

ოლიმპიური თამაშების საზოგადოებრივ აზროვნებაში დამკვიდრებას ჯერ კიდევ აღორძინების ხანაში ჰქონდა მცდელობა, რომლებშიც შუა საუკუნეების გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები იღებდნენ მონაწილეობას. ერთ-ერთი პირველთაგანია აღორძინების ხანის

ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი და სახელმწიფო მოღვაწე მათელ კალმეური, რომელმაც 1450 წელს გამოცემულ თავის წიგნში „სამოქალაქო ცხოვრებაზე“, საზოგადოებრიობას შეახსენა ანტიკური ოლიმპიური თამაშების შესახებ და მოაწვდა მისი აღდგენის აუცილებლობისაკენ. იგი ხაზს უსვამდა ოლიმპიური თამაშების როლს და მიუთითებდა მის მნიშვნელობაზე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესდგომი გაუმჯობესების საქმეში.

ანტიკური ოლიმპიური თამაშების მსგავს შეჯიბრებას აწყობს 1561 წელს იურისტი იოჰანეს აკვალა. ბადენში გამართულ ასპარეზობას მან „საჩვენებელი ოლიმპიური გამოსვლები“ დაარქვა.

ქველბერძნულ ოლიმპიადებზე და მათ მნიშვნელობაზე მოგვითხრობს ფრანგი სწავლული ჰეტრეს ფაბერი თავის აგონისტიკაში, რომელიც პარიზში გამოდის 1592 წელს.

ოლიმპიზმის იდეების მომხრეთა რიცხვს განეკუთვნება ინგლისელი სამეფო პროკურორი რობერტ დოვერი, რომელმაც XVII საუკუნის დასაწყისში, ინგლისის მეფის იაკობ პირველის მხარდაჭერით, წმინდა სამების დღეებში თავის მამულში მოაწყო „ოლიმპიური თამაშები“. მის პროგრამაში შედიოდა ჭიდაობა, ფარიკაობა, ბალახის ჰოკეი, შეჯიბრებები ხტომაში, მეტალის უროსა და შუბის ტყორცაში. აღნიშნული თამაშები აღწერილია მ. დრაიტონისა და ბ. ჯონსონის პოემებში (1636 წ.), რომლებშიც ძალოსანი კ. დოვერი გვევლინება, როგორც მითიური გმირი ჰერაკლე.

ოლიმპიზმის იდეებს ქადაგებდნენ ცნობილი დრამატურგი ფრიდრიხ შილერი და ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი, კომპოზიტორი და განმანათლებელი - ჟან ჟაკ რუსო.

XVII საუკუნეში ინგლისში ხშირად ჩატარებულ სპორტულ ფესტივალებზე (რომლებსაც „ოლიმპიურ თამაშებს“ ეძახდნენ) იუწყება ა. რობინსი პუბლიკაციაში „ოლიმპიელები ინგლისში“ (1908 წ.).

თავი III. ფიზიკური აღზრდა და სპორტი †
ახალ დროში (XVII-XIX)

XVIII-XIX საუკუნის ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა ძირფესვიანად შეარყია ფეოდალური წყობის საფუძვლები, რომლებმაც უზრუნველყო კაპიტალიზმის გამარჯვება და განმტკიცება. დაიწყო ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში წარმოებისა და კულტურის სწრაფი განვითარება. წარმატებებმა სამხედრო საქმეში, მეცნიერებაში, კულტურასა და ხელოვნებაში თავისი დადებითი ზემოქმედება მოახდინა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროზე. ისტორიის ამ ეტაპზე ძირითად კლასებს წარმოადგენდნენ ბურჟუაზია და მის მიერ ექსპლუატირებული მუშები. ყალიბდებოდა ბურჟუაზიული ფიზიკური აღზრდის თეორიული საფუძვლები და შემდგომ განვითარებას პოულობს ბურჟუაზიული ფიზიკური აღზრდა, რომელიც ცდილობს აღზარდოს ფიზიკურად ძლიერი, გაკაუებული, სამხედრო საქმეს დაუფლებული მოზარდი თაობა, რათა შესძლოს გადალახოს ნებისმიერი სიძნელეები და განამტკიცოს კლასობრივი ბატონობა.

ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული თეორიებიდან ამ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი მოღვაწეების - ჯომ ლოკის, ჟან-ჟაკ-რუსოს და იოჰან პესტალოცის პედაგოგიურ შეხედულებებს.

ჯონ ლოკი (1632-1704 წწ.) - ინგლისელი ფილოსოფოსი, თავდაპირველად სწავლობდა ვესტმინსტერის სკოლაში, სადაც კლასიკური განათლება მიიღო. ლოკი ბურჟუაზიული პედაგოგიის თეორეტიკოსი იყო. მისი აღზრდის სისტემის უპირველესი მიზანი იყო - ახალგაზრდა ბურჟუის პირადი ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის მომზადება. მისი აზრით, ადამიანი შეიძლება ადამიანად მხოლოდ აღზრდის საშუალებით ჩამოყალიბდეს. ახალგაზრდა კაცს - ამბობდა ჯ. ლოკი - უნდა ჰქონდეს განვითარებული გონება, ძლიერი ნებისყოფა და გამობრძმედილი სხეული, რომელიც დაემორჩილება ნებისყოფას. რამდენადაც სუსტია ჩვენი სხეული, იმდენად გვიმორჩილებს იგი ჩვენ.

აღზრდის საერთო სისტემაში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკურ აღზრდას. მან დაამუშავა ფიზიკური აღზრდის თავისი თეორია, რაც მიზნად ისახავდა ჯანმრთელობის განმტკიცებას, ნებისყოფის და ხასიათის აღზრდას, ცხოვრებისათვის საჭირო ჩვევებისა და თვისებების შექმნას, რომლებიც ესაჭიროებოდა ინგლისის ახალგაზრდა ბურჟუაზიას კაპიტალიზმის გამარჯვებისა და განმტკიცების პერიოდში.

ჯონ ლოკი მომხრეა ინდივიდუალური აღზრდისა მსიღარ ბურჟუაზიულ ოჯახში გუვერნიორის ხელმძღვანელობით. სკოლა მას „უზრდელი და უხეში ბავშვების შეკრებად“ მიაჩნია.

ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778 წწ.) - ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი და პედაგოგ-განმანათლებელი წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი იყო. იგი უნევაში დაიბადა ხელმოკლე მესაათის ოჯახში. იგი ადრევე იძულებული გახდა დაეწყო ხეციალი ღუკმაპურის მოსაპოვებლად. ბოლოს რუსო პარიზში დამკვიდრდა, სადაც მოწინავე ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებს დაუახლოვდა. ჟან ჟაკ რუსომ თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო აღზრდის საკითხების გაშუქებას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი რომანი „ემილი ან აღზრდის შესახებ“, სადაც „ბუნებრივი აღზრდის“ თეორიას ავითარებს. თავისი რწმენისათვის რუსოს ხელისუფლებამ დევნა დაუწყო. მისი რომანი კი დაწვა. ამის გამი იგი შვეიცარიაში გადასახლდა, მაგრამ აქაც სდევნიდნენ და იძულებული გახდა ინგლისში გადასულიყო. ბოლოს ის კვლავ საფრანგეთში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა 1778 წელს.

რუსოს თხზულებები აღსავსეა პროტესტით ფეოდალური ჩაგვრისა და უთანასწორობის წინააღმდეგ. ამკარად გამოხატავს კერძო საკუთრებას. მისი აზრით მხოლოდ აღზრდის საშუალებით შეიძლება ქვეყნიერების წესიერად გარდაქმნა. რუსო მთლიანად ბუნებრივი აღზრდის მომხრეა და მხოლოდ ამ პირობებში მიაჩნია პიროვნების ყოველმხრივი განვითარება. მისი აზრით, ბავშვი უნდა იყოს ჯანმრთელი, ამტანი, შეჩვეული ბუნების სხვადასხვა მოვლენათა ცვლილებებს. რუსო აღნიშნავდა, რომ ფიზიკური აღზრდა ადამიანს ესმარე-

ბა სამყაროს უკეთ შეცნობაში. „რადგან სხეული სულზე ადრე იბადება - წერს რუსო, - უპირველესი ყურადღება სხეულის მოვლას უნდა დაეთმოს“. ჯანმრთელობას იგი ადამიანის სწორი განვითარების აუცილებელ პირობად თვლის, ხოლო რაც შეეხება ავადმყოფ ბავშვებს, მათზე ხრუნვა, მისი აზრით, არ შედის პედაგოგის ფუნქციებში.

მეტად მცდარ აზრს გამოთქვამს რუსო ქალთა აღზრდის შესახებ. მისი აზრით, ქალისათვის არ არის საჭირო სერიოზული გონებრივი აღზრდა, რადგან ზოგიერთი მეცნიერება, თითქოს, ბუნებრივად უცხოა ქალისათვის, ზოგიერთიც არ შეეფერება მის დანიშნულებას. უფრო პროგრესულ აზრებს გამოთქვამს რუსო ქალთა ფიზიკური აღზრდის შესახებ. მას ერთნაირად საჭიროდ მიაჩნია ფიზიკური აღზრდა როგორც ვაჟთა, ისე ქალთათვის.

ჟან-ჟაკ რუსოს იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა გერმანიაზე, შვეიცარიაზე, ინგლისზე და სხვა ქვეყნებზე. რუსოს გავლენით ჩამოყალიბდა დიდი პედაგოგ-დემოკრატის იოჰან ჰენრიჰ პესტალოცის პედაგოგიური სისტემა. იგი 1746 წელს ექიმის ოჯახში დაიბადა. ამ პერიოდში შვეიცარიაში ძალაუფლება ერთი მუჭა არისტოკრატის ხელში იყო, რომელიც ძალზე ავიწროებდა გლეხობას.

აღზრდა, პესტალოცის აზრით, ყოველი ადამიანის საკუთრებად უნდა გამხდარიყო, მაგრამ სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებათა შეზღუდულობის გამო, იგი არც კი ოცნებობდა ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შექმნაზე, რომელიც ბოლოს მოუღებდა სოციალურ უთანასწორობას და აღზრდას მართლაც მთელი ხალხის ავლადიდებად გახდიდა.

პესტალოცისათვის ცენტრალურ ფიგურას გლეხი წარმოადგენს. როგორც მთელ ევროპაში, ისე შვეიცარიაში, სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა მრეწველობა და უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხობა ქალაქისაკენ მიემშურებოდა.

პესტალოცი ოცნებობდა გლეხთა და ხელოსანთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე. იგი ხედავდა მათ მძიმე მდგომარეობას, მაგრამ გამოსავალი გზა ვერ გამოიხატა. პესტალოცი დიდ იმედს ამყარებდა კეთილ მემამულეზე, რომელსაც უნდა ეზრუნა გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესე-

ბაზე შექმნილ პირობებში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ მოძრაობათა და ვარჯიშობათა დამუშავებას, რომელთა საშუალებით გლეხი ადვილად შეძლებდა შრომის ერთი სახიდან მეორეზე გადასვლას.

1807 წელს გამოცემულ წიგნში 'ელემენტარული ტანვარჯიში' პესტალოცი წერს: 'ტანვარჯიშის საწყის წერტილს უნდა წარმოადგენდეს ის მოძრაობები, რომლებიც დასტირდებათ ბავშვებს შრომის იმ სახეობებისათვის, რომლებშიც მათ მომავალში მოუწევთ მუშაობა'.

პესტალოცი დაჟინებით მოითხოვს, რომ პედაგოგიური მუშაობა ფიზიკურ აღზრდაში მჭიდროდ იყოს დაკავშირებული გონებრივ და ზნეობრივ აღზრდასთან მიუხედავად იმისა, რომ ჰენრიხ პესტალოცის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები გამსჭვალულია დემოკრატისა და ჰუმანიზმის იდეებით, იგი მაინც წვრილბურჟუაზი დემოკრატია და სწორედ ამიტომ ვერ ნახულობს სწორ გზას გლეხთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. იგი ოცნებობს, რომ გლეხი შეაგუოს კაპიტალისტურ წყობილებას და მის პირობებში არსებულ შრომას.

ფილანტროპინი. საფრანგეთიდან შემოღწეული ჟან-ჟაკ რუსოს იდეების გავლენით გერმანიაში, კერძოდ, დესაუში, 1744 წელს დაარსდა ახალი ტიპის სკოლა - ფილანტროპინი, სადაც სწავლება აგებული იყო გონებრივი და ფიზიკური აღზრდის შეხამების საფუძველზე. ამ სკოლაში სწავლობდნენ სამი კატეგორიის მოსწავლეები: აკადემისტები (მდიდარი ოჯახის წარმომადგენლები), პედაგოგისტები (საშუალო ფენის წარმომადგენლები, მომავალი მასწავლებლები) და ფამულიანტები (ლათინური ფამულუს - მოსამსახურე) დაბალი ფენის წარმომადგენლები (მომავალი მოსამსახურეები). ამ სკოლაში ტანვარჯიშს ასწავლიდნენ **გერხარდ ფიტი** (1765-1836 წწ.) და **იოჰან გუტს მუტსი** (1759-1839 წწ.), რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფიზიკური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში. გ. ფიტმა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე სპეციალური წიგნი დაწერა - „ყმაწვილთა აღზრდა“, სადაც ყველა ვარჯიშს ჰყოფდა მარტივ და რთულ ვარჯიშებად. თავის მხრივ ეს ვარჯიშები მან დაჰყო ტანვარჯიშულ (რბენა, ხტომა, ტყორცნა,

ჭიდაობა, ცურვა) და რაინდულ ვარჯიშებად (ცეკვა, ფარიკაობა, ცხენოსნობა).

გუტს-მუტსის წიგნებში „ტანვარჯიში სამშობლოს შვილებისათვის“ და „ტანვარჯიში მოზარდებისათვის“ შეკრებილია ყველა, მანამდე არსებული, ფიზიკური ვარჯიშები, შეავსო იგი და ერთგვარ სისტემაში მოიყვანა. პედაგოგიური თვალსაზრისით, გუტს-მუტსი ფიზიკურ ვარჯიშებს სამ სახედ ჰყოფს: 1. საკუთრივ ტანვარჯიშს; 2. ხელგარჯილობას; 3. ბავშვთა თამაშები. თავისი მნიშვნელობის მიხედვით ფიზიკური ვარჯიშები მას დაყოფილი აქვს მარტივ და რთულ, აქტიურ და პასიურ ვარჯიშებად. განსაკუთრებულ მნიშვნელობას გუტს-მუტსი ანიჭებდა თამაშებს, რომლებსაც იგი ორ ნაწილად: მოძრავ და უძრავ თამაშებად ყოფდა.

გუტს-მუტსს საჭიროდ მიაჩნდა გერმანიაში ნაციონალური ტანვარჯიშული დღესასწაულების სისტემა-ტურად გამართვა. ამ საშუალებით მას სურდა გერმანული ნაციონალური სულის ამაღლება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური თეორიები განსხვავებული იყო, ფაქტია, რომ მათი ძირითადი ამოცანა იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად ვითარდებოდა.

3.1. ტანვარჯიშული სისტემები

ტანვარჯიშული სისტემების აღმოცენების პროცესი მიმდინარეობდა XIX საუკუნის დასაწყისიდან. ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციებისა და ნაპოლეონის ომების პერიოდში იქმნებოდა დიდი არმიები და საჭირო ხდებოდა მათი განუწყვეტლივი შევსება. ამ მიზნით განსაკუთრებული უპირატესობა ტანვარჯიშს ენიჭებოდა, რომლის საშუალებით მეომრებს ასწავლიდნენ სხვადასხვა მოძრაობებს, აჩვენდნენ განკარგულებათა კოლექტიურად შესრულებას და დისციპლინის განმტკიცებას.

ამ პერიოდის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აღმოცენდა და განვითარდა ფიზიკური აღზრდის ოთხი ტანვარ-

ჯიშული სისტემა: 1) გერმანული ტანვარჯიშული სისტემა; 2) შვედური; 3) ფრანგული და 4) ინგლისური.

გერმანული ტანვარჯიშული სისტემა. ამ პერიოდის გერმანია დაქუცმაცებულ, სუსტ და ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა, რის გამოც ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ნაპოლეონის არმიას და XIX საუკუნის დასაწყისში იგი ოკუპირებული აღმოჩნდა ფრანგი ჯარისკაცებისაგან. გერმანიაში დაიწყო მოძრაობები ქვეყნის განთავისუფლებისათვის 1808 წელს აქ შეიქმნა ფარული ორგანიზაცია „ტუჰენდბუდი“ („ზნეობის კავშირი“), მაგრამ ფრანგმა საოკუპაციო ხელისუფლებამ უმაღლეს აკრძალა იგი. დაიწყო ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება გერმანელების სამხედრო-ფიზიკური მომზადებისათვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა წინააღმდეგობის ძალთა გაერთიანებას. 1810 წელს შეიქმნა გერმანული ნაციონალური ტანვარჯიშის მოყვარულთა წრე, რომლის სულისჩამდგმელი და მამამთავარი ფრიდრიხ იანი (1778-1852 წწ.) იყო. იგი ბერლინის ერთ-ერთ სასწავლებელში მასწავლებლობდა, სადაც სხვადასხვა სახის თამაშებს და ფიზიკურ ვარჯიშებს აწყობდა. ფიანმა გამოიყენა ფიტისა და გუტს-მუტსის დამუშავებული მასალები და შექმნა ეროვნული ტანვარჯიშული სისტემა „ტურნერი“, რომლის მეოხებითაც ის ფიქრობდა დამჯერი და მორჩილი ჯარისკაცის მომზადებას. 1816 წელს იანმა გამოსცა წიგნი „გერმანული ტანვარჯიში“, სადაც ღერძზე, ორძელზე და ტაიჭზე ვარჯიშები აღწერა. მეთოდური თვალსაზრისით, იანის სისტემა საკმაოდ პრიმიტიული იყო. ტანვარჯიშულ იარაღებზე ვარჯიშები კი საკმაოდ მარტივი. „ტურნერის“ საზოგადოებათა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, რამაც გამოიწვია ტურნერთა კავშირების შექმნა (ტურფერინები).

იანმა თავისი თანამოაზრეების დახმარებით შექმნა ჯერ ბერლინელი, შემდეგ კი მთელი გერმანელი ბავშვების მასობრივი ჩაბმა ტანვარჯიშში. შაბათ-კვირას ბავშვები გაჰყავდათ ქალაქგარეთ მოწყობილ სპეციალურ ბაზებზე, სადაც ეწყობოდა მასობრივი სამხედრო თამაშები. სადამოს კი ეწყობოდა პოლიტიკური საუბრები და ჩატარებული თამაშების შედეგების გარჩევა. მეორე დღე კი ეომბოდა

წინა დღეს დაშვებული შეცდომების გასწორებას. აღსანიშნავია, რომ იანის ტანვარჯიში XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან გერმანიის სკოლებშიც იქნა შეტანილი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფრიდრიხ იანმა, როგორც ყოველივე გერმანულის დიდმა მეხოტბემ, ტანვარჯიშში მთლიანად უკუაგდო ბერძნული ტერმინები და მასში გერმანული ტერმინოლოგია დაამკვიდრა.

შვედური ტანვარჯიში სისტემა. შვედური ტანვარჯიში სისტემის მამამთავარი იყო პიერ ჰენრიხ ლინგი და მისი ისეუბის გამგრძელებელი მისი შვილი იალმარ ლინგი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პიერ ლინგმა იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში, სადაც გაეცნო აღზრდის საქმეს. 1805 წელს მან დაიკავა ლენდის უნივერსიტეტის ფარიკაობის მასწავლებლის ადგილი, ამასთან ერთად იგი ტანვარჯიშსაც ასწავლიდა.

1813 წელს პიერ ლინგის ინიციატივით სტოკჰოლმში შეიქმნა სპორტული პროფილის დაწესებულება-სასწავლებელი, სადაც იგი საკუთარ თეორიულ იდეებს ნერგავდა. ლინგმა მიზნად დაისახა ტანვარჯიში სისტემის შექმნა, რომლის მიზანი ბურჟუაზიული არმიისათვის ჯარისკაცის მომზადება იყო. მან ვარჯიშები ოთხ ნაწილად გაყო: ვარჯიშები იარაღებზე, ვარჯიშები იარაღებით, უიარაღოდ და იარაღებთან. მის მიერ შემოღებულ ვარჯიშებს მექანიკური ხასიათი ჰქონდა. თითოეული ვარჯიში განსაკუთრებული იყო სხეულის ცალკეული ნაწილისათვის: ხელების, ფეხების, მუცლის კუნთების და ზურგისათვის.

იალმარ ლინგმა მამის მიერ შექმნილი ვარჯიშების სრულყოფის მიზნით შექმნა ახალი ტანვარჯიში იარაღები: შვედური კედელი, შვედური სკამი, ორმაგი ბუმი და სხვ. მან გააუმჯობესა ტაიჭზე, ლატანზე, კიბეზე და სხვა იარაღებზე ვარჯიშების მეთოდიკა.

ფრანგული ტანვარჯიში სისტემა. საფრანგეთის სამხედრო-გამოყენებითი ტანვარჯიში ჩაისახა XIX საუკუნის პირველ მესამედში. მისი ფუძემდებელი იყო ესპანური არმიის ლეიტენანტი ფრანცისკო ამოროსი (1779-1848 წწ.), რომელიც პარიზში გადასახლებამდე მადრიდის სატანვარჯიშო ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. ამოროსმა

საფუძვლიანად შეისწავლა პესტალოცის შეხედულებები ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში. 1817 წელს მან პარიზში გახსნა კერძო ტანვარჯიში დაწესებულება, რითაც მიიპყრო საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ყურადღება. მას დაავალეს მოხსენებითი ბარათის შედგენა სამხედრო სასწავლებელში და არმიაში მომსახურეთა ფიზიკური მომზადების მდგომარეობის შესახებ. 1829 წელს კი ნება დართეს შეექმნა სახელმწიფო ტანვარჯიში სკოლა, რომელიც ტანვარჯიშის მასწავლებელ-ოფიცრებს მოამზადებდა. 1834 წელს ამოროსს მიანდეს საფრანგეთში არსებული ყველა ტანვარჯიში დაწესებულების ხელმძღვანეობა. თავისი სისტემის შედგენისას ამოროსმა გამოიყენა ა. სუვოროვის დებულება იმის შესახებ, რომ ჯარისკაცი უნდა სწავლობდეს იმას, რაც ომის დროსაა საჭირო. ამოროსის სისტემა შეიცავდა სამხედრო-გამოყენებითი ხასიათის ვარჯიშთა ჯგუფებს (სიარულს, რბენას, ხტომას, ცოცვას, ჭიდაობას, ცურვას, ტყორცნას, სიმძიმეების აწევას, სროლას, ცხენოსნობას, მესერიას და თხრილების დაძლევას, როგორც ტვირთით, ისე უტვირთოდ, ცურვას ტანსაცმელში და იარაღით და სხვ.). დიდი ყურადღება ეთმობოდა ამოროსის სისტემაში ხნეობრივ აღზრდას. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში ფიზიკური აღზრდა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამოროსის ტანვარჯიშით. თავადაზნაურთა წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფარიკაობა. სპორტის ამ სახეობის სწავლებისათვის სპეციალურად მზადდებოდნენ მასწავლებლები. ეწყობოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრება. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში საფრანგეთში დაიწყო ველო-სპორტის განვითარება, დიდი მონღომებით თამაშობდნენ გოლფს, კროკეტს, ჩოგბურთს, კვლავინდებურად ხალხმრავლობა იყო მშვილდოსნებისა და მსროლელების (პისტოლეტი, თოფი) შეჯიბრებებზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში პოპულარული გახდა ჩეხური „სოკოლური“ ტანვარჯიში, რომელიც დაარსებულ იქნა პრადის უნივერსიტეტის პროფესორის მიროსლავ ტირშისა და მდიდარი ვაჭრის ფიგნერის მიერ 1862 წელს. ამ საზოგადოების ძირითადი მიზანი იყო ჩეხი

ხალხის გათავისუფლება ეროვნული ჩაგვრისაგან. „სოკოლის“ ორგანიზაციებს უნდა მოემზადებინა ისეთი რაზმები, რომლებიც შეძლებდნენ ავსტრიის მონარქიის დამხობას და ჩეხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენებას. „სოკოლის“ სისტემას საფუძვლად დაედო ფიზიკური აღზრდის უკვე არსებული სისტემები.

„სოკლური“ ტანვარჯიში ოთხ ჯგუფად იყო დაყოფილი: 1. ვარჯიშები უიარაღოდ; 2. ვარჯიშები იარაღებით (ღერძი, ორძელი, ტაიჭი) და საგნებით (ჯოხები, გურზები, შარფები ქალებისათვის, თოფების მაკეტები მამაკაცებისათვის და სხვ.); 3. გუნდური ვარჯიშები (პირამიდები, აკრობატული ვარჯიშები და სხვ.); 4. საბრძოლო ვარჯიშები (ფარიკაობა, კრივი).

„სოკოლის“ ორგანიზაციები სწრაფად იზრდებოდა არა მარტო ჩეხეთში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში იქმნება კიდევ მრავალი ტანვარჯიშული სისტემები, რომელთაგან ზოგმა არსებითი როლი ითამაშა ტანვარჯიშული მოძრაობის განვითარებაში, ზოგმა კი ადრევე შეწყვიტა არსებობა.

ინდივიდუალური ტანვარჯიშული სისტემები. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ფართო გავრცელება ჰპოვა ინდივიდუალური ტანვარჯიშის მრავალრიცხოვანმა სისტემებმა. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია იოჰან მიულერის (1866-1939 წწ.) ოჯახური ტანვარჯიში - „ჩემი სისტემა“, ასევე ჟაკ დალკროზისა (1865-1950 წწ.) და აისედორი დუნკანის (1878-1927 წწ.) ქალთა მხატვრული ტანვარჯიშის ნაირსახეობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ახალ დროში მოხდა ტანვარჯიშის პედაგოგიური, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების ჩაყრა. ჩვენ მიერ განხილული ტანვარჯიშული სისტემების დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათში განზოგადებულია ფიზიკური აღზრდის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, ერთ სისტემაში მოხდა მრავალრიცხოვანი ფიზიკური ვარჯიშების თავმოყრა და მათი კლასიფიკაცია.

3.2. სპორტული და სათამაშო სისტემები

სპორტული და სათამაშო სისტემები ტანვარჯიშული სისტემების პარალელურად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იქმნებოდა, ისინი მხოლოდ განსხვავებულ ორგანიზაციულ-მეთოდურ პრინციპებზე იქმნებოდა. სპორტული და სათამაშო სისტემების საფუძველს ის ვარჯიშები შეადგენდნენ, რომლებიც შეჯიბრის ელემენტებს შეიცავდნენ და საუკეთესო სპორტული შედეგების მისაღწევად იყო მიმართული. ამ სისტემების აღმოცენება განაპირობა მრავალრიცხოვანმა ფიზიკურმა ვარჯიშებმა და თამაშებმა, რომლებიც დამკვიდრებული იყო სხვადასხვა ქვეყნებში. ქალაქებისა და სოფლების დღესასწაულებზე ხშირად გამოდიოდნენ მოჭიდავეები, მოკრივეები, აკრობატები და მოფარიკავეები, ხტომების, ტყორცებისა და სიმძიმეების აწევის მოყვარულები. ჩრდილოეთის ქვეყნების ხალხებში განსაკუთრებული პოპულარობით სათხილამურო და საციგურაო სპორტი სარგებლობდა.

სოფლისა და ქალაქის წარჩინებულებისათვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ცხენოსნობა, ფარიკაობა, კოლფი, კროკეტი, მშვილდოსნობა, პისტოლეტიდან სროლა და ნადირობის სხვადასხვა სახეობა. ამ პერიოდში იმართებოდა პროფესიონალი მოკრივეების, მოჭიდავეების, აკრობატებისა და ძალოსნების შეხვედრები. სხვადასხვა ქვეყანაში იხსნება სასწავლო დაწესებულებები (სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები და სხვ.), სადაც აკადემიურ სპორტს და სპორტულ თამაშებს უწევენ პოპულარიზაციას.

სპორტული და სათამაშო სისტემა დიდ ბრიტანეთში. ადრე, ვიდრე სხვაგან, ბურჟუაზიული სპორტული და სათამაშო სისტემა ამ უძველეს კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიქმნა, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიდი ბრიტანეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებასთან, რომელსაც XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი. გარკვეული ზეგავლენა ამ პროცესზე მოახდინა დიდი ბრიტანეთის გეოგრაფიულმა მდგომარეობამ. ზღვებით და ოკეანეებით გარშემორტყმული სახელმწიფო არ მიესწრაფოდა მასიური

არმიის შექმნისაკენ, როგორც ევროპის სხვა ქვეყნები.

ინგლისში სპორტის განვითარების მთავარ ცენტრებს სასწავლო დაწესებულებები წარმოადგენდნენ. პირველად აქ შეიქმნა მოყვარულთა წრეები რბენაში, კრივიში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში და სხვადასხვა სპორტულ თამაშებში. სპორტული მოძრაობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებმა, რომლებმაც 1838 წლიდან საფუძველი ჩაუყარეს ტრადიციულ შეჯიბრებებს ნიჩბოსნობაში, რომელიც დღესაც გრძელდება. 1863 წელს ინგლისში იქმნება ფეხბურთის ლიგა, რომელიც რეგულარულად მართავს შეჯიბრებებს დიდი ბრიტანეთის პირველობაზე.

ბრიტანეთის სპორტული და სათამაშო სისტემების ერთ-ერთი შემქმნელი იყო ქ. რეგბის კოლეჯის დირექტორი თომას არნოლდი (1795-1842 წწ.). იგი თავისი მოღვაწეობის ძირითად ამოცანად ისეთი კოლექტივის შექმნას ისახავდა, სადაც განვითარდებოდა მოსწავლეთა თვითშემოქმედება და აქტიურობა, რთულ სიტუაციებში სწრაფი და თამამი გადაწყვეტილებების მიღება. ამ მიზნების მისაღწევად თ. არნოლდს ისეთ სპორტში და თამაშებში სისტემატური მცადინეობა მიაჩნდა საუკეთესო საშუალებად, როგორც იყო მძლეოსნობა, კრივი, ნიჩბოსნობა, ცურვა, რეგბი, ფეხბურთი და კრიკეტი. დიდი ყურადღება ეთმობოდა არნოლდის სისტემაში საზრიანობის, სიმარჯვის, მორალური და ზნეობრივი თვისებების აღზრდას.

სპორტი და თამაშები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ევროპიდან ემიგრაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით აშშ-ში სწრაფად ვითარდება სპორტის სხვადასხვა სახეობები და თამაშები. მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში შეჭრილმა პესტალოცის პედაგოგიურმა იდეებმა განაპირობეს ამერიკის სკოლებსა და უნივერსიტეტებში ფიზიკური აღზრდის შემოღება. უკვე 50-70-იან წლებში იწყება ცალკეული სათამაშო და სპორტული კლუბების ჩამოყალიბება და შეჯიბრებების ჩატარება.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ამერიკის მკვიდრ მცხოვრებლებში ფართოდ იყო გავრცელებული მრავალი სახის ფიზიკური ვარჯიშები და თამაშები. ამერიკის ინდოელი

ტომებისათვის ცნობილი იყო სხვადასხვა სახის თამაშები ბურთით, მშვილდოსნობა, შუბის ტყორცნა, რბენა დიდ მანძილებზე, ხტომები და მრავალი სხვა. ამერიკის სპორტულ-სათამაშო სისტემის საფუძველს მაინც ევროპიდან შეტანილი თამაშები და სპორტი წარმოადგენდა. ამიტომ აშშ-ს ფიზიკურ აღზრდას ბევრი საერთო ჰქონდა ევროპულ სისტემებთან, განსაკუთრებით კი ინგლისურთან. აშშ-ში იქმნება სპორტის მთელი რიგი ახალი სახეები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით აღსანიშნავია კალათბურთი (1891 წ.) და ფრენბურთი (1895 წ.), რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში.

3.3. საერთაშორისო სპორტული მოძრაობის განვითარება, ოლიმპიური თამაშების აღორძინება

ვაანალიზებთ რა თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვად გადაიქცა.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება თვალსაჩინო ფრანგი განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, ლიტერატორი და სოციოლოგი ბარონი პიერ დე კუბერტენი, რომლის დაუღალავმა შრომამ და მიზანმიმართულმა მოღვაწეობამ არა მარტო განაპირობა ოლიმპიური თამაშების აღორძინება, იგი მსოფლიო თანამეგობრობის საზოგადოებრივი ცხოვრების წესად აქცია.

ძველებერძული ოლიმპიური სპორტის პირველ მკვლევარად მიიჩნევენ ინგლისელ ჯილბერტ ბესტს (1700-1756), რომელმაც თავისი სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა ოლიმპიური თამაშების ისტორიას. მან საკმაოდ საფუძვლიანად გააშუქა ოლიმპიზმის იდეები და მოუწოდა ოლიმპიადების აღდგენისაკენ.

ოლიმპიური თამაშების აღორძინების მცდელობა რამდენჯერმე იყო სამხრეთ ამერიკის კონტინენტზეც. 1779 წელს ამერიკელმა კონგრესმენმა უ. დრაიტონმა წამოაყენა

წინადადება დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ჩაეტარებინათ სპორტული ზეიმი, ისეთი, როგორსაც ატარებდნენ ძველ საბერძნეთში. მაგრამ, დრაციონს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეებიც. კონგრესმენი გ. ლოურენსი ასეთი თამაშების ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, იგი აღნიშნავდა, რომ - „ოლიმპიურმა თამაშებმა და სხვა სისულელეებმა განაპირობეს ბერძნების დაცემაო“.

საკმაოდ შთამბეჭდავი კვალი დატოვა სპორტის ისტორიაში ამერიკელმა დოქტორმა უილიამ ბრუკსმა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა „ოლიმპიური თამაშები“ დაბა ვენლოკში. აღსანიშნავია, რომ ხუთჯიდში გამარჯვებული დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით-ვერცხლის სასალათით, რომელიც ამ მიზნისათვის საბერძნეთის მეფემ პირადად გაუგზავნა ორგანიზატორებს.

ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა არაერთხელ წამოიჭრა XIX საუკუნეში. რიგ ქვეყნებში (კანადა, შვეცია და სხვა) იყო მცდელობა ჩაეტარებინათ სპორტული შეჯიბრებები „ოლიმპიური თამაშების“ სახელწოდებით. 1834 და 1836 წლებში შვეციის ქალაქ რამლესში ორჯერ ჩატარდა სკანდინავიური „ოლიმპიური თამაშები“. ამ ასპარეზობის პროგრამაში იყო რბენები მოკლე და გრძელ დისტანციებზე, სიმაღლეზე და ჭოკით ხტომა, ჭიდაობა. თამაშების ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო ლენდის უნივერსიტეტის პროფესორი გუსტავ იოჰან შარატაუ, რომელმაც 1833 წელს შექმნა ორგანიზაცია „ოლიმპიური კავშირი“. ამ ორგანიზაციის წესდების თანახმად, მთავარი ამოცანა იყო გაეღვიძებინათ ხალხის ინტერესი უძველესი ოლიმპიური თამაშებისადმი და ჩაეტარებინათ ასპარეზობები ოლიმპიური ტრადიციების შესაბამისად.

ოლიმპიური თამაშების აღდგენის მცდელობა იყო თვით საბერძნეთშიც. თურქეთის უღლისაგან გათავისუფლების შემდეგ, 1832 წელს იყო წინადადებები აღედგინათ ოლიმპიადები, როგორც ნაციონალური თამაშები.

1858 წელს საბერძნეთის არმიის მაიორმა ვვანგელის ცაპასმა (1800-1865), რომელსაც დიდი ფინანსური შესაძლებლობები გააჩნდა, საბერძნეთის მეფეს შესთავაზა ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა. მან საკუთარი სახსრებით შექმნა

ოლიმპიელების ფონდი და ააშენა დიდი სპორტული დარბაზი. მეფის ბრძანებულებით შეიქმნა საორტგანიზაციო კომიტეტი და 1859 წელს ათენში ჩატარებულ იქნა თამაშები, რომელსაც „პანელინური ოლიმპიადა“ უწოდეს. თამაშების პროგრამაში შედიოდა სპრინტერული და სტაიერული რბენები, ხტომები, ჭიდაობა, ბადროსა და შუბის ტყორცნა, ცხენოსნობა, ბაგირზე ცოცვა და ბაგირის გუნდური გადაძალვა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბერძნები მცირე აზიიდან, ეგვიპტიდან და კვიპროსიდან. გამარჯვებულებს დაფნის გვირგვინს და ფულად ჯილდოს თავად საბერძნეთის მეფე - ოტონ I გადასცემდა. მომდევნო თამაშები, რომელიც 1863 წელს უნდა გამართულიყო, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო (რაც მეფის სიკვდილით იყო გამოწვეული) არ ჩატარებულა. თუმცა მოგვიანებით ასეთი სახის თამაშები კიდევ ოთხჯერ გაიმართა 1870, 1875, 1888 და 1889 წლებში.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ოლიმპიური იდეების ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტის ა. კუპერის მოღვაწეობას, რომელმაც 1891 წელს წამოაყენა წინადადება ჩაეტარებინათ „ანგლოსაქსური ოლიმპიადა“, მასში მონაწილეობას მიიღებდნენ ამერიკისა და ბრიტანეთის იმპერიის ქვეყნებში. ამ იდეამ მხარდაჭერა ჰპოვა ინგლისში, ავსტრალიაში, კანადაში და სამხრეთ ამერიკაში, მაგრამ ყველაფერი სურვილის ფარგლებში დარჩა.

როგორც დავინახეთ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ოლიმპიური თამაშები ვერ იქცა ნაციონალური და მით უმეტეს საერთაშორისო შეჯიბრებად. მოგვიანებით პ. კუბერტები წერდა „ეს იყო ოლიმპიური თამაშების აღდგენის ნაადრევი და წარუმატებელი მცდელობა“.

ოლიმპიზმის იდეებს ხორცს ასხამდნენ ისტორიული და არქეოლოგიური კვლევა-ძიებებიც. 1707 წელს ბენედექტელი ბერი, ფრანგი დონ ბერნარ დე მონფოკონი აქვეყნებს წიგნს სათაურით „საბერძნეთის პალეოგრაფია“, რომელშიც პირველადაა გამოთქმული მოსაზრება ოლიმპიის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების წარმოების აუცილებლობის შესახებ.

1766 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა რიჩარდ ხანდლერმა დეტალურად აღწერა ზევის ტაძარი ოლიმპიაში და ამით საფუძველი ჩაუყარა ოლიმპიზმის მეცნიერულ შესწავლას.

ცნობილი ინგლისელი არქეოლოგის, ლორდ სტანპოვის ხელმძღვანელობით 1824 წელს მდინარე ალფეოსის სანაპიროზე იწყება გათხრები. ოდნავ მოგვიანებით, 1829 წელს ფრანგების ექსპედიცია წარმატებით ასრულებს არქეოლოგიურ გათხრებს, რომლებმაც აღმოაჩინეს შენობებისა და სპორტული ნაგებობების ნარჩენები და ექსპონატები. მთელ რიგ ექსპედიციებს აწყობდნენ ცალკეული პირები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო, მათ მაინც მიიქციეს საზოგადოების ყურადღება და კიდევ უფრო გააღვივეს უძველეს ეპოქაში ჩატარებული ოლიმპიური თამაშების ისტორიის შესწავლისადმი ინტერესი.

ოლიმპოს მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა ოლიმპიზმის იდეებით გატაცებულმა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ანტიკური ხანის უთვალსაჩინოესმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა, ბერლინისა და ჰეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორმა ერნსტ კურციუსმა (1814-1896). სხვადასხვა დროს (განსაკუთრებით 1875-1881 წლებში) მის მიერ აღმოჩენილ იქნა მნიშვნელოვანი განძეულობა, რომელმაც საგრძნობლად შეაფასო ჩვენი ცოდნა არა მხოლოდ უძველეს ოლიმპიურ თამაშებზე, არამედ ანტიკური ხანის ხელოვნებაზე, არქიტექტურაზე, ქანდაკებაზე, საერთოდ კულტურაზე. მდინარე ალფეოსის სანაპიროზე ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა 130-ზე მეტი ანტიკური ეპოქის ქანდაკება, 13 ათასამდე ბრინჯაოს ნივთი, 10 ათასამდე ფილა უძველესი წარწერებით. ასეთი სახის სამუშაოები და თავად ე. კურციუსის გამონათქვამები ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ უფრო აღვივებდნენ ოლიმპიური იდეების განვითარებას. ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში ის ამბობდა: „იმ შემთხვევაშიც კი, თუ ღმერთს დედამიწაზე გავრცელებული აქვს სხვა მცნებები, რომლებშიც გაცხადებულია უფრო მეტად დიადი რამ, ვიდრე ოლიმპიური დაზავება, მაშინაც კი ოლიმპია

ჩვენთვის წმინდა მიწად დარჩება და უთუოდ ჩვენ დროში უნდა გადმოვიტანოთ ის შეუპოვარი პატრიოტიზმი, ხელოვნებისათვის თავგასაწირად მზადყოფნა და შეჯიბრებებით გამოწვეული სიხარული, რომელიც ყველა ცხოვრებისეულ ძალას აჭარბებს“.

გათხრების შედეგებზე პუბლიკაციები სულ უფრო და უფრო ხშირად ქვეყნდებოდა ევროპის იმდროინდელ პრესაში. ცოცხლდებოდა ლეგენდები, მითები, რასაც ამყარებდა არქეოლოგთა ნაპოვნის მატერიალური საფუძველი. კურციუსის აღმოჩენებმა ერთიორად გაზარდა ანტიკურობისადმი და ოლიმპიური თამაშების აღორძინებისადმი ინტერესი, რომელიც კიდევ უფრო გააღვივა 1882 წელს. მის მიერ გამოცემულმა წიგნმა „ოლიმპიის საკურთხეველი“.

ერნსტ კურციუსი 88 წლის გარდაიცვალა და ეს 1896 წელს მოხდა, სწორედ იმ წელიწადს, როცა მისი ოცნება რეალობად იქცა და გაიმართა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები.

XVIII-XIX საუკუნეებში სხვადასხვა ქვეყანაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მოძრაობის ნაციონალური სისტემების ფორმირებამ და ჩამოყალიბებამ უდაოდ დიდი როლი შეასრულა ოლიმპიური თამაშების აღდგენის საქმეში. უნდა გამოიყოს გერმანული (ი. გუტს-მუტსი, გ. ფიტი, ფ. ანი, ლ. იანი და სხვა), ინგლისური (დ. ლოკი, ჩ. კინგლი, ტ. არნოლდი, გ. სპენსერი), ფრანგული (ჟ. რუსო, დ. ამორსი, გ. დემენი), შვედური (პ. და ი. ლინგები, პ. ლიდბეკი), ჩეხური (მ. ტირში, ი. ფუგნერი) და რუსული (ე. პოკროვსკი, ე. დემენტიევი, პ. ლესგაფტი) სისტემები.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინებას ხელი შეუწყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სხვადასხვა სპორტის სახეების გავრცელება-განვითარებამ და უდიდესი სერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარებამ. ჯერ კიდევ 1846 წელს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში 440 იარდის დისტანციაზე. ამ დისტანციაში იმარჯვა ამერიკელმა უ. რემენმა. 1858 წელს ასევე ავსტრალიაში ჩატარეს მსოფლიო ჩემპიონატი 100 იარდზე, რომელშიც ინგლისელ ჩარლზ სტადმენტან დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა ავსტრალიელმა ჯო ბენეტმა.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებიდან პოლანდიაში იმართება დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ციგურებით სწრაფობენაში. ასპარეზობაში, რომელსაც 20-30 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის, დანიის, ნორვეგიის, ინგლისის, პოლანდიისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

ამ პერიოდისათვის შეჯიბრებები ტარდებოდა სპორტის სხვა სახეობებშიც. 1871 წელს უნგრეთის ქალაქ ბუდაში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი სროლაში, რომელშიც ავსტრია-უნგრეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, თურქეთის, გერმანიისა და შვეიცარიის უძლიერესი მსროლელები მონაწილეობდნენ. 1877 წლიდან იღებს სათავეს ცნობილი უიმბლდონის ტურნირი. პირველად ბალახის კორტებზე ასპარეზობდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჩოგბურთელები. 1889 წელს ამსტერდამში ჩატარდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ციგურებით სწრაფობენაში. 1891 წელს ჩატარდა ევროპის პირველი ჩემპიონატი მძლეოსნობაში, ხოლო 1893 წელს ნიხოსნობაში.

ოლიმპიური თამაშების ჩატარების აუცილებლობას დიდი ბიძგი მისცა ნაციონალური და საერთაშორისო სპორტული გაერთიანებების კავშირების, ფედერაციების, ლიგებისა და კლუბების ჩამოყალიბებამ. 1858 წელს შეიქმნა „ამერიკის შეერთებული შტატების ბეისბოლის ნაციონალური ფედერაცია“. 1863 წელს ჩამოყალიბდა ინგლისის ფეხბურთელთა ლიგა. მოგვიანებით ყალიბდება ნაციონალური ფედერაციები ტანვარჯიშში, ცურვაში, საციგურაო და საიალქნო სპორტში, ნიხოსნობაში, ველოსპორტში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში და ძალოსნობაში.

1881 წელს შეიქმნა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია. 1882 წელს ნიხოსნობისა და მოციგურავეთა საერთაშორისო ფედერაციები.

გარდა ფედერაციებისა და კავშირებისა, იქმნებოდა ნაციონალური და საერთაშორისო სპორტული გაერთიანებები, რომელთა საქმიანობაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ სახელმწიფოებრივი ინტერესები, პოლიტიკური მდგომარეობა და რელიგიური შეხედულებები. მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციების უმრავლესობა ისწრაფოდა ფარ-

თო საერთაშორისო კავშირებისაკენ. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ასეთი ლტოლვის შედეგი ყოფილიყოს ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა, რომელიც XIX საუკუნის დამლევეს თითქმის მთელი მსოფლიოს სპორტულ საზოგადოებრიობას მოედო.

1894 წლის 16 ივნისს პარიზის სორბონის უნივერსიტეტის დიდ სხდომათა დარბაზში ორიათასამდე კაცმა მოიყარა თავი. პ. კუბერტენმა შეგნებულად აირჩია კონგრესის ჩასატარებლად მეცნიერების ტაძარი, რადგან ყველასათვის გასაგები ყოფილიყო, რომ საქმე გეჭონდა გაცილებით უფრო დიდ და მასშტაბურ მოვლენასთან, ვიდრე უბრალო სპორტულ თათბირთან. ფორუმს ესწრებოდა 12 ქვეყნის 49 სპორტული ორგანიზაციის 79 დელეგატი. მოსაწვევე ბარათებზე ეწერა - „ოლიმპიური თამაშების აღორძინების კონგრესი“. მოგვიანებით ეს კონგრესი ისტორიაში შევა, როგორც პირველი ოლიმპიური კონგრესი. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ფორუმის მონაწილეებზე ძველბერძნულ ენაზე წაკითხულმა „აპოლონის ჰიმნმა“, რომელიც ამ კონგრესის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე იქნა აღმოჩენილი.

კონგრესზე პერსონალური მოწვევა ჰქონდათ ამერიკელ პროფესორ უ. სლოენს, ინგლისელ ჩ. ჰერბერტს, შვედ. პ. ბლანკას და უნგრელ ფ. კამენის. დიდი ქვეყნებიდან მხოლოდ გერმანიამ განაცხადა უარი კონგრესის მუშაობაში მონაწილეობაზე. გერმანიის სამხედრო წრეები მტრულად განეწყვნენ ორგანიზატორების მიერ გამოცხადებული ოლიმპიური თამაშების პაციფისტური იდეებისადმი.

კონგრესის დელეგატები ორ სექციაში მუშაობდნენ და ძირითადად იმ საკითხებს განიხილავდნენ, რომელიც პ. კუბერტენმა კონგრესის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოაქვეყნა სტატიაში „ოლიმპიური თამაშების აღორძინება“, სადაც მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ოლიმპიზმის იდეალები და პრინციპები. განსაკუთრებული სიმწვავეთ მდიოდა კამათი სამოყვარულო და პროფესიული სპორტის საკითხებზე. საბოლოოდ გაიმარჯვა პ. კუბერტენის წინადადება, რომელიც ყოველთვის გამოდიოდა უმაღლესი ოლიმპიკაციის სპორტსმენების საცირკო შემსრულებლებად გადაქცევის წინააღმდეგ.

კონგრესზე გადაწყდა, რომ როგორც ძველბერძნული ტრადიცია, თანამედროვე ოლიმპიური თამაშები გაიმართება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, რომ თამაშები (ძველი ოლიმპიადებისაგან განსხვავებით) იქნება თანამედროვე და საერთაშორისო, რომ მის პროგრამაში შევა სპორტის ის სახეები, რომლებიც XIX საუკუნეში არის კულტივირებული, რომ თანამედროვე ოლიმპიური თამაშები რიგრიგობით ჩატარდება სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნებში.

პარიზის პირველი ოლიმპიური კონგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი უსათუოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) შექმნა იყო. ეს 1894 წლის 23 ივნისს მოხდა. სოკ-ის შემადგენლობაში ინგლისის, აშშ-ს, რუსეთის, იტალიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, შვეციის, უნგრეთის, ჩეხეთის, ბელგიის, არგენტინის და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები შევიდნენ.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა სია პირადად პიერ დე კუბერტენის მიერ მომზადდა და ერთხმად იქნა დამტკიცებული.

თანამედროვეობის პირველი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები გახდნენ: ლორდი ამპტჰილი და ჩარლზ ჰერბერტი (ინგლისი), პროფესორი უილიამ სლოენი (აშშ), გენერალი ალექსეი ბუტოვცკი, (რუსეთი), დემეტრიუს ვიკელასი (საბერძნეთი), ბარონი პიერ დე კუბერტენი და ერნე კალო (საფრანგეთი), გენერალი ვიქტორ ბალკი (შვედეთი), ფერენც კემენი (უნგრეთი), იურისტი ირჟი გუტიაროვსკი (ბოჰემია), დოქტორი ხოსე ბენჯამინ სუბიერი (არგენტინა), ლეონარდ კაფი (ახალი ზელანდია), გრაფი ლუკეზი პალი და დიუკ ანდრია კარაფა (იტალია) და გრაფი მაქსიმ დე ბუსიე (ბელგია).

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივნად ბარონ პიერ დე კუბერტენი იქნა არჩეული. ხოლო პირველ პრეზიდენტად ბერძენი დემეტრიუს ვიკელასი.

კონგრესზე დამტკიცებულ იქნა ოლიმპიური ქარტია, რომელიც სოკის საწესდებო დოკუმენტების კრებულს წარმოადგენდა. ქარტია განსაზღვრავდა ოლიმპიური მოძრაობის ამოცანებს და მიზნებს, პრინციპებს, დებულებებს, ოლიმპიური თამაშების ჩატარების წესებს. დროთა განმავლობაში

ოლიმპიური ქარტიის სხვადასხვა პუნქტებში შექმნდათ დამატებები, დაზუსტებები, აუცილებელი განმარტებები და ინსტრუქციები. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ პირვანდელ დებულებებში ბევრი ანტიდემოკრატიული ხასიათის მატარებელი პუნქტები იყო. პირველ რიგში ეს ეხებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ფორმირების პრინციპებს, რომლის თანახმადაც მისი წევრები უვადოდ ირჩეოდნენ, ხოლო ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტებისა და საერთაშორისო ფედერაციების წარმომადგენლობა შეზღუდული იყო.

დღევანდელი გადასახედიდან შესამჩნევი ლაფსუსის მიუხედავად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოლიმპიური ქარტია, რომლის ძირითადი კონცეფცია პ. კუბერტენის მიერ იყო შემუშავებული ემსახურებოდა და ემსახურება ოლიმპიურ მოძრაობას, როგორც თავისებური კონსტიტუცია.

თავდაპირველად კონგრესზე პ. კუბერტენმა წამოაყენა წინადადება, რომ ოლიმპიური თამაშები ჩატარებინათ XX საუკუნის პირველ წელს პარიზში, მაგრამ საბერძნეთის დელეგაციის დაუინებელი მოთხოვნის გათვალისწინებით და საბერძნეთის ბრწყინვალე წარსულის პატივისცემის ნიშნად გადაწყდა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები 1896 წელს ათენში ჩატარებინათ. ამ გარემოებამ განაპირობა ისიც, რომ ბერძენი პოეტი და მთარგმნელი ბუკილას დიმიტრიოსი ათენის ოლიმპიური თამაშების პრეზიდენტად აირჩიეს.

1894 წლის 23 ივნისს კონგრესმა თავისი მუშაობა დაასრულა.

1896 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებიდან 2004 წლის ათენის თამაშების ჩათვლით ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს:

1. აშშ - 2116 (871 ოქრო, 659 ვერცხლი, 586 ბრინჯაო);
2. სსრკ - 1010 (395 ოქრო, 319 ვერცხლი, 296 ბრინჯაო);
3. დიდი ბრიტანეთი - 691 (196 ოქრო, 246 ვერცხლი, 249 ბრინჯაო);

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სტატისტიკა

195-01
1-8-59

1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14

ოლიმპიური თამაშების რიგითი №	ჩატარების თარიღი	ქვეყანა და ქალაქი	მონაწილე ქვეყნების რაოდენობა	ბათამაშეული მედლების კომპლექტი	მონაწილეთა რაოდენობა		
					სულ	მათ შორის	
						ქალი	კაცი
I	1896 წ. 06.04-15.04	საბერძნეთი ათენი	14	43	245	-	245
II	1900 წ. 14.05-28.10	საფრანგეთი პარიზი	19	86	1078	19	1059
III	1904 წ. 01.07-23.11	აშშ სენტ-ლუისი	13	89	689	8	681
IV	1908 წ. 27.04-31.10	ინგლისი ლონდონი	22	107	2035	36	1999
V	1912 წ. 05.05-22.07	შვედია სტოკჰოლმი	28	102	2437	57	2380
VI	1916 წ.	-	-	-	-	-	-
VII	1920 წ. 20.04-12.09	ბელგია ანტვერპენი	29	152	2607	78	2529
VIII	1924 წ. 04.05-12.08	საფრანგეთი პარიზი	44	126	2972	136	2836
IX	1928 წ. 17.05-12.08	ჰოლანდია ამსტერდამი	46	109	2884	290	2594
X	1932 წ. 30.07-14.08	აშშ ლოს-ანჯელესი	37	117	1333	127	1206
XI	1936 წ. 01.08-16.08	გერმანია ბერლინი	49	129	3936	328	3608
XII	1940 წ.	-	-	-	-	-	-
XIII	1944 წ.	-	-	-	-	-	-
XIV	1948 წ. 29.07-14.08	ინგლისი ლონდონი	59	136	4092	385	3707

15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28

XV	1952 წ. 19.07-03.08	ფინეთი ელსინკი	69	149	5429	518	4911
XVI	1956 წ. 22.11-08.12	ავსტრალია მელბურნი ¹	67	145	3178	371	2807
XVII	1960 წ. 25.08-11.09	იტალია რომი	83	150	5313	610	4703
XVIII	1964 წ. 10.10-24.10	იაპონია ტოკიო	93	163	5133	683	4450
XIX	1968 წ. 12.10-27.10	მექსიკა მეხიკო	112	172	5498	780	4718
XX	1972 წ. 16.08-11.09	გერმანია მიუნხენი	121	195	7121	1058	6063
XXI	1976 წ. 17.07-01.08	კანადა მონრეალი	92	198	6043	1247	4796
XXII	1980 წ. 19.07-03-08	სსრ კავშირი მოსკოვი	80	203	5283	1124	4159
XXIII	1984 წ. 28.07-12.08	აშშ ლოს-ანჯელესი	140	221	6802	1567	5235
XXIV	1988 წ. 17.07-02.10	სამხრეთ კორეა სეული	159	237	8473	2186	6287
XXV	1992 წ. 25.07-09.08	ესპანეთი ბარსელონა	169	257	9368	2708	6660
XXVI	1996 წ. 19.07-04.08	აშშ ატლანტა	197	271	10332	3523	6809
XXVII	2000 წ. 16.09-01.10	ავსტრალია სიდნეი	199	300	10651	4069	6582
XXVIII	2004 წ. 13-29.08	საბერძნეთი ათენი	202	301	10882	4428	6454
			სულ	4107	124966	26336	97630

¹ ცხენოსნობაში ასპარეზობა ჩატარდა სტოკჰოლმში 1956 წლის 10-17 ივნისს.

ერთ ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს:

1. აშშ – 244 მედალი (78 ოქრო, 84 ვერცხლი, 82 ბრინჯაო) – 1904 წ. სენტ-ლუისი. III ოლიმპიური თამაშები;

2. სსრკ – 195 (80 ოქრო, 69 ვერცხლი, 46 ბრინჯაო) 1980 წ. მოსკოვი XXII ოლიმპიური თამაშები;

3. აშშ – 174 (83 ოქრო, 61 ვერცხლი, 30 ბრინჯაო) 1984 წ. ლოს-ანჯელესი XXIII ოლიმპიური თამაშები;

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენები:

1. ლარისა ლატინინა (სსრკ, ტანვარჯიში) – 9 ოქრო, 5 ვერცხლი, 4 ბრინჯაო.

2. პაავო ნურმი – (ფინეთი, მძლეოსნობა) – 9 ოქრო, 3 ვერცხლი;

3. მარკ სპიტცი – (აშშ, ცურვა) – 9 ოქრო, 2 ვერცხლი;

4. კარლ ლუისი – (აშშ, მძლეოსნობა) – 9 ოქრო.

ყველაზე მეტი მედალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში მოიპოვეს:

18 მედალი – ლარისა ლატინინამ (9 ოქრო, 5 ვერცხლი, 4 ბრინჯაო);

15 მედალი – ნიკოლაი ანდრიანოვმა (შესაბამისად 7, 5, 3 – ტანვარჯიში, სსრკ);

13 მედალი (7, 4, 2) – ბორის შახლინმა (ტანვარჯიში სსრკ);

13 მედალი (6, 5, 2) – ედუარდო მანჯიაროტიმ (ფარიკაობა, იტალია);

13 მედალი (5, 3, 5) – ტაკასი ონომ (ტანვარჯიში, იაპონია).

ყველაზე ნორჩი ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ: ქალებში –

13 წლის – მერჯორი ჯესთრინგი (აშშ, წყალში ხტომა) – 1936 წ. (ბერლინი);

14 წლის – კრისტინა ეგერსეგი (უნგრეთი, ცურვა) – 1988 წ. (სეული);

14 წლის – დებრა უოტსონი (აშშ, ცურვა) – 1964 წ. (ტოკიო);

მამაკაცებში –

13 წლის – კლაუს ზერტა (გერ, ნიხოსნობა) – 1960 წ. (რომი);

14 წლის – ბერნარდ მალიგუალი (საფრანგეთი, ნიხოსნობა) – 1952 წ.;

14 წლის – კასიო კიტამურა (იაპონია, ცურვა) – 1932 (ლოს ანჯელესი);

ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ:

64 წლის – ოსკარ სვანი (შვეცია, სროლა) – 1912 წ. (სტოკჰოლმი);

64 წლის – გელენ სპენსერი (აშშ, მშვილდოსნობა) – 1904 წ. (სტოკჰოლმი);

63 წლის – რობერტ უილიამსი (აშშ, მშვილდოსნობა) – 1904 წ. (სენტლუისი).

ზედიზედ ოლიმპიური თამაშები მოიგეს:

6-ჯერ ალადარ გერევიჩმა (უნგრეთი, ფარიკაობა) – 1932, 1936, 1948, 1952, 1956, 1960 წლებში;

4-ჯერ ალფრედ ორტერმა (აშშ, მძლეოსნობა-ბადრო) – 1056, 1960, 1964 და 1968 წლებში;

4-ჯერ კარლ ლუისმა (აშშ, მძლეოსნობა-სიგრძეხე ხტომა) – 1984, 1988, 1992 და 1996 წლებში.

ერთ ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი ოქროს მედალი მოიპოვეს:

1. მარკ სპიტცმა (აშშ, ცურვა) – 7 მედალი (1972 წ. მიუნხენი);

2. კრისტინ ოტომ (გერ, ცურვა) – 6 მედალი (1988 წ. სეული);

3. ვიტალი შჩებრომ (დჰგ, ტანვარჯიში) – 6 მედალი (1992 წ. ბარსელონა);

ზამთრის ოლიმპიური თამაშების სტატისტიკა

ოლიმპიური თამაშების რიგითი №	ჩატარების თარიღი	ქვეყანა და ქალაქი	მონაწილე ქვეყნების რაოდენობა	გათამაშებული მედლების კომპლექტი	მონაწილეთა რაოდენობა		
					სულ	მათ შორის	
						ქალი	კაცი
I	1924 წ. 25.01-05.02	საფრანგეთი შამონი	16	16	258	13	245
II	1928 წ. 11.02-19.02	შვეცია სანკტ-მორიცი	25	14	464	26	438
III	1932 წ. 04.01-15.02	აშშ ლეიკ-პლესიდი	17	14	252	21	231
IV	1936 წ. 06.01-16.02	გერმანია გარმიშ-პარტენკირჰენი	28	17	668	80	588
V	1948 წ. 30.01-08.02	შვეცია სანკტ-მორიცი	28	22	669	77	592
VI	1952 წ. 14.02-25.02	ნორვეგია ოსლო	30	22	694	109	585
VII	1956 წ. 26.01-05.02	იტალია კორტინა-დამპეცო	32	24	820	132	688
VIII	1960 წ. 18.02-28.02	აშშ სკო-ველი	30	27	665	143	522
IX	1964 წ. 29.01-09.02	ავსტრია ინსბრუკი	36	34	1091	200	891
X	1968 წ. 06.02-18.02	საფრანგეთი გრენობლი	37	35	1158	211	947
XI	1972 წ. 03.02.-13.02	იაპონია საპორო	35	35	1006	206	800
XII	1976 წ. 04.04-15.02	ავსტრია ინსბრუკი	37	37	1123	231	892

XII	1976 წ. 04.04-15.02	ავსტრია ინსბრუკი	37	37	1123	231	892
XIII	1980 წ. 13.02-24.02	აშშ ლეიკ-პლესიდი	37	38	1072	233	839
XIV	1984 წ. 08.02-19.02	იუგოსლავია სარაევო	49	39	1274	274	1000
XV	1988 წ. 13.02-28.02	კანადა კალგარი	57	46	1423	313	1110
XVI	1992 წ. 08.02-23.02	საფრანგეთი ალბერვილი	64	57	1801	488	1313
XVII	1994 წ. 12.02-27.02	ნორვეგია ლილეჰამერი	67	61	1739	522	1217
XVIII	1998 წ. 07.02-22.02	იაპონია ნაგანო	72	68	2177	814	1488
XIX	2002 წ. 08.02-24.02	აშშ სოლტ ლეიკ სიტი	77	78	2399	886	1413
სულ			20743	4979	15764		

1. სსრ კავშირი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 1952 წლიდან 1988 წლის ჩათვლით (1984 წლის გამოკლებით)

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში 1924 წლიდან 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის თამაშების ჩათვლით, გათამაშდა მედლების 684 კომპლექტი.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ქვეყნებს შორის ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს:

1. ნორვეგიამ – 263 მედალი (94 ოქრო, 94 ვერცხლი, 75 ბრინჯაო);
2. აშშ-მ – 241 მედალი (94 ოქრო, 73 ვერცხლი, 74 ბრინჯაო);
3. გერმანიამ 182 მედალი (65 ოქრო, 66 ვერცხლი, 51 ბრინჯაო).

ერთ ოლიმპიადაზე ყველაზე მეტი მედალი მოიგეს:

1. გერმანიამ – 35 მედალი (12 ოქრო, 16 ვერცხლი, 7 ბრინჯაო) – 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტი;
2. აშშ-მ 34 მედალი (შესაბამისად 10, 13, 1) – 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტი.
3. სსრკ-მ 29 მედალი (11, 9, 9 – 1988 წ.), კალგარი.

ერთ ოლიმპიადაზე ყველაზე მეტი ოქროს მედალი მოიგეს:

1. სსრკ-მ 13 (1976 წ.) ინსბრუკი;
 2. გერმანიამ – 12 (1998 წ.) ნაგანო;
 3. გერმანიამ – 12 (2002 წ.) (2002 წ.) სოლტ ლეიკ სიტი.
- ზამთრის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენები:

1. ბიორნ დელი (ნორვეგია, მოთხილამურე) – 8 ოქრო, 4 ვერცხლი;
2. ლიუბოვ ეგოროვა (რუსეთი, მოთხილამურე) – 6 ოქრო, 3 ვერცხლი;
3. ლიდია სეობლიკოვა (სსრკ, ციგურები) – 6 ოქრო;
4. კარისა ლაზუტინა (რუსეთი, მოთხილამურე) – 5 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო.
5. კლას ტუბერგი (ფინეთი, ციგურები) – 5 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო;
6. ოლე-ეინერ ბიორდალენი (ნორვეგია, ბიატლონი) – 5 ოქრო, 1 ვერცხლი;
7. ბონი ბლეიერი (აშშ, ციგურები) – 5 ოქრო, 1 ვერცხლი;
8. ერიკ შაიდენი (აშშ, ციგურები) – 5 ოქრო.

ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე მეტი მედალი მოიპოვეს:

- 12 – ბიორნ დელიმ (8 ოქრო, 4 ვერცხლი, ნორვეგია – მოთხილამურე);
- 10 – რაისა სმეტანინამ - (შესაბამისად – 4, 5, 1) (სსრკ, მოთხილამურე);
- 9 ლიუბოვ ეგოროვამ (6, 3, 0) (რუსეთი, მოთხილამურე);
- 9 ლარისა ლაზუტინამ (5, 3, 1) (რუსეთი, მოთხილამურე);

- 9 სიკსტენ ერნბერგმა (4, 3, 2) (შვეცია, მოთხილამურე);
- 9 - სტეფანია ბელმონდომ (2, 3, 4) (იტალია, მოთხილამურე).

ყველაზე ნორჩი ოლიმპიური ჩემპიონები:
ქალები:

- 15 წლის – სონია ჰენი (ნორვეგია, ფიგურული სრიალი) – 1928 წელი (სანკტ-მორიცი);
 - 15 წლის – მაქს ჰერბერი (გერმანია, ფიგურული სრიალი) – 1936 წელი (გარმიშპარტენკირჰენი);
 - 15 წლის – ტარა ლიპინსკი (აშშ, ფიგურული სრიალი) – 1998 წელი (ნაგანო);
 - 15 წლის – კო გი ჰიუნი (კორეა, შორტ-ტრეკი) – 2002 წელი (სოლტ ლეიკ სიტი);
- ვაჟები:
- 16 წლის – უილიამ ფისკი (აშშ, ბობსლეი) – 1928 წელი (სანკტ-მორიცი);
 - 16 წლის – ტონი ნიემინენი (ფინეთი, ტრამპლინიდან ხტომა) – 1992 წელი (ალბერვილი);
 - 17 წლის – მანფრედ შტენდლი (ავსტრია, ციგა) – 1964 წელი (ინსბრუკი);
 - 17 წლის – მიკა ლაიტინენი (ფინეთი, ტრამპლინიდან ხტომა) – 1992 წელი (ალბერვილი).

თაზი IV. ფიზიკური აღზრდა და სპორტი + უახლეს პერიოდში

4.1. გერმანია, იტალია, იაპონია

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალისტურმა ქვეყნებმა და პირველ რიგში გერმანიამ, იტალიამ და იაპონიამ, რომლებმაც შექმნეს აგრესიული ბლოკი ბერლინი-რომი-ტოკიო, შეუდგნენ მეორე ომისათვის მზადებას. იტალიასა და იაპონიაში ომისათვის მზადება ღიად მიმდინარეობდა, ხოლო გერმანიაში ფარულად. ვერსალის საზავო ხელშეკრულების თანახმად გერმანიას აკრძალა მრავალრიცხოვანი არმიის ყოლა, ამიტომ გერმანელთა ყურადღება მიიპყრო სპორტული ორგანიზაციების განვითარებამ, რომლის მეშვეობითაც მთავრობა ცდილობდა შეენიღბა სამხედრო მომზადება. 1932 წლისათვის გერმანიაში შეიქმნა სპორტული და ტანვარჯიშული კლუბებისა და სპორტული გაერთიანებების ფართო ქსელი. გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ ყველა სპორტული ორგანიზაცია დაუმორჩილეს ე.წ. „სპორტის საიმპერიო კომისარიატს“. საგრძნობლად გაძლიერდა სკოლის ახალგაზრდობის, სტუდენტებისა და ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების სამხედრო-ფიზიკური მომზადება. სპორტსმენი ანტიფაშისტები იძულებული გახდნენ ან ემიგრაციაში ან იატაკქვეშეთში წასულიყვნენ. სპორტის მილიტარიზაციას და ახალგაზრდობის იდეოლოგიურ დამუშავებას ახორციელებდნენ მოიერიშეთა რაზმები, გესტაპო, „ფოლადის ნიღაბის“ მეომრები, ჰიტლერული ახალგაზრდობის კავშირი და ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული კლუბები.

ამ პერიოდისათვის გავრცელება მიიღო ე.წ. „ჰელენდეშპორტმა“ (სპორტი ბუნებაში), რომელიც აშკარად გასამხედროებელი იყო. „ჰელენდეშპორტს“ ევალებოდა სკოლის მოსწავლეების აღზრდა, სადაც ფიზიკურ აღზრდას კვირაში 5-დან 8 საათი უთმობოდა. სკოლებში შემოიღეს სპეციალური შეჯიბრის დღე, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა ყველა მოსწავლეს.

სპორტულ-ტანვარჯიშული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ სპორტსმენებში დაენერგათ ფაშისტური იდეოლოგია და ფიზიკური აღზრდის საქმე დაემორჩილებინათ აგრესიის ინტერესებისათვის. საერთოდ გერმანელი სპორტსმენებისათვის საერთაშორისო და ოლიმპიური არენისაკენ მიმავალი გზა ძალიან მძიმე აღმოჩნდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით გერმანია, როგორც პირველი მსოფლიო ომის გამჩაღებელი, არ იქნა დაშვებული ანტვერპენის (1920) და პარიზის (1924) ოლიმპიურ თამაშებზე. მიუხედავად ამისა გერმანიის მთავრობა ყველაფერს აკეთებდნენ სპორტის განვითარებისათვის. 1926 წლისათვის გერმანელი სპორტსმენები წამყვან როლს ასრულებდნენ სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც იყო ძალოსნობა, ცხენოსნობა, მძლეოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა და წყალბურთი. 1928 წელს ამსტერდამის ოლიმპიადაზე გერმანელებმა მოპოვებული ჯილდოების რაოდენობით მეორე ადგილი დაიკავეს აშშ-ს გუნდის შემდეგ. 1930 წელს კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ზაფხულის XI (ბერლინი) და ზამთრის IV (გარმიშ-პარტენკინხენი) ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებაც მოიპოვა. ჰიტლერის რეჟიმმა ეს თამაშები საუკეთესოდ გამოიყენა ნაციზმისა და შოვინიზმის პროპაგანდის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ რიგი დემოკრატიული ქვეყნები და ორგანიზაციები პროტესტს გამოთქვამდნენ სოკ-ის გადაწყვეტილებზე, გერმანიაში ოლიმპიური თამაშები მაინც ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ბერლინის ოლიმპიადაზე გერმანელებმა მოიპოვეს 89 მედალი (33 ოქრო, 26 ვერცხლი და 30 ბრინჯაო) და საგრძნობლად გაუსწრეს აშშ-ს გუნდს, რომელთა ნადავლი 56 მედალი იყო (24 ოქრო, 20 ვერცხლი და 12 ბრინჯაო). შეუდარებელი იყვნენ გერმანელი სპორტსმენები აკადემიურ ნიზბოსნობაში, ბაიდარებსა და კანოეში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში, ცხენოსნობაში, აეროსნობაში, ტყვიით სროლაში, კრივსა და თანამედროვე ხუთჭიდში. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კი გერმანელებმა საერთო მეორე ადგილი დაიკავეს ნორვეგიის ძლიერი გუნდის შემდეგ.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სპორტმა მკვეთრი სამხედრო მიმართულება მიიღო იტალიაში. მუსოლინის რეჟიმის პოლიტიკა მიმართული იყო ახალი ომის სამზადისის და დიდი იტალიის შექმნისაკენ. ბავშვებისა და ახალგაზრდების აღზრდას და ფიზიკურ განვითარებას ახორციელებდა განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის დეპარტამენტის სპეციალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოპერა ნაციონალე ბალილა“-ს დახმარებით. 6-8 წლის ბავშვები გაერთიანებული იყვნენ ორგანიზაციაში, რომელსაც „მგლის ვაჟებს“ უწოდებდნენ. 8-14 წლის ბავშვების ორგანიზაციას „ბალილა“ ერქვა. 14-18 წლის მოზარდები გაერთიანებული იყვნენ ორგანიზაციაში „ავანგარდის“ სახელწოდებით, ხოლო ვაჟები 18-დან 21 წლამდე „საბრძოლო კავშირში“, რომელიც უშუალოდ იტალიელი ფაშისტების მეთაურის — ბენიტო მუსოლინის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

„ოპერა ნაციონალე ბალილა“-ს მთელ იტალიაში ჰქონდა თავისი ფილიალები. მასში ჩართული იყო სპორტის ისეთი სახეები, როგორცაა: მძლეოსნობა, ფარიკაობა, ტანვარჯიში, ნიბოსნობა და სხვა. გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მიხედვით კულტივირებული იყო ასევე ალპებში - სამთო-სათხილამური სპორტი, ზღვის სანაპიროებზე - ცურვა, საიალქნო სპორტი, დაბლობ რაიონებში - ცხენოსნობა და სხვა. მთელ იტალიაში ორგანიზებულად ტარდებოდა მეცადინეობები სპორტულ თამაშებშიც: რეგბი, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ასევე ტყვიით სროლა, ველოსპორტი და ავტომოტოსპორტი. სამხედრო-სპორტული მუშაობა აქტიურად მიმდინარეობდა სპორტულ კლუბებში, საზოგადოებებსა და კავშირებში.

იტალიის სპორტულა ორგანიზაციები, რომელთაც ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტი (ნოკი) ედგა სათავეში, აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში. დაწყებული 1900 წლის პარიზის II ოლიმპიადიდან იტალიელი სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში. გამოდიოდნენ მსოფლიოს, ევროპის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებზე. იტალიის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ორჯერ

(1934 და 1938 წწ.) მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება, ხოლო 1936 წელს ბერლინში მოიგო ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი. მეორე მსოფლიო ომის წინ იტალიელი სპორტსმენები წარმატებებს აღწევდნენ მსოფლიო და ევროპის პირველობებზე ფარიკაობაში, ველოსპორტში, ტყვიით სროლაში, ტანვარჯიშსა და სპორტის სხვა სახეობებში.

ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა ფიზიკური აღზრდა და სპორტი შორეულ იაპონიაში, რომელსაც შუა საუკუნეების იაპონელი რაინდების - სამურაების აღზრდის სისტემა ედო საფუძვლად. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის იაპონიის იმპერიალისტური ხელისუფლების პოლიტიკა აზიის დასაპყრობად იყო მიმართული. ამ მიზნის განსახორციელებლად განსაკუთრებული ყურადღება იქნა გადატანილი სკოლებისა და სპორტულ-ტანვარჯიშული ორგანიზაციებისადმი. სკოლების სასწავლო პროგრამებში ტანვარჯიშთან ერთად ჩართული იქნა ძიუ-დო, კარატე, სუმო, კენდო (ფარიკაობა ორი ხელით), მშვიდლოსნობა, სპორტის ტექნიკური სახეები. საათთა რაოდენობა სასკოლო ფიზიკური აღზრდის წლიურ დატვირთვაში 400 საათს შეადგენდა.

აქტიურად მონაწილეობენ იაპონელი სპორტსმენები სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში. V ოლიმპიადიდან (1912) მოყოლებული XI ოლიმპიადამდე (1936) ისინი სისტემატურად მონაწილეობდნენ ოლიმპიურ თამაშებში. პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი იაპონელებმა 1928 წელს მოიპოვეს, მიკიო ოდამ ყველას აჯობა სამხტომში. უფრო შთამბეჭდავი და სენსაციური იყო იაპონელების გამოსვლა ლოს-ანჯელესის (1932) ოლიმპიადაზე. მათ ცურვის ექვსი სახეობიდან ხუთში ოქროს მედალი მოიპოვეს. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნორჩი ჩემპიონი 1500 მეტრზე გამარჯვებული კარო კიტამურა 14 წლის იყო. მან დისტანცია 19 წუთსა და 12,4 წამში დაფარა და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა, რომელიც მხოლოდ 20 წლის შემდეგ იქნა გაუმჯობესებული.

4.2. აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის და სხვა ქვეყნები

სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობის განვითარებაზე განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, სკანდინავიისა და სხვა ქვეყნების მთავრობებს.

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შუა პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა აშშ-ს ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობები, რომელმაც განაპირობა მისი, როგორც უძლიერესი კაპიტალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამ ქვეყანაში წლების მანძილზე იქმნებოდა მძლავრი მატერიალური ბაზა სპორტული მუშაობის გაშლისათვის. ნებისმიერ ქარხანას, ფაბრიკას, სკოლას და უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნიათ სხვადასხვა სახის კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები. ანიჭებდნენ რა სპორტს უდიდეს მნიშვნელობას, როგორც ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას, ამერიკაში გაძლიერდა კონტროლი სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ. ქვეყნის უმეტეს შტატებში მიღებული იქნა სპეციალური კანონები სკოლებში ფიზიკური აღზრდის შესახებ. სკოლების და კოლეჯების მოსწავლეებს ყოველ დღე უტარდებოდათ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები. ამასთან, ყოველ შაბათსა და კვირას, როგორც წესი, ტარდებოდა სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებები. აშშ-ს სპორტული მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენდნენ. ამერიკის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მძლეოსნობა, ცურვა, კალათბურთი, ნიჩბოსნობა, ჩოგბურთი, ბეისბოლი და ამერიკელი ფეხბურთი.

საუნივერსიტეტო სპორტის წამყვანი ორგანიზაცია იყო საუნივერსიტეტო სპორტის ნაციონალური ასოციაცია, რომელიც ჯერ კიდევ 1906 წელს შეიქმნა. ოლიმპიურ მოძრაობაში კი ამერიკულ სპორტს ნოკ-ი (ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტი) წარმოადგენდა იგი 1894 წელს შეიქმნა. ამერიკელი სპორტსმენები მონაწილეობენ ამ პერიოდის ყველა დონის საერთაშორისო ასპარეზობებში.

ისინი უკლებლივ მონაწილეობდნენ ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიო ჩემპიონატებში. ქვეყანაში სპორტის განვითარებას დიდი იმპულსი მისცა ზაფხულის X ოლიმპიადის (ლოს-ანჯელესი, 1932) და ზამთრის IV ოლიმპიური თამაშების (ლეიკ-პლესიდი, 1932 წ.) ჩატარებამ. ყოველთვის დიდ წარმატებებს აღწევდნენ აშშ-ს სპორტსმენები მძლეოსნობაში, ტყვიით სროლაში, კრივში, ცურვაში და სპორტის სხვა სახეებში. მოცურავე ჯონი ვაისმიულერმა 1924 და 1928 წლების ოლიმპიადებზე ხუთი ოქროს მედალი მოიგო, ხოლო ლეგენდარულმა ჯესი ოუენმა 1936 წელს ბერლინში 4 ოქროს მედალი მოიპოვა 100 და 200 მეტრზე რბენაში, სივრცეზე ხტომაში და ამანათობენში 4x100 მ.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მაღალ დონეზე იყო დაყენებული მასობრივი და გამაჯანსაღებელი სპორტული მუშაობა. იმართებოდა მრავალი სახის ღონისძიებები, მართონული გარბენები, რომლებშიც ათიათასობით მონაწილე გამოდიოდა. უქმე დღეებში კი ამერიკის მოსახლეობის თითქმის მესამედი ევლოსიპედებით სეირნობდა, რომელიც აღჭურვილი იყო თანამედროვე სამედიცინო-საკონტროლო აპარატურით. სხვადასხვა ფირმები და კომპანიები ინტენსიურად აშენებდნენ „ფიტნეს-ცენტრებს“ - სპორტულ კომპლექსებს, რომლებშიც ხალხი უსასყიდლოდ სარგებლობდა. ამასთან, ფირმის თანამშრომლები, რომლებიც არ ავადმყოფობდნენ, თამბაქოს არ ეწეოდნენ და სისტემატურად ვარჯიშობდნენ იღებდნენ დამატებით ფულად პრემიებს.

ახალგაზრდობის აღზრდასა და ფიზიკურ მომზადებას დიდ ყურადღებას უთმობდნენ საფრანგეთში. 1920 წელს საფრანგეთის მთავრობამ გამოსცა კანონი სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების ფიზიკური აღზრდის შესახებ. თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა დებულება სასწავლო დაწესებულებებში ფიზიკური მომზადებისა და სპორტული მუშაობის შესახებ.

მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში საფრანგეთში დიდ ინტერესს იჩენდნენ სპორტისადმი, როგორც აქტიური დასვენების საშუალებისადმი. ფართოდ ვრცელდება

რეკრეაციული სპორტი. 1936 წელს საფრანგეთში შეიქმნა სპორტისა და აქტიური დასვენების სახელმწიფო სამმართველო. მრავალრიცხოვანი სპორტული კლუბები და სპორტული ორგანიზაციები ავითარებენ სპორტის ოლიმპიურ სახეებს, განსაკუთრებით ფეხბურთს, სამთოსათხილამურო სპორტსა და ფიგურულ ციგურაობას.

განსაკუთრებული დეაწლი მიუძღვნის საფრანგეთს ოლიმპიური მოძრაობის განვითარების საქმეში, რომელიც ბარონ პიერ დე კუბერტენის სახელთანაა დაკავშირებული. 1894 წელს პარიზში დაარსდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ-ი) და საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტი (სოფ-ი). მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში პარიზში ორჯერ ჩატარდა ოლიმპიური თამაშები (1900 და 1924 წელს), ასევე საფრანგეთის საკურორტო ქალაქ შამონში გაიმართა ზამთრის I ოლიმპიური თამაშები. იმ პერიოდში პარიზში იყო განთავსებული რიგი საერთაშორისო სპორტული ფედერაციების შტაბ-ბინები.

ფრანგი სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობდნენ ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. განსაკუთრებულ წარმატებებს მათ მიაღწიეს ველოსპორტში (1924, 1936 წ), ძალოსნობაში (1920, 1932 წ) და ფარიკაობაში (1920, 1924, 1928 წ).

როგორც ცნობილია დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში შედიოდა ინგლისი, შოტლანდია, უელსი და ჩრდილოეთ ირლანდია. ყველა ამ რეგიონში არსებობდა სპორტული ცენტრები: ოთხი - ინგლისში, ორი - შოტლანდიაში, თითო-თითო - უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში. ყველა ამ ცენტრს აერთიანებდა ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაცია.

აღნიშნულ პერიოდში დიდ ბრიტანეთში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო დაყენებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმე სკოლებში, კოლეჯებში და უნივერსიტეტებში. 17 წლამდე ასაკის მოსწავლეებში ფართოდ იყო გავრცელებული სკაუტური მოძრაობა, რომელიც ინგლისში XX საუკუნის დასაწყისში აღმოცენდა. სკაუტების რაზმებში დიდი ყურადღება ეთმობოდა ზნეობრივ და ფიზიკური აღზრდას. სკაუტი ვალდებული

იყო ყოველდღიურად ეკეთებინა კეთილი საქმე და ევარჯიშა სპორტში.

დიდი დამსახურება მიუძღვის ბრიტანეთს საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში. პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შუა პერიოდში დიდი ბრიტანეთის სპორტსმენები წარმატებულად გამოვიდნენ 1920 წელს (არგენტინაში) და 1924 წელს (პარიზში), სადაც შესაბამისად 42 და 34 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები ცალ-ცალკე გუნდებით გამოდიოდნენ, ოლიმპიურ თამაშებში ისინი ერთი დროშის ქვეშ ერთიანდებოდნენ. დიდი ბრიტანეთის სპორტსმენები ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ კრივში, ველოსპორტში, ჩოგბურთში, ბალახის პოკეში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში და ცურვაში.

სკანდინავიის ქვეყნებში და ფინეთში განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა სპორტულ-ტანვარჯიშულმა მოძრაობამ. შვედეთი, ნორვეგია, დანია და ფინეთი სპორტული ტრადიციების ქვეყნებია. მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში ამ რეგიონში ფართო გავრცელება მიიღო შვედური ტანვარჯიშის, დანიელი ნილს ბუკისა და გერმანელი იოჰან მიულერის ინდივიდუალური ტანვარჯიშის მეთოდებმა. ჩრდილოეთის ქვეყნებში დიდი გავრცელება ჰპოვა ზამთრის სახეებმა, რომლებშიც ისინი უძლიერესები იყვნენ ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე. აღნიშნული ქვეყნების მთავრობები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებას სკოლებში, ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში. ჩრდილოეთის ქვეყნების სპორტული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სპორტულ და ოლიმპიურ მოძრაობაში. შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში და ფინეთში შეიქმნა ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტები, რომლებიც ცნო და აღიარა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა. ამ ქვეყნის სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში და ომებს შორის ჩატარებულ ყველა ოლიმპიურ თამაშებში - აღნიშნულ პერიოდში 9 ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ლეგენ-

დარულმა ფინელმა მძლეოსანმა პაავო ნურმიმ, რომელმაც ის 1920, 1924 და 1928 წლები ოლიმპიადებზე მოიგო. ნურმის რეკორდი დღესაც კი არ არის გაუმჯობესებული, თუმცა მას შემდეგ 9-9 ოქროს მედლები მოიპოვეს ლარისა ლატინინამ (სსრკ) - ტანვარჯიშში, მარკ სპიტცმა (აშშ) - ცურვაში და კარლ ლუისმა (აშშ) - მძლეოსნობაში.

ნორვეგიული სპორტის აღზრდილია სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ სრიალში - სონია ჰენი, რომელმაც იმარჯვა 1928, 1932 და 1936 წლებში.

ასევე შესანიშნავი წარმატება მოიპოვა შვედმა ფიგურისტმა - გუსტავ გრაფსტრემმა, რომელმაც ზედიზედ ზამთრის ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზა და სამი ოქროს (1920, 1924, 1928) და ერთი ვერცხლის (1932) მედალი მოიპოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტის წამყვან სახეებად ითვლებოდა მძლეოსნობა, კრივი, რეგბი, კალათბურთი და ბეისბოლი; საფრანგეთში — ველოსპორტი და რეგბი, გერმანიაში — ხელბურთი, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში — ფეხბურთი, ინდოეთში - ტანვარჯიში იოგა და ბალახის ჰოკეი, ავსტრალიაში და სამხრეთ ამერიკაში — კრიკეტი, სკანდინავიის ქვეყნებში — ძალოსნობა და სპორტის ზამთრის სახეები, საბჭოთა კავშირი - ფრენბურთი, ტანვარჯიში და ჭიდაობა, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში - ფეხბურთი, ამავდროულად ესპანეთსა და მექსიკაში ფეხბურთს დიდ კონკურენციას უწევდა კორიდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში დაფუძნდა საერთაშორისო სპორტულ ფედერაციები:

ძალოსნობის - 1920 წელს, ცხენოსნობის - 1921 წელს, კრივის - 1920 წელს, წყალ-სამოტორო სპორტის - 1922 წელს, ბობსლეის - 1923 წელს, გორგოლაჭებიანი ციგურების - 1924 წელს, ბაიდარებისა და კანოეს - 1924 წელს, ჭარდაკის - 1924 წელს, თხილამურების - 1924 წელს, კეგლის - 1925 წელს, მაგიდის ჩოგბურთის - 1926 წელს, ხელბურთის - 1928 წელს, მშვილდოსნობის - 1931 წელს, ალპინიზმის - 1932 წელს, კალათბურთის - 1932 წელს,

ძიუდოს (ევროპის) - 1934 წელს, რეგბის - 1934 წელს, ბადმინტონის - 1934 წელს.

აღნიშნულ პერიოდში დაიწყო სპორტის სხვადასხვა სახეობებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ჩატარება. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება: კლასიკურ ჭიდაობაში (პელსინკი, 1921 წ.), ძალოსნობაში (რევალი, 1922 წ.), საიალქნო სპორტში (ლონგ-აილენდი, 1922 წ.), ბობსლეიში (შამონი, 1924 წ.), თხილამურები, ჩრდილოეთის სამჭიდში (შამონი, 1924 წ.), მაგიდის ჩოგბურთში (ლონდონი, 1926 წ.), ჭადრაკში, მამაკაცებში (ლონდონი, 1927 წ.), ფეხბურთში (მონტევეიდეო, 1930 წ.), მშვილდოსნობაში (ლეოვი, 1931 წ.), სამთო სათხილამურო სპორტში (მიუნხენი, 1931 წ.), ფარიკაობა, მამაკაცებში (პარიზი, 1937 წ.), ხელბურთში (გერმანია, 1938 წ.), ბაიდარებსა და კანოეში (ვაკსპოლშში, 1938 წ.).

ევროპის ჩემპიონატები: ძალოსნობაში (ოფენბახი, 1921 წ.), ფარიკაობაში, რაპირაში (პარიზი, 1921 წ.), კრივში (პარიზი, 1924 წ.), კლასიკური ჭიდაობაში (მილანი, 1925 წ.), ცურვაში (ბუდაპეშტი, 1926 წ.), წყალბურთში (ბუდაპეშტი, 1926 წ.), თავისუფალ ჭიდაობაში (პარიზი, 1929 წ.), ფიგურულ სრიალში (ქალები, ვენა, 1930 წ.), საიალქნო სპორტში (სენტ-ჯინდე-ლუცი-1932 წ.), ბაიდარებსა და კანოეში (პრატა, 1933 წ.), მძლეოსნობაში, მამაკაცები (ტურიინი, 1934), კალათბურთში, მამაკაცები (ვენევა, 1935 წ.), მძლეოსნობაში, ქალები (ვენა, 1938 წ.), კალათბურთში, ქალები (ბარსელონა, 1938 წ.).

4.3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ +

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის დამხობით და ამაში მთელმა მსოფლიომ მიიღო მონაწილეობა, სადაც პირველ რიგში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ყოფილ საბჭოთა კავშირს. კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოს მრავალი

ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო, რომლის პარალელურად მიმდინარეობდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შემდგომი აღმავლობა. ბუნებრივია ომის წლებში შეწყდა ყოველგვარი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებები. 1940 და 1944 წლებში XII და XIII ოლიმპიური თამაშები არ ჩატარებულა. მაგრამ ომის დამთავრების პირველივე დღეებში დაიწყო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინტენსიური განვითარება. ჯეროვანი ყურადღება ექცევა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ომის შემდგომ პერიოდში კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, საგრძობლად განვითარდა პროფესიული სპორტი. სპორტული მუშაობის ნამდვილ ცენტრებს წარმოადგენენ ამერიკის უმაღლესი სასწავლებლები. კალიფორნიის, პენსილვანიის, ჩიკაგოს და სხვა უმსხვილეს უნივერსიტეტებში ყალიბდება პიგიენის და ფიზიკური აღზრდის განყოფილებები, სპორტული კლუბები. ამერიკის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში ყველაზე უფრო გავრცელებულია: კალათბურთი, რეგბი, ბეისბოლი, მძლეოსნობა, კრივი, ცურვა, ნიჩბოსნობა, ჩოგბურთი. თითქმის ყველა უნივერსიტეტს აქვს დიდი სტადიონები, დარბაზები, აუზები. სტუდენტური გუნდების მოთამაშეებს, ჩემპიონებს და რეკორდსმენებს, რომლებსაც წარმატებები მოაქვთ თავიანთი უნივერსიტეტისათვის და საკმაოდ დიდ რეკლამას უწევენ მათ, განსაკუთრებულ პირობებს უქმნიან: მათ უხდიან სტიპენდიებს, ათავისუფლებენ ყოველგვარი ქირის გადასახადიდან, უზრუნველყოფენ აუცილებელი სასწავლო ლიტერატურით, ბინით და სხვა. სპორტსმენი სტუდენტებისათვის დათმობილია საუკეთესო სპორტული ნაგებობები და ინვენტარი.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, სკანდინავიის ქვეყნებში ფიზიკური აღზრდა და სპორტი ემსახურებოდა საზოგადოებას. ამ ქვეყნებში ფიზიკურ აღზრდას და სპორტს ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ორგანოები (სპორტის,

განათლებისა და სამხედრო სამინისტროები). აქ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები დამწყებ და საშუალო სკოლებში აუცილებელი სასწავლო საგანი იყო, სადაც საათთა რაოდენობა 2-4 საათს უდრიდა კვირაში. შევედეთისა და ნორვეგიის სკოლებში ტანვარჯიშს ეთმობოდა ფიზიკურ აღზრდაზე გამოყოფილი საათების 50%, ხოლო კვირაში ერთი დღე გამოყოფილი იყო თამაშებისა და შეჯიბრებებისათვის, სადაც ყველა მოსწავლის მონაწილეობა აუცილებელი იყო.

სკანდინავიის ქვეყნების სკოლებში ტანვარჯიშული გაკვეთილების გარდა, ფართოდ გამოიყენებოდა სპორტული სპეციალიზაცია. შევედეთში იქმნება თვითშემოქმედებითი ჯგუფები, რომლებიც კლასგარეშე საათებში ნერგავდნენ სათხილამურო და საციგურაო სპორტს, ცურვას, მძლეოსნობას, ფეხბურთს, ნიჩბოსნობას და სპორტის სხვა სახეებს. სასკოლო სპორტის სპორტული კავშირი აერთიანებს სკანდინავიის ქვეყნებისა და ფინეთის მოსწავლე-სპორტსმენებს.

თავისებურად ვითარდება ფიზიკური აღზრდა იაპონიის სკოლებსა და სხვა ტიპის სასწავლებლებში. საერთაშორისო სპორტის სახეების პარალელურად ვითარდება ტრადიციული ნაციონალური სპორტის სახეები. ისინი ძველ რიტუალებს იყენებდნენ და ახალგაზრდობას საძურაების საბრძოლო სულისკვეთებით ზრდიდნენ.

ყურადღებას იქცევს ფიზიკური აღზრდის სისტემა ავსტრალიის სკოლებში, სადაც მეცადინეობები ფიზიკურ აღზრდაში იწყება სკოლამდელ დაწესებულებებში და შემდეგ გრძელდება საშუალო სკოლაში. ავსტრალიაში სახელმწიფო დაფინანსება ფიზიკურ აღზრდაზე და სპორტზე მინიმალურია. როგორც აშშ-ი, ამ სფეროზე კერძო სასწავლებლები იჩენენ ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ კერძო სასწავლებელთა უმრავლესობა რელიგიურ ორგანიზაციებს ეკუთვნის. ავსტრალიაში არსებობს სკოლა-ინტერნატები, სწავლების, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის საკმაოდ მაღალი დონით. ამ ინტერნატებში დაწესებულია დღის მკაცრი რეჟიმი: ყოველდღიური ცურვა ან შხაპი დილით. შემდეგ დღის განმავლობაში საათნახევარი თამაშები და ცურვა. აღნიშნულ სკოლებში სწავლის ქირა საკმაოდ მაღალია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის შედეგად იმპერიალიზმის კოლონიალურმა სისტემებმა რღვევა იწყო. ახალგაზრდა განვითარებადმა ქვეყნებმა, მოიპოვეს რა ეროვნული დამოუკიდებლობა, დაიწყეს ბრძოლა თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესისათვის. განვითარებად ქვეყნებში ნაციონალურ-დემოკრატიული ძალების ზრდის ზეგავლენით მოხდა გარკვეული ცვლილებები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში, რომელიც ეროვნული კულტურის აღორძინების განუყოფელ ნაწილად იქცა. ამ ქვეყნებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უპირველესი ამოცანა იყო კოლონიალური სისტემის უმძიმესი მემკვიდრეობის ლიკვიდაცია, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ნაციონალური ფიზიკური აღზრდის სისტემების შექმნა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განსაკუთრებული აღმავლობა შეიძინევა აფრიკის განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე ქმნიდნენ თავიანთ ნაციონალურ სისტემებს ფიზიკურ აღზრდაში. კოლონიალურმა ბატონობამ დიდი ხნით შეაჩერა ამ ქვეყნების ეკონომიკური სოციალური და კულტურული განვითარება. აფრიკის კონტინენტზე ფიზიკური აღზრდის განვითარებას აფერხებდა მოსახლეობის გაჭირვება, სიღარიბე და შიმშილი. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ კოლონიალური ადმინისტრაციისა და ადგილობრივი ბურჟუაზიის წარმომადგენლებისათვის. საუკეთესო აფრიკელ სპორტსმენებს საშუალება ეძლეოდათ მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში მხოლოდ დამპყრობი ქვეყნების ნაკრები გუნდების შემადგენლობაში, (საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და სხვა ქვეყნების).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ახალგაზრდა განვითარებადმა ქვეყნებმა დაიწყეს ახალი ცხოვრების აღმშენებლობა და ფიზიკური აღზრდა აქციეს ხელმისაწვდომად ხალხის ფართო მასებისათვის. აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში დაიწყო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

ხელმძღვანელი ორგანოების შექმნა. ფიზიკური აღზრდა შეტანილი იქნა საშუალო სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების პროგრამებში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობისათვის 1965 წელს შეიქმნა აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭო, რომელიც განსაზღვრავდა კონტინენტზე სპორტული მოძრაობის პრობლემების მიმართ ერთიან მიდგომას. ამ საბჭოს გადაწყვეტილებით საფუძველი ჩაეყარა აფრიკულ თამაშებს, რომელიც პირველად 1965 წელს კონგოს დედაქალაქ - ბრაზავილში ჩატარდა და მასში 27 ქვეყნის 1500 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულმა თამაშებმა, რომელიც მომდევნო წლებში სისტემატურად იმართებოდა და იმართება დღესაც, დიდი ბიძგი მისცა სპორტის შემდგომ განვითარებას აფრიკის კონტინენტზე.

დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკურ აღზრდას აზიის განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანოები. დამოუკიდებლობის შემდეგ სპორტის სფეროში საკმაო წარმატებებს მიაღწიეს ინდოეთმა, ავღანეთმა, ბირმამ, ინდონეზიამ, ლივანმა და სხვა აზიური ქვეყნების სპორტულმა ორგანიზაციებმა. 1954 წელს ინდოეთის მთავრობამ ჩამოაყალიბა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ნაციონალური საბჭო, რომლის ძირითადი დანიშნულება ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი განვითარების უზრუნველყოფა იყო. ამ მიზნით 1963 წლიდან სისტემატურად იმართება შეჯიბრება „ნაციონალური მოძრაობა ფიზიკური სრულყოფისათვის“, რომელშიც ყოველწლიურად ორ მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. აზიის განვითარებად ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტული კადრების მომზადების საკითხებსაც. 1960 წელს ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში შეიქმნა სკოლა, რომელიც ამზადებდა დამწყები და საშუალო სკოლების ფიზიკურ აღზრდის მასწავლებლებს, ხოლო 1975 წლიდან ფუნქციონირებას იწყებს ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტი. ანალოგიური სპეციალური უმაღლესი სასწავლებლები იხსნება ინდოეთში, ირანში და აზიის სხვა ქვეყნებში.

აზიის რეგიონში სპორტის, ტანვარჯიშისა და თამაშების განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა 1949 წელს შექმნილმა აზიური თამაშების ფედერაციამ, რომელიც თავის რიგებში აერთიანებდა 20-ზე მეტ ქვეყანას. ამ ფედერაციის წესდება სრულად შეესაბამებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ქარტიის მოთხოვნებს. 1951 წელს ინდოეთის დედაქალაქ დელიში გაიმართა პირველი აზიური თამაშები, რომელიც შემდგომ ტრადიციული გახდა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა აზიის რეგიონში ფიზიკური ვარჯიშების ეროვნული სახეობები (ტანვარჯიში, ხათხა-იოგა, ვარჯიშები ჭოკით, რითმული ტანვარჯიში, ჭიდაობა, ცხენოსნობა და სხვა).

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ფიზიკური აღზრდის განვითარებაში გარკვეული ძვრები შეიმჩნევა ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში სპორტის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის უდიდეს კომპლექსურ შეჯიბრებებს, რომლებიც ცნობილია, როგორც ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის, პანამერიკული და ბოლივარული თამაშები. ეს თამაშები სათავეს 1951 წლიდან იღებს და მათ პროგრამაში ჩართულია ფეხბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, სახეები, რომლებიც პოპულარული და განვითარებულია ლათინური ამერიკის კონტინენტზე.

4.4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ყოფილი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები - ბულგარეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი, ასევე ჩინეთი, კორეა, ვიეტნამი, კუბა, საბჭოთა კავშირის დახმარებით დაადგინეს სოციალიზმის გზას და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება ახალი გზით წარიმართა. ამ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება გადატანილი იქნა სახელმწიფო დონეზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხელმძღვანელობის ისეთი ორგანოების შექმნაზე,

როგორც იყო საბჭოთა კავშირში. აღნიშნული ქვეყნების მთავრობებთან შეიქმნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომიტეტები, რომლებიც მოწოდებული იყო გაემდგრებინა ფიზიკური აღზრდის სისტემების სახელმწიფოებრივი საფუძვლები. კომიტეტების ჩამოყალიბების პარალელურად მიმდინარეობდა სპორტული მოძრაობის გარდაქმნა. სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანაში ჩამოყალიბებულ იქნა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და ფიზიკური აღზრდის კოლექტივები (კლუბები). ძირითადი ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა მიმდინარეობდა ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, არმიასა და ფლოტში. ფიზიკურმა აღზრდამ მყარად მოიკიდა ფეხი და აუცილებელ საგნად იქცა სკოლებში, გიმნაზიებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით ამ ქვეყნებში გადატანილი იქნა მშთ კომპლექსი, ერთიანი სპორტული კლასიფიკაცია. სსრ კავშირის უშუალო დახმარებით დაიწყო ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა.

ომის შემდგომ პერიოდში საგრძნობი ნაბიჯი გადაიდგა სპორტული კადრების მომზადების საქმეში. სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები იქნა გახსნილი რიგ ქვეყნებში. 1946 წელს გაიხსნა ვერშავის ფიზკულტურის აკადემია, გ. დიმიტროვის სახელობის ფიზკულტურის უმაღლესი ინსტიტუტი ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში. ფიზიკური კულტურის უმაღლესი სკოლა ლაიფციგში. გაიხსნა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები, ტექნიკუმები და ფაკულტეტები პედაგოგიურ ინსტიტუტებში ჩინეთში, კორეაში, ვიეტნამში და სხვა ქვეყნებში.

შეიქმნა სპორტული შეჯიბრებების ერთიანი სისტემები, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის. დიდი პოპულარობით სარგებლობდა სპარტაკიადები და უნივერსიადები.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბავშვთა და მოზარდთა სპარტაკიადები იმართებოდა რამდენიმე ეტაპად, სკოლებში, მხარეებში, ოლქებში და მთავრდებოდა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ფინალური შეჯიბრებით ბერლინში.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო სპორტული კავშირების განმტკიცებაში. ისინი დიდი წარმატებით გამოდიოდნენ მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე, ოლიმპიურ თამაშებზე. აღსანიშნავია, რომ ყველაზე შთამბეჭდავ წარმატებებს აღწევდნენ გდრ-ის სპორტსმენები.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში სსრ კავშირი და მასთან ერთად სოციალისტური სისტემა დაიშალა. გარდაქმნის პროცესში ყველა ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყანამ აიჩრია თავისი დამოუკიდებელი გზა. მხოლოდ ჩინეთი, კორეა, კუბა და ნაწილობრივ ვიეტნამი დარჩა ადრინდელი საბჭოური სისტემის ერთგული და შეინარჩუნა წარსულის გამოცდილება.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა დამოუკიდებელი ქვეყნები, რომლებიც დაადგნენ განვითარების საკუთარ გზას და დამოუკიდებლად ცდილობენ განავითარონ ეროვნული თანამედროვე სპორტის სახეები.

თავი V. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია

5.1. ფიზიკური აღზრდა და სპორტი ძველ დროში

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ისტორიასთან. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევები იძლევა იმის საშუალებას, ვამტკიცოთ, რომ ფიზიკური ვარჯიშები გამოიყენებოდა ჩვენი შორეული წინაპრების შრომითი და სამხედრო აღზრდის საქმეში. ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში დღესაც არის შემორჩენილი ფიზიკური ვარჯიშები და თამაშები, რომლებიც თავიანთი ფესვებით შორეულ წარსულში მიდის. ქართველმა ხალხმა და მისმა წინაპრებმა საუკუნეების მანძილზე შექმნეს ფიზიკური აღზრდის მრავალფეროვანი, სხვადასხვა რეგიონებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სისტემები, რომლებმაც სხვა ფაქტორებთან ერთად უზრუნველყო ქართველი ხალხის სიცოცხლისუნარიანობა, მისი, საბოლოო ანგარიშით, წარმატებული ბრძოლა ეროვნული თვითდამკვიდრებისა და თვითშენარჩუნებისათვის. ეს ბრძოლა კი ქართველი ხალხის მთელი ისტორიის მანძილზე იყო სისტემატური და პერმანენტული - სამი ათასწლეულის მანძილზე არ ყოფილა აზიაში და ახლო აღმოსავლეთში მეტნაკლებად სერიოზული ძალა, რომელსაც თავის სტრატეგიულ ინტერესებში საქართველოს დაპყრობა არ ჰქონოდა.

საქართველოში უძველესი დროიდან მისდევდნენ ცხენოსნობას, მშვილდოსნობას, სხვადასხვა საგნების ტყორცნებს და თამაშებს. ძველი ბერძენი მოგზაურები, ისტორიკოსები და სხვა მოღვაწეები ხშირად აღწერდნენ კოლხეთსა და სხვა მხარეებში ბერძნულ გიმნასტიკაში შემავალი ვარჯიშების გავრცელების ფაქტებს. აპოლონიოს როდესელი თავის „არგონავტიკაში“ წერს: „ქუთაისში არგოს ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწინვალე გმირების მოსაგონებლად რბენას და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე“.

მემატიანეები ასევე აღნიშნავენ სპორტული ბაზების არსებობის შესახებ ფოთსა და შავიზღვისპირეთის ზოგიერთ სხვა ქალაქშიც.

ძველ საქართველოში ფიზიკური აღზრდის არსებობაზე და განვითარებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ბერძენი, რომაელი თუ ბიზანტიელი მოღვაწეები ფართოდ აშუქებდნენ ქართველური ტომების ცხოვრებას და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ანტიკური სამყარო კარგად იცნობდა მათ სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას. ისინი აცხადებდნენ, რომ ამ ტომების კარგი ფიზიკური მომზადება ვარჯიშების საკმაოდ მდიდარი არსენალის გეგმაზომიერი გამოყენების საშუალებით ხდებოდა.

„ეს იყო უმამაცესი ხალხი. მათ შორის, ვისთანაც კი ელინებს საქმე ჰქონდათ თავიანთი ლაშქრობის დროს“ - წერდა ანტიკური ხანის დიდი ისტორიკოსი პეროდოტი ქართველური ტომის - ხალიბების შესახებ. ხალიბები ის ქართველური ტომია, რომელთა საცხოვრისის ცენტრში მდებარე ქალაქი სინოპი მაღალი კლასის ათლეტებით იყო განთქმული.

„სვანები თავისი სიმამაცითა და სამხედრო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხზე უფრო სახელოვანი არიან“ - წერდა სტრაბონი I საუკუნეში. ყოველი სვანის წმინდათა წმინდა მოვალეობას წარმოადგენდა მტრებისაგან თემის ღირსების დაცვა, ამიტომ თითოეული სვანი უნდა ყოფილიყო ფიზიკურად ძლიერი, მამაცი და სათანადოდ მომზადებული. მრავალფეროვანი იყო სვანების ფიზიკური ვარჯიშები, რომელთა შორის აღსანიშნავია: სიგქეზე, სიმაღლეზე და ჭოკით ხტომა, ქვის აწევა და გადატანა, ქვის კერა, ბრტყელი ქვის ტყორცნა (ბადროს მსგავსად), ბურთაობა, შუბის ტყორცნა, ცხენოსნობა, ისრის ტყორცნა, ჭიდაობა, ნადირობა და სხვ.

ასევე დიდი ადგილი ეჭირა ფიზიკურ აღზრდას სხვა ქართველ მთიელთა ცხოვრებაშიც. თუშეთში ისე, როგორც სვანეთში, თემის თითოეული წევრი მოვალე იყო დაეცვა თავისი თემი და მტრისათვის საკადრისი პასუხი გაეცა. აღზრდა ხევესურეთში მიზნად ისახავდა ფიზიკურად ძლიერი, ჯანსაღი, გამძლე, შრომისა და ბრძოლისუნარიანი ახალ-

გაზრდობის მომზადებას. ხევესურეთში ფარიკაობის შესწავლა 6-8 წლის ასაკიდან იწყებოდა. ხევესურთა ფიზიკური მომზადების საშუალებანი მრავალფეროვანი იყო და შეიცავდა: მთაში სიარულს, რბენას, სიგრძეზე ხტომას, ქვის ტყორცნას მანძილზე და მიზანში (ხელით და შურდულ-ლით), მოძრავ თამაშებს და ცეკვას მუსიკის თანხლებით, თხილამურებზე სიარულს, ფარიკაობას, ისრის ტყორცნას, ცხენოსნობას, ჭიდაობას, ნადირობას. რადგან საქართველოს სისტემატურად უხდებოდა ომის წარმოება მტრების მოსაგერიებლად, ფიზიკური აღზრდის სისტემასაც სამხედრო ხასიათი ჰქონდა. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოში შემოჭრილმა რომაელმა იმპერატორმა პომპეუსმა სპეციალურად ინახულა ხევესური მოფარიკავეების ოსტატობა და „ფრიად ცნო სიმხნე და მამაცობანი მათნი“. ქართველთა ფიზიკურ ვარჯიშთა ეფექტურობით აღფრთოვანებული იყო ბევრი უცხოელი მოღვაწე. II საუკუნის რომაელმა იმპერატორმა ანტონინ პიუსმა რომში იხილა ქართველი მეფის ფარსმან მეორის (ქველის), მისი ვაჟისა და ორასამდე ქართველის საოცარი ოსტატობით შესრულებული ვარჯიშები. აღფრთოვანებულმა რომის იმპერატორმა მარსის მოედანზე ფარსმანის ქანდაკება დადგა. ევნაპი სარდელის (III-IV სს.) გადმოცემით, რომის არმიის შუბისანთა რაზმის უფროსი, კოლხეთში დაბადებული და გაზრდილი - სუბარ-მახიოსი, ჭეშმარიტად გმირი იყო და „ყოველგვარ გასაჭირს იტანდა ღონიერი ახალგაზრ-დული ვარჯიშების წყალობით“.

არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ პონტოს სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი პორტიდან, სინოპიდან, იყვნენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ვალერი იკლექტა და მარტინ რეფუსი (ძვ.წ.ა. III ს.). ჯერჯერობით ძნელია მათი ქართველობის მტკიცება, მაგრამ უარყოფაც არ შეგვიძლია, რადგან ცნობილია, რომ სინოპი მდებარეობდა სახელგანთქმული ქართველური ტომის - ხალიბების საცხოვრისის ცენტრში და ფაქტობრივად მისი დედაქალაქი იყო.

ქართველი ათლეტები სისტემატურად მონაწილეობდნენ შავი ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებში გამართულ დიდ სპორტულ შეჯიბრებებში. არის ცნობა, რომ შავი ზღვისპირეთის ბერძნული ქალაქის გორგიპიის (დღევანდ-

ლი ანაპის) ტერიტორიაზე ნაპოვნია ორმეტრიანი ქვის სტელა. ქრისტეშობამდე III საუკუნეში გორგიპიაში იმართებოდა პერიოდული შეჯიბრებები გრძელ მანძილებზე რბენაში. აღსანიშნული ქვის სტელაზე სწორედ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული 225 მორბენლის ვინაობაა ამოკვეთილი. ყველა მათგანი სახელითა და მამის სახელითაა მოხსენიებული, მაგრამ სხვა არაბერძნული ქვეყნებიდან ჩამოსული მორბენლების მხოლოდ სახელია ამოკვეთილი და იმ ქალაქის სახელი, საიდანაც ისინი იყვნენ. სტელა გვაუწყებს, რომ ასეთ შეჯიბრებაში უასპარეზია ქუთაისელ კრატინოსს (კრატინოს კუტატიონს), რომელმაც სამჯერ გაიმარჯვა, თითოჯერ უმარჯვიათ ბლასტოს ქუთაისელს, მესხეთის მკვიდრთ სტრაციოსს და სოსისს.

არსებობს ასევე ცნობები, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა თამაშები, რომლის პროგრამა და ჩატარების წესი ემთხვეოდა ბერძნული ოლიმპიადების პროგრამას. ამ მოსაზრებას ამყარებს ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი ივანე გვარამაძე, რომელიც 1882 წლის №217 გაზეთ „დროებაში“ წერს: - „თამაშების პროგრამა „არგოს“ გმირი კაპიტნის - იაზონის მიერ იქნა საქართველოში დატოვებული“. ქართული „ოლიმპიური თამაშების“ პროგრამაში შედიოდა - ჭიდაობა, კრივი, წრე-ლახტი, რბენა (მათ შორის „ქალთა გაქცევანი“), ბურთაობა, დოდი, ეტლების რბოლა, ბადროს ტყორცნა („ქვის სროლა ფიქალისა“), ლოდების აწევა-დაწევა, ჯირითი, მშვილდოსნობა.

5.2. ფიზიკური აღზრდა და სპორტი შუასაუკუნეების საქართველოში

შუასაუკუნეების საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო საქმისათვის ფიზიკურ მოზადებას. ქვეყნის მიწა-წყლის დაცვის საქმეში გადამწყვეტ ძალას სახალხო ლაშქარი წარმოადგენდა, რომლის მომზადებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა სამხედრო ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშებს ენიჭებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა

ფარიკაობას, ბურთაობას, ცხენოსნობას, შუბისა და ლახვრის ტყორცნას. ცნობილია, რომ ქართველ მეომრებს უმეტესად მტრის ცხენოსან ჯართან უხდებოდა ბრძოლის წარმოება და არც არის გასაკვირი, რომ ვარჯიშთა ცხენოსნური სპორტის სახეობები უფრო ფართოდ იყო გავრცელებული.

შუასაუკუნეების საქართველოში არსებული ფიზიკური ვარჯიშები საკმაოდ ვრცლად არის ასახული ძველ ხალხურ სიტყვიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. „ამირან დარეჯანიანში“ მოხსენებულია იმ დროში გავრცელებული ფიზიკური ვარჯიშები, აღწერილია რაინდთა ბრძოლის ამსახველი სურათები. ამ ნაწარმოებიდან ჩანს, რომ იმართებოდა კომპლექსური სპორტული ასაპარეზოებები მშვილდოსნობაში, შუბის ტყორცნაში, ნადირობაში, ცურვასა და ჭადრაკში. მეორე ლიტერატურულ ნაწარმოებში - „რუსუდანიანში“ აღწერილია ძველი ქართული თამაში - ყაბახი.

აღნიშნულ პერიოდში უხვად ყოფილა სპორტული ბაზებიც. იშვიათი იყო სოფელი (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში), რომელსაც თავისი საჭიდაო მოედანი არ ჰქონოდა მოწყობილი. აგებული იყო დარბაზები, იპოდრომები, შავთელის გადმოცემით, თამარის სასახლეს ამშვენებდა „იპოდრომისა განხმულობანი“. იყო ასევე ე.წ. „სათამაშო სახლები“, რაც, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „სახლი მენარდეთა“. ამ „სახლების“ სტუმრები იყვნენ სხვა სამაგიდო თამაშის მოყვარულებიც. მრავალი სპორტული ბაზა ეკლესია-მონასტრების ეზოებშიც კი იყო გადატანილი. მთელი რიგი ეკლესიები თავისებურ სპორტულ ცენტრებად იქცნენ. საეკლესიო პირი ხშირად მსაჯისა და შეჯიბრების ორგანიზატორის როლსაც კი ასრულებდა ლელობურთის თამაშის დროს. ეს მაგალითი ნათლად მიუთითებს, რომ ქართულმა ქრისტიანულმა რელიგიამ გარკვეული წვლილი შეიტანა სპორტული მოძრაობის განვითარების საქმეში. შემთხვევით არ არის, რომ სხვა სასწავლო დაწესებულებებთან ერთად შუა საუკუნეების საქართველოში ფიზიკური აღზრდა დანერგილი იყო ქალთა ზოგიერთ საეკლესიო სკოლებშიც. აღნიშნულ პერიოდში გარკვეული ადგილი ქალთა ფიზიკურ აღზრდასაც ეთმობოდა, თუმცა

მათთვის ფიზიკური აღზრდის სპეციალური სისტემა არ არსებობდა. ცნობილია, რომ თამარ მეფე შესანიშნავი ცხენოსანი და მოისარი იყო.

XII-XIII საუკუნეში საქართველო საკმაოდ დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო, რომლის საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა და ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. ამ ხანას საქართველოს აყვავების ხანას უწოდებენ, რომლის დროსაც განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ფიზიკურმა აღზრდამ. სხვა წყაროებთან ერთად, ამაზე მიგვიტოთებს შოთა რუსთაველის გენიალური პოემა 'ვეფხისტყაოსანი': ბურთაობა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, მუშაითობა, ნადირობა — ეს ფიზიკური ვარჯიშების ის სახეობებია, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული იმ პერიოდისათვის და მათზე მოგვითხრობს რუსთაველი თავის პოემაში. 'ვეფხისტყაოსანში' ფიზიკური აღზრდის მთელი სისტემაა წარმოდგენილი. შოთა რუსთაველს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის საჭიროდ მიაჩნია: ჯანი, სისაღე, სიმძლავრე, გამძლეობა, სისწრაფე, სიმამაცე, სილაღე, რიხიანობა, ვეფხვის სიმარდე; სილამაზისათვის - თვალად სიტურფე, პირიმზეობა, მზისადარობა და სხვ.; რაიდობისათვის - მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ასპარეზობა, ბაზიერობა, ნიშანში სროლა, მორტყმელობა, მუშაითობა, აკრობატიკა, ბურთაობა და სხვა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს გააჩნია ფიზიკური აღზრდის ისეთი სისტემა, რომელსაც აშკარა უპირატესობა ჰქონდა ევროპული ქვეყნების - საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის სარაინდო სისტემებთან შედარებით.

ფიზიკურ აღზრდას მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი ხასიათი ჰქონდა. ფეოდალები ფიზიკურ აღზრდას თავისი კლასის ინტერესებისათვის იყენებდნენ. ამასთან ფიზიკურ ვარჯიშთა გარკვეული სახეები ფეოდალთა კლასის მონოპოლიას წარმოადგენდა. ფეოდალები ბავშვობიდანვე იწყებდნენ წვრთნას, რომელსაც სისტემატური ხასიათი ჰქონდა, ისინი ფიზიკური აღზრდის ერთგვარ სკოლას გადიოდნენ. გლეხობა ყოველივე ამას მოკლებული იყო, რადგან მძიმე ფიზიკური შრომის გამო მათ არ ჰქონდათ სისტემატური ვარჯიშის საშუალება. მათთვის მხოლოდ უქმე დღეები გამოიყენებოდა და ისიც რაიმე თამაშებისა

და შეჯიბრებების ჩასატარებლად. თუმცა დროის ამ მცირე მონაკვეთსაც ისინი მაქსიმალურად იყენებდნენ და გატაცებით ვარჯიშობდნენ თავიანთ საყვარელ სახეობებში. შუა საუკუნეების უფრო გვიანი პერიოდი (XVI-XVIII სს.) ფიზიკური აღზრდის შესახებ საკმაოდ ვრცლად საუბრობს თავის ნაწარმოებებში მეფე არჩილ II. ამ პერიოდის საქართველო თავისებურ სამხედრო ბანაკს მოგვაგონებდა, რადგან ყველასთვის სავალდებულო იყო სამხედრო ხელოვნებაში და ფიზიკურ მომზადებაში დაოსტატება. ეს, ერთი მხრივ, საკუთარი ინტერესების და, მეორე მხრივ, გარეშე მტრებისაგან თავდაცვას ემსახურებოდა. სამხედრო-ფიზიკური მომზადების ძირითადი საშუალებები, რომლებიც საქართველოს მეფე არჩილ II-ს ნაწარმოებებში იყო მითითებული, ძირითადად ფიზიკური აღზრდის ხალხური ფორმებიდან იყო აღებული. ადამიანის პიროვნული სრულყოფისათვის, არჩილს მხოლოდ გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა არ აკმაყოფილებდა. იგი მოითხოვდა აგრეთვე მის ფიზიკურ წრთობასაც, რაც ჯანმრთელსა და ბრძოლისუნარიანს ხდიდა ადამიანს. ბრძოლისუნარიანი ქართველი კი ძალზე სჭირდებოდა ჩვენს სამშობლოს. არჩილის შეხედულებით, ადრიდანვე უნდა გაწაფულიყო ყმაწვილი ტანვარჯიშში, ცხენოსნობაში, მშვილდ-ისრის ხმარებაში, ბურთაობაში, ნადირობაში და სხვ.

5.3. ფიზიკური აღზრდა და სპორტი საქართველოს რუსეთის იმპერიაში ყოფნის პერიოდში (1801-1911 წწ.)

მას შემდეგ, რაც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე, 1801 წელს მოხდა საქართველოს ანექსია და ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, ძირფესვიანად შეიცვალა მდგომარეობა ცხოვრების ყველა სფეროში და, რა თქმა უნდა, ფიზიკურ აღზრდაშიც. თუ რუსეთთან შეერთებამდე ჩვენი ქვეყანა ხალხის სამხედრო-ფიზიკური მომზადების იმედზე იყო და გარდაუვალი ომების მოლოდინში მათი სისტემატური ვარჯიში სახელმწიფო ინტერესებში შედიოდა, ახლა გარეშე მტრები-

საგან დაცვას თავის თავზე რუსეთის არმია იღებდა. სახალხო ლაშქარი აღარ არსებობდა. ქართველი ერის სამხედრო ცხოვრების პრაქტიკიდან ამოვარდნა ისეთი ტრადიციული ცნებები, როგორც იყო, „ქუდზე კაცის დაძახება“, საკუთარი ცხენითა და თოფ-იარაღით ბრძოლის ველზე გასვლა და სხვა. ყოველივე ამან განაპირობა ქართული სახელმწიფო აპარატის კონტროლის მოშლა და დაინტერესება მოსახლეობის სამხედრო-ფიზიკური მომზადებისადმი.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვეყნად შედარებით მშვიდობიანობა ჩამოვარდა, ერთგვარად დასასრული მიეცა აგრესიულ მეზობლებთან გამუდმებულ ომებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე მიზეზით საკმაოდ შეერყა საფუძვლები ჩვენში ძველთაგანვე არსებულ ფიზიკური აღზრდის სისტემას, რამდენადაც ეს უკანასკნელი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გამუდმებული ომებისა და მტრის დასახვედრად მზადყოფნის საჭიროებით იყო განპირობებული, რაც ქართველი ბავშვებისაგან პატარაობიდანვე გაძლიერებულ ფიზიკური წვრთნას მოითხოვდა.

სოციალური ურთიერთობის მხრივ, საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეტად მძიმე მდგომარეობა იყო. ბატონყმობა ისევ მძვინვარებდა. კლასობრივ ჩაგვრას, რომლის მძიმე უღელქვეშ გმინავდა მშრომელი ხალხი, დაერთო ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრა. ფეოდალური კარჩაკეტილობა, სამხედრო-პოლიტიკური ოპერაციები ქვეყნის შიგნით და ომები გარეშე სახელმწიფოების წინააღმდეგ დიდად აფერხებდა მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობას. ქვეყანა სიღატაკეში იხრჩობოდა, ხალხი გაძვალტყავებული იყო. მიუხედავად ამისა, გამოცოცხლება დაეტყო ვაჭრობასა და წვრილ ხელოსნურ სამრეწველო წარმოებას, თუმცა ამას ჯერ კიდევ არ ჰქონდა იმდენი გავლენა, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეტანა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში, რაც თავისთავად ვერ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების სათანადოდ წინსვლისა და განვითარებისათვის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების აყვავებისა და აღორძინებისათვის. მიუხედავად

ამისა, საქართველოს კულტურული ცხოვრება ამ პერიოდში მაინც საკმაოდ შინაარსიანი იყო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, იოანე, დავით და პეტრე ბაგრატიონები, სოლომონ დოდაშვილი და სხვა. ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ თავიანთ შესანიშნავ ნაწარმოებებს სახელოვანი ქართველი პოეტები ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი; ბელეტრისტები ლ. არდაზიანი და დ. ჭონქაძე; დრამატურგები გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი. 1950 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მუდმივ ქართულ თეატრს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოსვლა. პირველი ქართული გაზეთი „თბილისის უწყებანი“, 1828 წელს გამოვიდა; პირველი ქართული ჟურნალი, „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ - 30-იანი წლების დასაწყისში, რომელთა რედაქტორი იყო თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე-მეცნიერი და პედაგოგი სოლომონ დოდაშვილი.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1802 წლიდან გაიხსნა პირველი სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულება საქართველოში — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა. ამავე წლიდან საქართველოში იწყება სამაზრო სასწავლებლების დაარსება. ასეთი სასწავლებლები გაიხსნა ქუთაისში, გორში, თელავში და სოფელ ნოღალეფში (სამეგრელო). 1831 წელს - ახალციხესა და სიღნაღში; 1834 წელს - ღუშეთში; 1836 წელს - თბილისში.

1817 წელს თბილისში სასულიერო სემინარია დაარსდა, რომლის დანიშნულებას შეადგენდა სასულიერო პირთა შვილების სწავლება და მათი მომზადება საეკლესიო სამსახურისათვის. გარდა ამისა XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში შეიქმნა კერძო სკოლებისა და პანსიონების გარკვეული ქსელი. აღნიშნულ სასწავლებლებში ალბათ გარკვეული დოზით მიმდინარეობდა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე დამადასტურებელი ცნობები საქართველოს მაშინდელ სკოლებში არსებული ფიზიკური

აღზრდის მდგომარეობაზე. მოგვიანებით იმდროინდელი პრესის ფურცლებზე ჩნდება მასალები ზოგიერთი სასულიერო სემინარიის შესახებ. იაკობ გოგებაშვილი გვაწვდის ცნობას სემინარიაში მისი მოწაფეობის ხანაზე (1849-1854), როცა იქ ინსპექტორად მუშაობდა გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, შემდგომში იმერეთის ეპისკოპოსი, გაბრიელი, იგივე გერასიმე ქიქოძე. გოგებაშვილი გვატყობინებს, რომ გერასიმე ქიქოძის მოსვლამდე სემინარიაში თამაშობებს თვლიდნენ გარდუვალ ბოროტებად, ქიქოძის დროს კი პირიქით; თვით ინსპექტორი ყოველმხრივ აქებდა საბავშვო თამაშობებს და საეჭვოდ უცქერდა იმ მოსწავლეებს, რომლებიც მათში არ მონაწილეობდნენ. მის დროს სემინარიის ეზო ყოველდღიურად, ნასადილევს, წარმოადგენდა მრავალგვარ წესიერ თამაშობათა ასპარეზს, თამაშობანი იმართებოდა ვახშამის შემდეგაც. ყოველივე ამის შედეგად სემინარიაში შემცირებულა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი, რაც ძლიერ ყოფილა დამახასიათებელი დახურული სასწავლებლებისათვის, შემცირებულა დაავადებათა რიცხვი, ამადლებულა წარმატება (გოგებაშვილი ი. - „თხზულებანი, ტ.3, თბ., 1954, გვ. 39-40).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთავარ მოვლენას ბატონყმობის გაუქნება და კაპიტალიზმის წარმოშობა წარმოადგენდა. ბუნებრივია, კაპიტალიზმის წარმოშობამ მწვავედ დააყენა დღის წესრიგში სახალხო განათლებისა და სხვა დარგების რადიკალურად გარდაქმნისა და განვითარების საკითხი. დიდი სამზადისისა და ფართო განხილვის შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ 1844 წელს დაამტკიცა სახალხო სკოლების ახალი დებულება და გიმნაზიის წესდება. 60-იანი წლების რეფორმებმა სახალხო განათლების დარგში, თავისი გამოხატულება ჰპოვა კავკასიაშიც. მიღებული იქნა „დებულებანი კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის შესახებ“, რომელიც სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული იქნა 1867 წლის 25 ივნისს. ამ წესდებიდან გამომდინარე, კავკასიის სასწავლო ოლქის დებულებაზე დართული ცხრილით თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გათვალისწინებული იყო ტანვარჯიშის გაკვეთილების ჩატარება.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში საზოგადოებრივ-პედაგოგიურმა მოძრაობამ დიდი აღმავლობა განიცადა. მას თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები და პედაგოგები: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ა. წერეთელი, ი. წინამძღვრიშვილი, ნ. ცხვედაძე და სხვ.

ილია ჭავჭავაძე მთელი სერიოზულობით აყენებდა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების საკითხს. იგი ფიზიკურ წვრთობას აღზრდის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად აღიარებდა. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა სწავლავანათლება ბავშვის და მოზარდის ჯანმრთელობის, მისი ფიზიკური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. დიდი ჰუმანისტი და მოაზროვნე მოითხოვდა, რომ სკოლას უსათუოდ მხედველობაში ჰქონოდა მოსწავლის ფიზიკური გამოწვრთობაც. ამასთანავე ილიამ იცოდა, რომ ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი გზა სისტემატური ვარჯიში იყო. მისი სავსებით სწორი პედაგოგიური შეხედულებებით არ შეიძლება დავიწყებული ყოფილიყო, რომ „კაცს ტანი და აგებულება აქვს, რომელიც წურთენითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს, რადგან ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც - კი ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. II, 1941, გვ. 578-577).

ამავე პერიოდში საქართველოში მოხდა სპორტის კლასიკური სახეების შემოტანა და დანერგვა. 1887 წელს დაინერგა ფარიკაობის საერთაშორისო სახეები, ხოლო 1900 წელს გაიხსნა პირველი საფარიკაო დარბაზი. 1888 წელს თბილისში დაარსდა ველოსპორტის მოყვარულთა საზოგადოება, 1892 წელს კი გაიხსნა პირველი ტრეკი. 90-იანი წლებიდან ჩნდება ცურვის პირველი წრეები, შემოდის ფეხბურთი და იმართება პირველი მატჩები ფოთსა და ბათუმში. XX საუკუნის დამდეგს დაიწყო ძალოსნობის განვითარება. 1912 წელს პეტრე მარღანაძის ხელმძღვანელობით დაარსდა ძალოსანთა სექცია.

ტანვარჯიში, როგორც სასკოლო ფიზიკური აღზრდის საშუალება, მათალია, საქართველოს ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ 1879 წელს დაინერგა, მაგრამ როგორც სპორტის

სახეობა, იგი პირველად ჩვენში XIX საუკუნის ბოლოს ჩნდება. პირველი ტანვარჯიშული წრე შეიქმნა თბილისის პირველ გიმნაზიასთან ჩეხი ტანმომარჯიშის ანტონ ლუკაშის ხელმძღვანელობით. 1900 წელს იქმნება ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლი“.

ხალხური სახეებიდან დასავლეთ საქართველოს რეგიონში იმართებოდა ლელო-ბურთი. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში უფრო პოპულარობით ჭიდაობა სარგებლობდა. გამოირჩეოდნენ სახელოვანი ფალავნები: დავით ხიზამბარელი, კოლა გლდანელი (ყირმელაშვილი), ნესტორ ესებუა, გორელი ძმები ეგნატაშვილები, სანდრო კანდელაკი, ივანე აბულაძე („კამბუჩუა“), კოსტა მაისურაძე, შაშო ვერელი, პატარა ვერელი (კახნიაშვილი), ილიკო ქურხული და სხვანი. თბილისში გაჩნდა მრავალი საჭიდაო არენა, სადაც იმართებოდა საინტერესო შეჯიბრებები.

5.4. ფიზიკური აღზრდა და სპორტი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დემოკრატიული მშენებლობის ისტორიული გამოცდილება, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს დემოკრატიული ტრადიციების მეცნიერულ შესწავლასა და გაანალიზებას, რადგან საკუთარი ტრადიციების ცოდნა და პატივისცემა ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წმინდათა წმინდა ვალია.

სწორედ ამ თვალსაზრისით, ისევ და ისევ, აქტუალურ საკითხად რჩება და უდიდეს ინტერესს იწვევს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი, როდესაც ქვეყანამ აღადგინა რა თავისი დამოუკიდებლობა, შეეცადა აეშენებინა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ცივილიზებული სახელმწიფო.

ამ პერიოდში ქვეყნის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა და

ახლის შექმნა, რომლის პრაქტიკული განხორციელება საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან დაიწყო.

აკადემიკოსი ვ. ბერიძე საქართველოს რესპუბლიკის წლებზე წერს, რომ „დიდად ნაყოფიერი იყო სწორედ სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით. კულტურის ყველა დარგში – მეცნიერებაში, განათლებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში – დროის იმ მცირე მონაკვეთში, უმძიმესი ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ყოველ მხრივ მტრული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა. გასაოცრად მრავალმხრივი და ინტენსიური იყო შემოქმედებითი ცხოვრება, ასეთი აღტკინება, მხოლოდ ეროვნული აღმავლობის დროსაა შესაძლებელი“.

სხვა დემოკრატიულ გარდაქმნებთან ერთად, რესპუბლიკის ხელისუფლებამ პირველივე დღიდან დიდი ყურადღება დაუთმო და სახელმწიფოს ზრუნვის საგნად აქცია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარება. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქვეყნას ფაქტობრივად არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა აღნიშნული სფეროს საქმიანობის უკეთ წარმართვაში რომ გამოადგებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მისი არსებობის ხანმოკლე მანძილზე მაინც შეძლო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, რაც აისახებოდა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე.

1919 წლის გაზეთ „სახალხო საქმეში“ (№429) დაიბეჭდა ს. ფირცხალავას ვრცელი წერილი „ერის გაჯანმრთელება“, რომელშიც საუბარი იყო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მნიშვნელობაზე. ამ სტატიაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უკეთ წარმართვის მიზნით, უმჯობესი იქნებოდა დამოუკიდებელი ჯანმრთელობის სამინისტროს შექმნა. ამავე გაზეთშია პ. მირიანაშვილის სტატია - „სხეულის კულტურაც საჭიროა“, რომელშიც ერის გამრავლებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში გიმნასტიკური საზოგადოება „ამირანი“,

წლის შემდეგ გ. ნიკოლაძემ იალბუზზე მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია.

მრავალმა ქართველმა სპორტსმენმა ისახელა თავი ამ დროისათვის, მათ შორის უპირველესად უნდა დასახელდეს „შევარდენის“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი, აღიარებული ტანმწვარჯიშე და პედაგოგი - გიორგი ეგნატაშვილი.

გ. ნიკოლაძისა და გ. ეგნატაშვილის მხარდამხარ იდგნენ სპორტის დარგის ისეთი აღიარებული წარმომადგენლები, როგორც იყვნენ: გიორგი მერკვილაძე, არჩილ ბაქრაძე, კონსტანტინე ზაუტაშვილი, გოგლიკო ბაბილოძე, ვახტანგ მარსაგიშვილი, ლევან ყანჩაველი, გიორგი ჩიკვილაძე, ლევან გოლოვნი, მიხეილ გორგაძე და მრავალი სხვა.

ამავე პერიოდში იწყება კალათბურთის აღმავლობა. 1924 წელს თბილისის სარკინიგზო კვანძის მუშებმა ჩაატარეს შეჯიბრება, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობდა. ერთი წლის შემდეგ კი უკვე იწყება ქ. თბილისის პირველობა. 1927 წელს ქუთაისში შედგა საქართველოს პირველი ჩემპიონატი კალათბურთში. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ჩემპიონის ტიტული თბილისის „სინათლის“ გუნდებმა მოიპოვეს.

ჩვენ ქვეყანაში კრივის განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი მიუძღვის პეტრე მარღანაძეს, რომელმაც ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჩაუყარა საფუძველი კრივსა და ძალოსნობას. საბჭოთა საქართველოში პირველი მატჩი კრივში სწორედ პ. მარღანაძის თაოსნობით ჩატარდა, რითაც დასაბამი მიეცა კრივის შემდგომ განვითარებას. 1923 წლის 15 ივლისს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო-სპორტული ოლიმპიადის პროგრამით მოეწყო მ. ჯინჭარაძისა და კ. ჟივარევის შეხვედრა. 1923 წლიდან კრივი ოფიციალურად ინერგება ბათუმსა და სოხუმში.

1924 წლიდან მონაწილეობენ საქართველოს ჩოგბურთელები საკავშირო პირველობებზე. იან გომერი, რომან ნეგრეხეცკი, ვალერი შერშოვი და არამ ხანგულიანი იყვნენ ის პირველი მერცხლები, რომლებმაც ქართული ჩოგბურთი წარადგინეს საკავშირო არენაზე. 1928 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკიადაზე ამიერკავკასიის ღირსებას საქართველოს ჩოგბურთელები იცავდნენ და მათ

მხოლოდ ფინალში იწვინეს დამარცხება მოსკოვის ძლიერ გუნდთან და საპატიო მეორე ადგილს დასჯერდნენ.

საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს ჩვენ ქვეყანაში ველოსპორტს. ჯერ კიდევ 1898 წელს თბილისში იხსნება პირველი ველოტრეკი. იგი თბილისელი მაყურებლებისათვის საყვარელი ადგილი იყო იმის გამო, რომ სისტემატურად იმართებოდა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებები. საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთ ძლიერ ველოსიპედისტად ითვლებოდა ლუსიან ჯაჯანაშვილი, რომელმაც 1927 წელს „თბილისის პირველი მორბენლის“ პრიზი მოიგო.

1930 წლიდან საგრძნობ წარმატებებს აღწევენ გოგი ლეუავა და არკადი ხაბურზანია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ცურვა უმთავრესად ზღვისპირა ქალაქებში ვითარდებოდა. თბილისში გარკვეული როლი შეასრულა 1928 წელს აშენებულმა 50 მეტრიანმა აუზმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე ფაქტიურად დედაქალაქის საცურაო ცენტრს წარმოადგენდა. იმ პერიოდის საუკეთესო მოცურავეები იყვნენ ლ. ლისოვეცკი, მ. მუსასტიკოვი, ლ. იოკიმიდი, ა. პაცკევიჩი, გ. სკრიპნიკოვი, გ. ასამბაძე. ბათუმის მკვიდრმა ვ. პოკროვსკიმ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით 1.09,4 წამი უჩვენა, რაც ამიერკავკასიის ყველა მანამდე არსებულ მაჩვენებელზე უკეთესი იყო.

წყალბურთი ფეხს იკიდებს 1925-1926 წლებში, 1927 წელს კი სპორტის ეს სახეობა ბათუმში ჩატარებული საწყალოსნო სპორტის დღესასწაულის პროგრამაში შეიტანეს, სადაც თბილისის, ფოთის, სოხუმის და ბათუმის გუნდები მონაწილეობდნენ. ენთუზიასტთა შორის პირველი იყო ლუკა იოკამიდი. საინტერესოა, რომ თბილისის „დინამოს“ პირველ წყალბურთელთა შორის იყო მიხეილ თიკანაძე, რომელმაც შემდგომში მთელი თავისი ძალები თავისუფალ ჭიდაობას შეაღია და როგორც მწვრთნელმა მსოფლიო კლასის მოჭიდავეები აღუზარდა სამშობლოს.

წყალში ხტომასაც ბათუმში გამართულმა სპორტულმა დღესასწაულმა დაუდო ოფიციალური საწყისი, თუმცა რესპუბლიკის ჩემპიონატები გაცილებით გვიან, 1935 წელს დაიწყო.

თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ათწლეულში ფაქტობრივად საფუძველი ეყრებოდა საბჭოთა ფიზიკურ აღზრდას და სპორტს, მომდევნო პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, იგი პირველ დიდ წარმატებებს აღწევს.

1923 წელს შექმნილი ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად 1930 წელს იქმნება ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭო, როგორც ხელმძღვანელობის ერთიანი სახელმწიფოებრივი ფორმა. 1931 წელს იქმნება კომპლექსის პირველი საფეხური - „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. 1932 წელს კი შემუშავდა მეორე საფეხური. 1934 წელს შემოდის ბავშვთა კომპლექსი „იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“.

მთელი საბჭოეთისა და საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1936 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის შექმნა. საბჭოთა კავშირის ახალმა კონსტიტუციამ ახლებურად გააშუქა საბჭოთა ადამიანის ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმის საკითხები. ინტენსიურად იქმნება ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციები, რაც სპორტის მასობრიობის უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენდა და, ბოლოს, სწორედ 1936 წლიდან საფუძველი ეყრება ბევრ საკავშირო სპორტულ ღონისძიებას. ზემოთ მოყვანილი წარმატებების ფონზე, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას კადრების საკითხი წარმოადგენდა. ჩვენ ქვეყანას ჰყავდა მაღალი კვალიფიკაციის კეთილსინდისიერი, საქმის ერთგული ადამიანები. ამ მხრივ საქართველოს ფიზკულტურულ მოძრაობას დიდი სამსახური გაუწიეს საზოგადოება „შეგარდენის“ ყოფილმა ხელმძღვანელებმა და სახელმძღვანელოებმა სპორტსმენებმა სპორტის ვეტერანებმა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში დიდი როლი შეასრულა 1930 წელს ბაქოში ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაარსებამ, რომელსაც რუსული,

აზერბაიჯანული, სომხური და ქართული სექტორები ჰქონდა. ამ ინსტიტუტში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდნენ საქართველოს სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლები მ. გორგაძე, ლ. გოლოვნია და ლ. კრაჰიკი.

1930 წლის 30 აპრილს თბილისში პირველ პედაგოგიურ ტექნიკუმთან გაიხსნა ფიზკულტურის განყოფილება, ხოლო 1933 წელს - ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი.

1935 წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა ფიზიკური კულტურის განყოფილება, რომელიც იმავე წელს გადაკეთდა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტად. მისი პირველი დეკანი იყო პროფესორი გ. მღებრიშვილი, რომელსაც მხარში ედგნენ ფაკულტეტის დაარსების ენთუზიასტები გ. მერკვილაძე, მ. გორგაძე, ვ. ჯაველიძე, ლ. გოლოვნია და სხვები.

1938 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი გამოეყო უნივერსიტეტს და მის ბაზაზე შეიქმნა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. არანაკლები როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული მოძრაობის კადრებით უზრუნველყოფის საქმეში 1931 წელს დაარსებულმა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ შეწყვიტა ჩვენი ქვეყნის სპორტული მოძრაობის მშვიდობიანი განვითარება. ფრონტზე იბრძოდა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ერთი მეხუთედი. მიუხედავად ამისა, გარკვეული მუშაობა მაინც მიმდინარეობდა. სპორტული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ საყოველთაო-სამხედრო სწავლებაში და საბჭოთა არმიას სისტემატურად აწვდიდნენ ფიზიკურად გაწვრთნილ კადრებს. ქართველი სპორტსმენები წითელი არმიის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იმყოფებოდნენ, რომელთა შორის იყვნენ ჩოგბურთელი ვახტანგ ლეჟავა (სსრ კავშირის გმირი), ცნობილი მძლეოსანი და პარტიზანი დიმიტრი იოსელიანი, მოჭიდავეები შალვა ნოზაძე და შალვა ჩიხლაძე,

ტანმოვარჯიშე რაჟდენ იმნაძე, მძლეოსანი აკაკი ხუციშვილი, ცხენოსანი მელიტონ ქანთარია (სსრ კავშირის გმირი), მოფარიკავე ოთარ დიდებულიძე, მოკრივე შალვა დვალი, ძალოსანი კონსტანტინე სვეტილკო და მრავალი სხვა.

თუმცა, როგორც კი გადაწყდა ომის ბედი და საბჭოთა ჯარებმა იწყეს მტრის განდევნა, სპორტმა ტრადიციული ადგილი დაიკავა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ქართული სპორტის საამაყო შვილებმა ნინო დუმბაძემ და ელენე გოკიელმა 1944 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს ბადროს ტყორცნაში და სიგრძეზე ხტომაში. განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ნინო დუმბაძის შედეგი ბადროს ტყორცნაში (49 მ 88 სმ), რომელიც აღემატებოდა გერმანელი გ. მაუერმაიერის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. სამწუხაროდ ნ. დუმბაძის გვარი მაშინ მსოფლიო რეკორდსმენტა სიაში ვერ მოხვდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაცია იმ დროს არ ირიცხებოდა საერთაშორისო ფედერაციის რიგებში.

5.6. ფიზიკური აღზრდა და სპორტი საბჭოთა საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ✦ სსრ კავშირის დაშლამდე (1945-1991 წწ.)

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შედარებით მოკლე დროში საბჭოთა მთავრობა იღებს დადგენილებებს, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებაზე. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 28 სექტემბრის დადგენილების მიხედვით ფიზიკური კულტურის საკავშირო და რესპუბლიკურ კომიტეტებს ეკისრებოდა ხელმძღვანელი კადრების მომზადება, სპორტული სკოლების ქსელის გაფართოება. შემოღებული იქნა მკერდზე სატარებელი ნიშნები სპორტის ოსტატებისათვის, პირველი, მეორე და მესამე თანრიგოსნებისათვის და სხვ. 1947 წლის 2 ივლისის დადგენილებით შემოღებულ იქნა ჯილდოები (მედლები და ნიშნები) სპორტული მიღწევებისათვის.

1946 წლიდან იწყება სსრ კავშირის სპორტული ორგანიზაციების გაერთიანება საერთაშორისო ფედერაციებში, რომელმაც სსრ კავშირისა და ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს ოფიციალურ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის საშუალება მისცა. ამიერიდან, სსრ კავშირის სახელით, საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობასღებულბენ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. მოგვიანებით, 1951 წლის 23 აპრილს იქმნება სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი და იმავე წლის 7 მაისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვენის სესიაზე აწვევრიანებს მას თავის შემადგენლობაში. 1951 წლის 15-16 ოქტომბერს მოსკოვში იმართება ახალშექმნილი ოლიმპიური კომიტეტის პირველი სესია, რომელიც 1952 წლის ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გადაწყვეტილებას იღებს.

საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლების მოპოვების პირველივე წლიდან იწყება საქართველოს სპორტსმენების წარმატებული გამოსვლები ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებში. ამ თავში მოვითხრობთ იმ სპორტსმენებზე, რომლებმაც ყველაზე მეტ წარმატებებს მიაღწიეს აღნიშნულ შეჯიბრებებზე. მომდევნო თავს კი დავუთმობთ საქართველოს სპორტსმენების მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებზე. 1946-1991 წლებში საქართველოს სპორტსმენებს განსაკუთრებით მაღალი შედეგები აქვთ მოპოვებული ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში სპორტის ისეთ სახეებში, როგორცაა თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, ძალოსნობა, აკრობატიკა, სროლა, ველო-ტრეკი, კალათბურთი და სხვა.

თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეები სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში 1954 წლიდან მსოფლიოს და 1965 წლიდან ევროპის პირველობებში მონაწილეობენ. ვახტანგ ბალავაძე პირველი ქართველი მოჭიდავეა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თავისუფალ ჭიდაობაში. მან ამ წარმატებას 1954 წელს იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიაღწია. 1957 წელს სტამბულში იგი მეორედ ხდება მსოფლიო ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების ორ-ორი

ოქროს მედლები აქვთ მოპოვებული გურამ სალარაძეს (1963, 1965 წწ.), შოთა ლომიძეს (1969, 1971 წწ.) და დავით გობეჯიშვილს (1985 და 1990 წწ.). ოთხი ოქროს მედალი აქვთ მოპოვებული ლევან თედიაშვილს (1971, 1963, 1974, 1975 წწ.) და ლერი ხაბელოვს (1985, 1987, 1990 და 1991 წწ.).

ევროპის პირველი ჩემპიონის ტიტულს ქართველ ფალავანთა შორის ზარიბეგ ბერიაშვილი ფლობს. ეს ტიტული მან 1965 წელს ინგლისის ქალაქ მანჩესტერში მოიპოვა. ზ. ბერიაშვილმა კიდევ სამჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი (1966, 1967 და 1970 წწ.). ორ-ორჯერ აქვთ მოგებული ევროპის პირველობა ლ. თედიაშვილს (1974, 1978 წწ.) და შოთა ლომიძეს (1966, 1969 წწ.).

კლასიკური ჭიდაობა. ჩვენი სპორტსმენები მსოფლიო ჩემპიონატებში 1953 წლიდან მონაწილეობენ, ევროპაზე კი 1968 წლიდან. გივი კარტოზია პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო იტალიის ქალაქ ნეაპოლში. მან კიდევ ორჯერ მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული (1955 და 1958 წწ.). ასევე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია როსტომ აბაშიძე (1958, 1962 და 1963 წწ.). ქართველ კლასიკურ მოჭიდავეთა შორის რეკორდსმენია რომან რურუა, რომელმაც ოთხჯერ მოიპოვა ჩემპიონის წოდება (1966, 1967, 1969 და 1970 წწ.). ევროპის პირველი ქართველი ჩემპიონია ომარ ბლიაძე, რომელმაც ეს ტიტული 1968 წელს მოიგო. იგი უძლიერესი იყო 1972 წელსაც.

ძალოსნობა. 1946 წელს პარიზში, ძალოსანთა ევროპის პირველობაზე, ბათუმელმა ვლადიმერ სვეტილკომ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ეს შედეგი მან 1950 წელსაც გაიმეორა. 1950 წელს პარიზში ევროპის ჩემპიონი გახდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი - რაფაელ ჩიმიშკიანი, რომელმაც შემდგომში კიდევ ხუთჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული (1951, 1954, 1955, 1956, 1957 წწ.). რ. ჩიმიშკიანი 1954 და 1955 წლებში მსოფლიო ჩემპიონატებზეც ოქროს მედლებს იგებს. ქართველ ძალოსანთა შესანიშნავი ტრადიცია გააგრძელა დიტო შენიძემ, რომელმაც სამჯერ ევროპის (1964, 1972, 1973 წწ.) და ორჯერ მსოფლიო ჩემპიონის (1969, 1973 წწ.) ტიტულები მოიპოვა.

მძლეოსნობა. 1946 წელს, ოსლოში ევროპის ჩემპიონი გახდა საქვეყნოდ აღიარებული ბადროს მტყორცნელი, თბილისელი ნინო დუმბაძე, რომელმაც მეორედ, 1950 წელს, ბრიუსელშიც იმარჯვა. ევროპის ჩემპიონატებზე რვა ოქროს მედალი აქვს მოპოვებული საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენს - ვიქტორ სანეევს (1969-1972, 1974-1977 წწ.). 1974 წელს რომში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ანატოლი მოშიაშვილმა (თარჯრბენი 110 მეტრზე).

კალათბურთი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დიდი წარმატება მოიპოვეს ქართველმა კალათბურთელებმა. 1948 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომლის ძირითად შემადგენლობაში თბილისის „დინამოს“ წევრები ნოდარ ჯორჯიკია და ოთარ ქორქია თამაშობდნენ. ოთარ ქორქიამ კიდევ ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული (1951, 1953 წწ.). 1954 წელს - ბელგრადში და 1956 წელს - პრაღაში ევროპის ჩემპიონი ხდება თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდის წევრი - ალისა ასიტაშვილი. იგი ერთადერთი ქალია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ევროპის ჩემპიონის ტიტულს ატარებს. სამჯერ გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე - გურამ მინაშვილმა (1957, 1961 და 1963 წწ.). ევროპის ოთხგზის ჩემპიონია ზურაბ საკანდელიძე (1965, 1967, 1969, 1971 წწ.).

1959 წელს სანტიაგოში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს გურამ მინაშვილმა და გურამ აბაშიძემ. 1967 წელს მსოფლიო ჩემპიონი ხდება ზურაბ საკანდელიძე, 1982 წელს კი - ნიკოლოზ დერიუგინი.

სამბო. საქართველოს სამბისტებმა პირველ დიდ წარმატებას 1973 წელს თეირანში მიაღწიეს, სადაც პირველად შეიკრიბნენ მსოფლიოს უძლიერესი სამბისტები. თეირანში შემთხვევით მოუხდა გამოსვლა ლევან თედიაშვილს, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო თავისუფალ ჭიდაობაში. სახელოვანმა ფალავანმა არც ამ ტურნირში შეირცხვინა თავი და ოქროს მედალი მოიპოვა. თეირანში ჩემპიონი გახდა მეორე ქართ-

ველი სამბისტი გენადი გიორგაძე. 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონი ხდება ივანე მაღალაშვილი. ორჯერ ზედიზედ - 1984 და 1985 წლებში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებს ეუფლება სოსუმელი სლავა ტერნოვიხი. 1987 და 1989 წლებში ასევე, ორჯერ ხდება მსოფლიო ჩემპიონი ჯემალ მჭედლიშვილი. 1990 წელს კი სამბისტების ოქროს მარაგს მალხაზ ბერუაშვილის უმაღლესი ჯილდოც ემატება. საქართველოს სამბისტების ღირსეული ტრადიცია გააგრძელა ვალერი პარუნაშვილმა, რომელმაც 1991 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა მძიმე წონის ათლეტებს შორის.

სასროლო სპორტი. პირველ დიდ წარმატებას საქართველოს სპორტსმენებმა ომის შემდგომ წლებში მიაღწიეს. 1948 წელს თბილისის დინამოელი ლ. ვაინშტეინი სსრ კავშირის ჩემპიონი ხდება, რომელმაც არაერთხელ გაიმეორა ეს წარმატება. ლევ ვაინშტეინი, რომელიც თბილისში დაიბადა და შემდეგ სანკტ-პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად, ორჯერ იყო ევროპისა და სამჯერ მსოფლიო ჩემპიონი (1954 და 1958 წლებში). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა ასევე თბილისში დაბადებული და შემდგომ როსტოვში გადასული ვლადიმერ დანილოვი. სხვადასხვა დროს სსრ კავშირის ჩემპიონები იყვნენ რ. ანანიკიანი, ლ. ლინიკოვი, ა. სტროვეი, ა. შამეკო, ვ. სალუქვაძე, ლ. შურული, გ. თავდიდიშვილი და სხვ. პირველი დიდი წარმატება საქართველოს მსროლელებიდან შოთა ქველიაშვილმა მოიპოვა. იგი ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი 1959 და 1969 წლებში. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია ქუთაისში დაბადებული ალექსანდრე გაზოვი, რომელიც შემდეგ მინსკში გადავიდა საცხოვრებლად. იგი ჩემპიონის ტიტულებს ფლობდა 1973, 1974 და 1979 წლებში. მაგრამ ქართველ სპორტსმენებში უდავოდ უძლიერესია ნინო სალუქვაძე. იგი მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი (1986, 1988 და 1991 წწ.), მსოფლიოს ექვსგზის რეკორდსმენი და ევროპის ათგზის ჩემპიონია (1987-1991 წლებში) ევროპის ჩემპიონის ტიტულს ატარებს სოსუმელი მარლენ პაპავა, რომელმაც საფრანგეთში იმარჯვა 1976 წ. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით გუნდურ

ასპარეზობაში ევროპის ჩემპიონები იყვნენ ბორის კოკორევი (1987 წ.) და ანდრეი დოლგოაროვი (1987 წ.).

დიდი ტრადიციები აქვს სასტენდო სროლას. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან საკავშირო სარბიელზე დიდი ავრორიტეტით სარგებლობდნენ ბ. ანტონოვი და ბ. მაჩხანელი. მომდევნო წლებში ტ. ჟრენტი და თ. იმნაიშვილი.

საქართველოს სპორტსმენებიდან პირველი ბორის ანტონოვია, რომელმაც ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სასტენდო სროლაში. იგი 1955 წელს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობდა ბუქარესტში. ყველაზე ტიტულოვანი ქართველ მესტენდურთა შორის არის ტარიელ ჟრენტი, რომელმაც სამ-სამჯერ იმარჯვა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე (1971-1974 წწ.). იგი სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობდა, რომელმაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. 1981 წელს პირად პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონი ხდება თბილისელი თამაზ იმნაიშვილი, რომელმაც 1984 და 1987 წლებში ოქროს მედლები მოიგო ევროპის ჩემპიონატებზეც. მაია გუბიევა ერთადერთი ქალია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონია სასტენდო სროლაში. მან ეს ტიტული 1990 წელს მოიპოვა. იმავე წელს მ. გუბიევამ ევროპის ჩემპიონატიც მოიგო.

1946-1991 წლებში წარმატებულად ასპარეზობდნენ ჩვენი ფეხბურთელები, ჩოგბურთელები, აკრობატები, ტანმოვარჯიშეები და განსაკუთრებით მოჭადრაკეები.

მიხეილ მესხი და გივი ჩოხელი, პირველი ქართველი ფეხბურთელები არიან, რომლებმაც 1960 წელს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 1981 წელს მოიპოვეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ოთარ გაბელია, ვლადიმერ გუცაევი, ვიტალი დარასელია, გია თავაძე, ნუკრი კაკილაშვილი, თამაზ კოსტავა, ზაურ სვანაძე, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ნოდარ ხიზანიშვილი და შოთა ხინჩაგაშვილი.

თხუთმეტგზის ევროპის ჩემპიონია ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, რომელმაც ერთეულთა და წყვილ-

თა თანრიგებში იმარჯვა 1970-1978 წლებში. ევროპის ჩემპიონატის შვიდ ოქროს მედალს ფლობს მეორე ქართული ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია (1974-1978 წწ.).

შთამბეჭდავ გამარჯვებებს მიაღწიეს ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა და აკრობატებმა. 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონი ხდება გალინა მინაიჩევა-შარაბიძე. ამავე წელს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ოქროს მედალს ეუფლება სერგო ჯაიანი. 1974 წელს საქართველოს კიდევ ორი ოქროს მედალი მოუტანეს მსოფლიო ჩემპიონებმა ნინა დრონოვამ და რუსუდან სიხარულიძემ. 1979 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულებს იგებენ მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლები - ირინე გაბაშვილი და ლალი დოლიძე. ტანმოვარჯიშეების წარმატებებს აგრძელებენ ჩვენი აკრობატები. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები 1980-1982 წლებში ხდებიან ნანა კიკილაშვილი, მანანა მნათობიშვილი, მაია შილაკაძე და სვეტლანა მკრტიჩიანი. 1988-1990 წლებში მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალებს იგებენ ევროპის ხუთგზის ჩემპიონები ნატალია ანისიმოვა და ინგა გიორგობიანი. 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონმა სვეტლანა მაკარიჩევამ ოთხჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება. 1990 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ხდება ირინა ოვოიანი. ასევე შთამბეჭდავია ჩვენი ბატუტისტების წარმატება. სამგზის ევროპის ჩემპიონმა რუსუდან ხოფერიამ მსოფლიო ჩემპიონატებზეც სამი ოქროს მედალი მოიპოვა. ევროპის ჩემპიონატების სამგზის გამარჯვებული ანა დოლონაძე 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონი ხდება.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულებს იგებენ მოფარიკავეები გურამ კოსტავა (1961 წ.), ნუგზარ ასათიანი (1963 წ.) და ვლადიმერ აფციანური (1982 წ.). 1965 წელს მსოფლიო ჩემპიონი ხდება ველოსიპედისტი ომარ ფხაკაძე. 1981 წელს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს იგებს მშვილდოსანი ქეთევან ლოსაბერიძე. 1990 წელს სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს იგებს თანამედროვე ხუთჭიდელი ვახტანგ იაგორაშვილი.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართველის მოჭადრაკე ქალები, რომელთაგან უპირველესია ნონა გაფ-

რინდაშვილი. იგი მსოფლიოს ხუთგზის (1962, 1965, 1969, 1972, 1975 წწ.) და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის თერთმეტგზის ჩემპიონია (1963, 1966, 1969, 1972, 1974, 1978, 1980, 1982, 1984, 1985 და 1991 წწ.). ნონა გაფრინდაშვილს ორჯერ (1969, 1972 წწ.) აქვს მოპოვებული ევროპის ჩემპიონთა თასი. მსოფლიოს ხუთგზის (1978, 1981, 1984, 1988 წწ.) და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ექვსგზის ჩემპიონია მაია ჩიბურდანიძე. ექვსგზის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონია ნანა ალექსანდრია, რომელსაც 1970 წელს მოგებული აქვს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. ნანა იოსელიანმა - სამჯერ, ვლენე ახმილოვსკაიამ და ნინო გურიელმა თითოჯერ მოიპოვეს საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონის წოდება.

სულ საქართველოს სპორტსმენებმა ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე 1946-1991 წლებში მოიპოვეს 276 ოქროს (172 ევროპის და 104 მსოფლიოს ჩემპიონატებზე), 126 ვერცხლის (77 ევროპის და 49 მსოფლიოს), 114 ბრინჯაოს (67 ევროპის, 47 მსოფლიოს) მედალი.

5.7. ფიზიკური აღზრდა და სპორტი დამოუკიდებლობის მეორედ მოპოვების შემდეგ (1992 წლიდან) ✦

ქართული სპორტის ისტორიაში 1992 წლიდან იწყება ახალი ერა. მე-20 საუკუნეში ჩვენმა ქვეყანამ მეორედ მოიპოვა დამოუკიდებლობა და შეუდგა დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობას. ჯერ კიდევ 1990-1991 წლებში იწყება სპორტის სხვადასხვა სახეებში ეროვნული ფედერაციების შექმნა. ჩვენ ქვეყანაში პირველად ფეხბურთი გამოეყო საკავშირო ფედერაციას და 1990 წლის 15 თებერვალს დააფუძნა საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია, თუმცა საერთაშორისო ფედერაციის - ფიფას წევრობა მხოლოდ 1992 წლის 3 ივლისიდან მიიღეს, მეორე სპორტის სახე, რომელმაც 1990 წელს დააფუძნა ეროვნული ფედერაცია იყო ხელბურთი, იგი 5 ივნისს შეიქმნა. სპორტის სხვა სახეობების ეროვნული ფედერაციები 1991 წელს შეიქმნა და მათი უმრავლესობა

საერთაშორისო სპორტული ფედერაციების წევრები გახდნენ 1992 წელს, რაც ამიერიდან გვაძლევდა შესაძლებლობას დამოუკიდებლად გვეასპარეზა ყველა დონის საერთაშორისო შეჯიბრებებში.

1993 წელს ჩვენმა სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატზე - 13, ხოლო მსოფლიოზე - 6 ოქროს მედალი მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონები გახდნენ ძიუდოსტები - დავით ხახალეიშვილი (რომელმაც მიიმე და აბსოლუტურ კატეგორიაში იმარჯვა) და ვლადიმერ დგებუაძე. თავისი მორიგი ოქროს მედალი მოიპოვა ძალოსანმა კახი კახიაშვილმა. ძლიერად იასპარეზეს ქართველმა მკლავჭიდებელმა, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე რვა უმაღლესი ჯილდო მოიგეს, იმავე წელს კი მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლები მოიპოვეს ზაურ ცხადაძემ და კობა თოღაძემ. სამბოში ჩვენ ქვეყანას მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა არჩილ ჩოხელი. ტრადიცია გააგრძელეს ჩვენმა აკრობატებმა და ოთხეულმა, რომლის შემადგენლობაში ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი და ივანე პაპოშვილი იყვნენ. ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს.

წარმატებული სვლა განაგრძეს ჩვენმა სპორტსმენებმა 1994 წელს. მათ ანგარიშზე მსოფლიო ჩემპიონატზე მოპოვებული 20 მედალი აღმოჩნდა (11 ოქრო, 5 ვერცხლი და 4 ბრინჯაო). ევროპის პირველობაზე კი ჩვენმა სპორტსმენებმა 26 მედალი მოიპოვეს (8 ოქრო, 7 ვერცხლი, 1 ბრინჯაო). კვლავ წარმატებით იასპარეზეს ქართველმა მკლავჭიდებელმა, რომლებმაც ევროპის პირველობაზე 7 ოქროს მედალი მოიპოვეს. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე მათ ნამდვილი სენსაცია მოახდინეს. თერთმეტი მკლავჭიდელიდან ცხრამ ოქროს მედალი მოიგო. კვლავ გაიბრწყინეს ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა, რომლებმაც მოსკოვში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაიკავეს. ჩვენი ქვეყნის ღირსებას მათა ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და ქეთევან არახამია იცავდნენ.

1995 წელს ევროპის ჩემპიონატზე რვა ოქროს მედალს იგებენ ქართველი მკლავჭიდელები. მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალს ეუფლება სამბისტი ჯონდო მუხაშვილი.

1996 წელს თავის პირველ ოქროს მედალს იგებს თავისუფალი სტილით მოჭიდავე სოხუმელი ელდარ კურტანიძე. ევროპის ჩემპიონები ხდებიან ძიუდოსტები დავით ხახალეიშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი და გიორგი რევაზიშვილი. კვლავ აგრძელებენ თავიანთ ტრიუმფალურ სვლას ქართველი მკლავჭიდელები. ამჯერადაც მათ ანგარიშზე მსოფლიო ჩემპიონის რვა უმაღლესი ჯილდოა. ისევ უძლიერესის სახელს იხვეჭენ ჩვენი მოჭადრაკე ქალები, რომლებიც ქ. ერევანში იგებენ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას. გუნდის შემადგენლობაში კვლავ მათა ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და ქეთევან არახამია იყვნენ. ზედიზედ მეორედ იგებს მსოფლიო ჩემპიონატს სამბისტი ჯონდო მუხაშვილი, ხოლო ძიუდოსტი დავით ხახალეიშვილი ამჯერად ჩემპიონი ხდება სამბოში. 1997 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულს ეუფლება მამუკა კურდღელაშვილი. ხოლო გიორგი ვაზაგაშვილი მეორედ ხდება ევროპის ჩემპიონი ძიუდოში. თავისუფალი სტილით მოჭიდავეები დავით პოდოსიანი და ელდარ კურტანიძე ასევე ევროპის ჩემპიონები ხდებიან. იმავე წელს ჩვენი მკლავჭიდელები ევროპის ჩემპიონატზე შვიდ ოქროს მედალს იგებენ.

1997 წელს ძალზე ძლიერად იასპარეზეს ჩვენი ქვეყნის სამბისტებმა, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს და პირად პირველობაში სუთმა სპორტსმენმა - ბადრი ჯანიაშვილმა, მამულა კურდღელაშვილმა, ჯონდო მუხაშვილმა, იოსებ ახალბედაშვილმა და დავით ხახალეიშვილმა ოქროს მედლები მოიპოვეს. ქართველ მოკრივეებში პირველმა გიორგი კანდელაკმა უნგრეთში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. სამი ოქროს მედალი მოიპოვეს ჩვენმა მკლავჭიდელებმა მსოფლიო ჩემპიონატზე (ი. გურჩიანი, ვ. სამხარაძე და დ. ჭელიძე).

1998 წელს ევროპის ჩემპიონატზე ჩემპიონები ხდებიან სამბისტები არჩილ ჩოხელი და გიორგი ახალბედიშვილი. კვლავ უძლიერესები არიან ევროპის არენაზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები დავით პოდოსიანი და ელდარ კურტანიძე. ძიუდოში იმარჯვებს ნესტორ ხერგიანი. ტრადიციულად ძლიერად გამოდიან მკლავჭიდელები, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე შვიდი

ოქროს მედალი ერგოთ. მსოფლიო ჩემპიონატზე კი მათ რვა უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს.

უზვმოსავლიანი იყო ქართველი სპორტსმენებისათვის 1999 წელი. ქართული სპორტის ისტორიაში პირველად ტაილანდურ კრივში მსოფლიო ჩემპიონი გახდა გიორგი ჩაკვეტაძე. ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სამბისტმა, ივანე გამხიტაშვილმა, რომელმაც მსოფლიო თასიც მოიგო. მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი გახდა ნინო სალუქვაძე, რომელმაც ჯერ სპორტული პისტოლეტით იმარჯვა მიუნხენში და შემდგომ მილანში პნევმატური იარაღით. განაგრძობენ თავიანთ გამარჯვებებს ქართველი მკლავჭიდელები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატში ხუთი ოქროს მედალი მოიპოვეს, მსოფლიოზე კი - ორი. სამბოში კვლავ ძლიერად გამოდის მამუკა კურდღელაშვილი, რომელმაც ესპანეთში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. 1999 წელს ჩვენთვის სპორტის ახალ სახეობა „სუმოში“ სცადა ბედი ლევან ებანოიძემ და აბსოლუტურ კატეგორიაში პირველად ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს მედალი მოიპოვა.

2000 წელს ევროპის ჩემპიონატზე პირველი ოქროს მედალი მოიპოვა თავისუფალი სტილით მოჭიდავემ ემზარ ბედინეიშვილმა. ხოლო ძალოსანმა გიორგი ასანიძემ ევროპის ჩემპიონობა მსოფლიო რეკორდით მოიგო. კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ეუფლებიან გიორგი ჩაკვეტაძე და შოთა ლომიძე. ევროპის ჩემპიონი ხდება სამბისტი ნიკოლოზ ბიბილაშვილი. ოდნავ დათმეს პოზიციები ჩვენმა მკლავჭიდელებმა, რომლებმაც „მხოლოდ“ ოთხი ევროპული ოქროს მედალი მოიპოვეს. 2001 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულს მესამედ ეუფლება თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძე. ზედიზედ მეორედ ხდება ევროპის ჩემპიონი ძალოსანი გიორგი ასანიძე. ოთხ პირველ ადგილს იკებენ ქართველი კიკბოქსინგის ოსტატები მსოფლიო ჩემპიონატზე საბერძნეთში, მათ შორის არის პირველი ქალი - ელენე ბოლაშვილი. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ალექსანდრე დოხტურიშვილმა.

2001 წელს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო ძალოსანმა გიორგი ასანიძემ და ბერძნულ-რომაული

სტილი მოჭიდავემ მუხრან ვახტანგაძემ.

2002 წელი კარგად დაიწყო ჩვენმა სპორტსმენებმა. ევროპის ჩემპიონატზე ფინეთში ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ბადრი ხასაიამ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). თურქეთში თავისი უპირატესობა დაამტკიცა გიორგი ასანიძემ, რომელმაც მესამედ მოიგო ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი. ქართველმა ძიუდოსტთა ნაკრებმა გუნდმა სლოვენიაში დაიკავა გუნდური I ადგილი ევროპის ჩემპიონატზე. მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი პირველი ოქროს მედალი მოიპოვა ელდარ კურტანიძემ, რომელმაც თეირანში ფინალური ორთაბრძოლა ირანელ ათლეტს მოუგო. ორი ოქროს მედალი მოიგო ყაზბეგელმა მკლავჭიდელმა მამუკა ფაჯიშვილმა მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

2003 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული ტაეკვანდოში მოიგო ზაზა ჭანტურია. თავისუფალ ჭიდაობაში კი იმარჯვა რევაზ მინდორაშვილმა. ზვიად ჩინჩალაძემ გააგრძელა სამბისტების ტრადიცია და ბულგარეთიდან ევროპის ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა. კვლავ გაიმარჯვა ძიუდოსტმა ნესტორ ხერგიანმა, რომელმაც მეორედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ზედიზედ მეორედ მოიგო მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი სოხუმელმა ელდარ კურტანიძემ. ის უძლიერესი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკში. მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ოზურგეთელმა მანუჩარ კვიციანიამ, ხოლო საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა.

სულ 1993 წლიდან 2003 წლის ჩათვლით, ქართველმა სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვეს 307 მედალი (103 ოქრო, 94 ვერცხლი, 110 ბრინჯაო). მსოფლიო ჩემპიონატზე კი - 216 (71 ოქრო, 59 ვერცხლი, 86 ბრინჯაო).

1993 წლამდე, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მის მუდმივ წევრად ცნო, საქართველო იყო სსრ კავშირის ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოლიმპიური მოძრაობა და ოლიმპიზმის იდეები უცხო იყო საქართველო-სათვის. მისი წარმომადგენლები იმ დროს მონაწილეობდნენ საბერძნეთისა და შავი ზღვისპირა სახელმწიფოებში გამართულ სპორტულ ასპარეზობებში, როცა ზოგ ქვეყნებს, სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშანწყალიც არ ჰქონდათ.

სპორტის ისტორიაში არის ცნობები იმის შესახებ, რომ ძველი საბერძნეთის ოლიმპიური თამაშების პარალელურად საქართველოშიც, კერძოდ ცხრაწყაროს მიდამოებში, ყოველ ოთხ წელიწადში ტარდებოდა სრულიად საქართველოს თამაშები ბერძნული ოლიმპიადის პროგრამით. ისტორიული წყაროები იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ სინოპელ ქართველებს - ეკლეკტასა და რუფუსს მესამე საუკუნეში ჩვენს ერამდე გაუმარჯვიათ ბერძნულ ოლიმპიადებში. პერმესის დიდ სპორტულ დღესასწაულებში, რომლის პროგრამაში მხოლოდ ერთი სახეობა — საშუალო მანძილზე რბენა შედიოდა, იმარჯვებდნენ ქუთაისელი და მესხი მორბენლები.

მას შემდეგ ოცდასამმა საუკუნემ განვლო და მხოლოდ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან საქართველოს სპორტსმენები კვლავ ოლიმპიური მოძრაობის აქტიური მონაწილეები ხდებიან.

სამწუხაროდ საქართველოს სპორტსმენებს 1952 წლამდე უფლება არ ჰქონდათ გამოსულიყვნენ ოლიმპიურ თამაშებზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დამოუკიდებლობა დაკარგული ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო და მხოლოდ მისი სახელით შეეძლო ეასპარეზა ყველა სახის საერთაშორისო შეჯიბრებებში.

1951 წლის 12 აპრილს შეიქმნა სსრკ-ის ოლიმპიური კომიტეტი. იმავე წლის 7 მაისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვენის სესიამ ოფიციალურად გააწევრიანა სსრკ-

ს ოლიმპიური კომიტეტი თავის შემადგენლობაში. 1951 წლის 15-16 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა ახლად შექმნილი ოლიმპიური კომიტეტის პირველი სესია, რომელმაც გადაწვიტა ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. იმავე წლის დეკემბერში ჰელსინკის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა მოსკოვიდან ოფიციალური განაცხადი მიიღო თამაშებში მონაწილეობის თაობაზე.

ამ თავში მოგიხსნებთ ყველა ოლიმპიური თამაშის შესახებ, რომლებშიც უასპარეზიათ საქართველოს წარმომადგენლებს.

XV ოლიმპიური თამაშები ჰელსინკი, 1952 წ., 19 ივლისი - 3 აგვისტო

ჰელსინკიში საქართველოდან 14 სპორტსმენი მონაწილეობდა. ისინი 9 სახეობაში ასპარეზობდნენ.

საქართველოს წარგზავნილებიდან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა მოჭიდავე დავით ციმაკურიძე. აღსანიშნავია, რომ სსრკ-დან თავისუფალი სტილით ჭიდაობაში სულ ორი სპორტსმენი გახდა ჩემპიონი და ორივე ქართველი იყო. თბილისელი - დავით ციმაკურიძე და მოსკოველი არსენ მეკოკიშვილი. დავით ციმაკურიძემ ოლიმპიური ტურნირი მარცხით დაიწყო, მაგრამ შემდეგ ყველა შეხვედრა მოიგო და ფინალში ირანელ ფალავანს გულამ-რეზა ტახტის დაუპირისპირდა. ჩვენმა მოჭიდავემ მაღალ დონეზე ჩაატარა ეს შეხვედრა და დაამარცხა მეტოქე.

პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან ქალთა შორის გახდა მედეა (მზია) ჯუღელი. იგი ასევე პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც ორი ოლიმპიური მედალი მოიპოვა.

ძალოსნობაში ბადალი არ ჰყავდა რაფაელ ჩიმიშკიანს. 21 ქვეყნის ოცდაორ ძალოსანთა შორის იგი პირველი იყო 60 კგ-მდე წონაში. რაფაელ ჩიმიშკიანმა ოლიმპიური ოქროს მედალი ახალი ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდით მოიგო. ვერცხლის მედალი ხვდა წილად მძლეოსან ლევან სანაძეს ესტაფეტაში 4x100 მეტრზე სირბილში.

კალათბურთელებმა ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ ვერცხლის მედლები მოიპოვეს. საბჭოთა ნაკრებმა ფინალში დათმო შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან. ბრინჯაოს მედლები მოიგეს ბადროს მტყორცნელმა ნინო დუმბაძემ და მორბენალმა ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილმა (200 მ).

1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა მოიპოვეს: 3 ოქროს, 3 ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედალი.

XVI ოლიმპიური თამაშები

მელბურნი, 1956 წ., 22 ნოემბერი - 8 დეკემბერი

ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისაგან განსხვავებით, მელბურნიში საქართველოს წარმომადგენლობა უფრო ნაკლები იყო - სულ 10 სპორტსმენი.

ორი ოქროს მედალი მოიპოვეს ქართველმა ფალაგნებმა. ირანელი მოჰამედ ხოჯესტეპურსა და თურქ ჰუსეინ აკბასთან უკომპრომისო ბრძოლაში გაიმარჯვა მირიან ცალქალამანიძემ და უმჩატეს წონაში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა.

ასევე ყველა მეტოქე დაამარცხა გივი კარტოზიამ და საშუალო წონაში პირველობას დაეუფლა. ბრინჯაოს მედლები მოიგეს მოჭიდავეებმა ვახტანგ ბალავაძემ, გიორგი სხირტლაძემ და რომან ძნელაძემ.

ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე იასპარეხა ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილმა და ამჯერადაც ბრინჯაოს მედალი მოიგო (სიგრძეზე ხტომაში).

მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები ერგოთ წყლის სახეების წარმომადგენლებს. ნოდარ გვახარიამ ამ წარმატებას სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში მიაღწია, ხოლო მოცურავე ბორის ნიკიტინმა — ესტაფეტაში 4x200 მეტრზე.

1956 წელს მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს: 2 ოქროს და 6 ბრინჯაოს მედალი.

XVII ოლიმპიური თამაშები

რომი, 1960 წ., 25 აგვისტო - 11 სექტემბერი

რომში ჩვენ რესპუბლიკიდან 16 სპორტსმენი გამოდიოდა, ისინი სპორტის შვიდი სახეობის წარმომადგენლები იყვნენ.

სენსაციად მოინათლა ქართველი მძლეოსნის - რობერტ შავლაყაძის გამარჯვება სიმაღლეზე ხტომაში. მიუხედავად იმისა, რომ მის გვერდით მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენები — ამერიკელი ჯონ ტომასი და რუსი ვალერი ბრუმელი გამოდიოდნენ, შავლაყაძე 216 სმ გადადებულ თამასას გადაეწვლო და პირველი მძლეოსანი გახდა ქართული სპორტის ისტორიაში, ვინც ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

საქართველოს მეორე ოქროს მედალი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავემ ავთანდილ ქორიძემ მოუტანა. იგი ქვესაშუალო წონით კატეგორიაში გამოდიოდა, სადაც მსოფლიოს 23 საუკეთესო ფალავანი იყო თავმოყრილი. ფინალურ ეტაპზე მან ჯერ შვეიცარიელი გ. ფრეი და შემდეგ იუგოსლაველი ბ. მარტინოვიჩი დაამარცხა და დამსახურებულად მოიპოვა უძლიერესის სახელი. სამწუხაროდ წინა ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა გივი კარტოზიამ რომში მესამე ადგილი დაიკავა, თუმცა აშკრად ფავორიტი იყო, რადგან მას ამ დროისათვის უკვე სამჯერ ჰქონდა მოგებული მსოფლიო პირველობა.

წყალბურთში ვერცხლის მედალი ერგოთ სსრ კავშირის ნაკრების წევრებს გივი ჩიქვანაიას და ლერი გოგოლაძეს. კვლავ მეორე ადგილზე გავიდა საბჭოთა კალათბურთელების გუნდი, რომლის შემადგენლობაში ვლადიმერ უგრეხელიძე და გურამ მინაშვილი გამოდიოდნენ. გიორგი სხირტლაძემ წააგო ფინალური ორთაბრძოლა თურქ ჰ. გიუნგერთან და წინა ოლიმპიადაზე აღებულ ბრინჯაოს, ვერცხლი მიუმატა.

მესამე ადგილზე გავიდა მოჭიდავე ვლადიმერ რუბაშვილი, რომლის წონაშიც (მჩატე წონა) მონაწილეთა ყველაზე მეტი რაოდენობა - 25 იყო.

ქართული ფარიკაობის ისტორიაში პირველი ოლიმპიური მედალი მოიპოვა გურამ კოსტავამ (ბრინჯაო). საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მან იმარჯვა დაშნით გუნდურ ასპარეზობაში.

ჩვენი ქვეყნის წარმოდგენლებმა მოიპოვეს: 2 ოქროს, 5 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი.

XVIII ოლიმპიური თამაშები **ტოკიო, 1964 წ., 10-24 ოქტომბერი**

ტოკიოს ოლიმპიადაზე სსრ კავშირის დელეგაციაში საქართველო სარეკორდო რიცხვით - 18 სპორტსმენით იყო წარდგენილი. ისინი სპორტის 11 სახეობაში ასპარეზობდნენ.

ნუგზარ ასათიანი პირველი ქართველი მოფარიკავეა, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში იგი ხმლით ასპარეზობდა და გადამწყვეტ ბრძოლაში იტალიელებთან სწორედ მისმა გამარჯვებამ მოუტანა ოქროს მედალი საბჭოთა ნაკრებს.

ვაჟა კაჭარავა დღეისათვის ერთადერთი ქართველი ფრენბურთელია, რომელიც ოქროს ოლიმპიურ მედალს და ჩემპიონის ტიტულს ატარებს.

ტრადიციულად, მეორენი იყვნენ ქართველი კალათბურთელები, რომელთა შემადგენლობაში ლევან მოსაშვილი თამაშობდა. ეს ქართველი კალათბურთისათვის მე-5 ვერცხლის ოლიმპიური მედალი იყო.

თითო ნაბიჯი დააკლდათ ჩემპიონობამდე სახელოვან მოჭიდავეებს: რომან რურუას და გურამ სადარაძეს, მათ ვერცხლის მედლები ერგოთ.

მსოფლიოს 18 ქვეყნის 30 სპორტსმენი გამოდიოდა 300 მეტრზე შაშხანით (3x40 გასროლა) სროლაში. უძლიერესთა ჭიდილში ვერცხლის მედალი მოიპოვა შოთა ქველიაშვილმა.

ტოკიოს ოლიმპიადაზე დებიუტი ჰქონდა სპორტის ახალ სახეობას - ძიუდოს, დებიუტანტებმა ანზორ კიკნაძემ და ფარნაოზ ჩიკვილაძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

კვლავ მესამე იყო გურამ კოსტავა, რომელმაც ამჯერად პირად პირველობაში შეძლო ბრინჯაოს მედლის მოპოვება დაშნით ფარიკაობაში.

საქართველოს წარგზავნილებმა ტოკიოში მოიპოვეს: 2 ოქროს, 4 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი.

XIX ოლიმპიური თამაშები **მენბიო, 1968 წ., 12-27 ოქტომბერი**

საქართველოს 14 სპორტსმენი იქნა შეყვანილი სსრ კავშირის დელეგაციაში. მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში ისინი სპორტის 9 სახეობაში გამოდიოდნენ.

კლასიკურ ჭიდაობაში - მჩატე წონაში ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი რომან რურუამ.

მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით გაიმარჯვა თბილისელმა ვიქტორ სანეევმა, რომელმაც სამხტომში 17,39 მეტრი უჩვენა.

მეორე ადგილზე გავიდა ქართველი ძალოსანი დიტო შანიძე. იგი რაფაელ ჩიმიშკიანის შემდეგ მეორე სპორტსმენი გახდა, ვინც საქართველოს მედალი მოუტანა ძალოსნობაში.

მეხიკოში მოჭიდავე შოთა ლომიძემ მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო თურქ ა. აიკთან და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამჯერად, საბჭოთა კალათბურთელები მესამე ადგილზე გავიდნენ. გუნდის შემადგენლობაში ზურაბ საკანდელიძე და სერგეი კოვალენკო იყვნენ.

მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს: 2 ოქროს, 2 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

XX ოლიმპიური თამაშები
მიუნჰენის. 1972 წ., 26 აგვისტო-11 სექტემბერი

მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან 16 სპორტსმენი ასპარეზობდა. ისინი სპორტის 12 სახის წარმომადგენლები იყვნენ.

ქართველი ოლიმპიელებისათვის მიუნხენის ოლიმპიური თამაშები ყველაზე უხემოსავლიანი გამოდგა.

თავისი მეორე ოქროს მედალი მოიპოვა ვიქტორ სანეევმა.

თავისუფალ ჭიდაობაში აშკარა იყო ლევან თედიაშვილის უპირატესობა, მან ფინალურ სტადიაში დამაჯერებლად მოუგო რუმინელ ვ. იორგის და ამერიკელ ჯ. პიტერსონს.

სენსაციად მონათლეს გორელი ძიუდოისტის შოთა ჩოჩიშვილის ოქროს მედალი, რომელიც მან ქვეშიძე წონაში მოიპოვა. სსრ კავშირის ნაკრების ექვსი წევრიდან მხოლოდ შოთა ჩოჩიშვილმა მიაღწია ასეთ წარმატებას. მესამე ადგილი წილად ხვდა ჩვენს შიშიძეწონოსანს გივი ონაშვილს, რომელმაც მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო მომავალ ჩემპიონთან.

პირველად საბჭოთა სპორტის ისტორიაში კალათბურთელმა ვაჟებმა ოლიმპიური ჩემპიონების ოქროს მედლები მოიპოვეს. ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია პირველი ქართველი კალათბურთელებია, რომლებსაც მკერდს ოლიმპიური ოქრო უმშვენებს.

მიუნჰენის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენებიდან მეექვსე ოქროს მედალი მოიპოვა ფოთელმა ნიხბოსანმა - ვიქტორ კრატასიუკმა. ორადგილიან ბაიდარებში ის მოსკოველ ნ. გორბაჩოვთან ერთად უძლიერესი იყო 25 ქვეყნის სპორტსმენებს შორის.

ძალოსნობაში დიტო შანიძემ მეორედ მოიპოვა ვერცხლის მედალი.

პირველი ოლიმპიური მედალი მოუტანა საქართველოს ველოსიპედისტებს მსოფლიო ჩემპიონმა ომარ ფხაკაძემ. სახელგანთქმულ ფრანგ სპრინტერებთან

დ. მორელონთან და გ. ტრანტენთან ჭიდილში მან III ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიგო.

პირველი მედლები მოიპოვეს ქართველმა ფეხბურთელებმაც, მურთაზ ხურციღავა და რევაზ ძოძუაშვილი ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ.

მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარგზავნილთა მონაგარი ასეთია: 6 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი.

XXI ოლიმპიური თამაშები
მონრეალი, 1976 წ., 17 ივლისი - 1 აგვისტო

მონრეალის ოლიმპიადაზე სსრ კავშირის შემადგენლობაში საქართველოდან 11 სპორტსმენი ასპარეზობდა. ამჯერად ისინი სპორტის 8 სახეობაში იბრძოდნენ ოლიმპიური ჯილდოებისათვის.

ვიქტორ სანეევმა სამმაგ ხტომაში ზედიზედ მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი.

თანაგუნდელს არც ლევან თედიაშვილი ჩამორჩა. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო.

საბჭოთა ხელბურთელთა ნაკრებმა, რომლის ძირითად შემადგენლობაში თბილისელი ალექსანდრე ანპილოვოვიც იყო, პირველად მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი. ქართველი ძიუდოისტი რამაზ ხარშილაძე ვერცხლის მედალს დასჯერდა.

პოზიციები დათმო მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა შოთა ჩოჩიშვილმა, ამჯერად ის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

თავისი მეორე ოლიმპიური მედალი, ამჯერად, ბრინჯაოსი, მოიპოვა კალათბურთელმა მიხეილ ქორქიამ.

ჩვენმა ათლეტებმა მოიპოვეს: 3 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი.

მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის 11 სახეობაში საქართველოდან 16 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ქეთევან ლოსაბერიძემ პირველმა სსრ კავშირისა და საქართველოს სპორტის ისტორიაში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება მშვილდოსნობაში.

ქართველ მოჭიდავეთა სახელოვანი ტრადიცია გააგრძელა ვახტანგ ბლაგიძემ, რომელმაც 52 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიგო.

მოსკოვის ოლიმპიადაზე ოქროს მედალს დაეუფლა ძიუდოსტი შოთა ხაბარელიძე.

თავის მეოთხე ოლიმპიადაზე გამოდიოდა უკვე სამგზის გამარჯვებული ვიქტორ სანეევი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მეორე ადგილზე გავიდა ქვემძიმე წონის ძიუდოსტი თემურ ხუბულური.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ხელბურთელმა ალექსანდრე ანპილოვოვმა.

ბრინჯაოს მედლები ერგოთ ფეხბურთელებს ა. ჩივაძეს, თ. სულაქველიძეს და რ. ჩელებაძეს.

ლიანა ცოტაძე პირველი ქართველი წყალში მსტომე-ლია, რომელმაც ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მესამე ადგილი ხვდა სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟებს, რომლის შემადგენლობაში ნიკოლოზ დერიუგინი გამოდიოდა.

მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლებმა მედლების 12 კომპლექტი მოიპოვეს. მათ შორის: 3 - ოქროს, 4 - ვერცხლის, 5 - ბრინჯაოს.

სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში საქართველოდან 16 სპორტსმენი იყო. ისინი სპორტის 14 სახეობაში გამოდიოდნენ.

საქართველოს სპორტსმენებიდან ტყვიის სროლაში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა ნინო სალუქვაძემ. იგი ჩემპიონი გახდა სპორტული პისტოლეტით სროლაში. აქვე ნინომ ვერცხლის მედალი მოიგო პნევმატური პისტოლეტით სროლაში.

თავისუფალი სტილით მოჭიდავემ, მძიმე წონაში, დავით გობეჯიშვილმა ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ვლადიმერ აფციური ქართველი მოფარიკავეებიდან მეორე სპორტსმენი (ნ. ასათიანის შემდეგ) გახდა, რომელმაც სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მოიგო გუნდური ასპარეზობა და ოქროს მედალი მოიპოვა. იგი რაპირაში გამოდიოდა.

გელა კეტაშვილი პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა.

მამაკაცებში პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ტანმოვარჯიშე ვლადიმერ გოგოლაძე.

საქართველოს სპორტს სეულის ოლიმპიადაზე მეორე ვერცხლის მედალი ლერი საბელოვმა მოუტანა.

ხუთი ბრინჯაოს მედალი ხვდათ ჩვენს სპორტსმენებს: ამირან ტოტიკაშვილს (ძიუდო), გიორგი თენაძეს (ძიუდო), ვახტანგ იაგორაშვილს (თანამედროვე ხუთჭიდი), მიხეილ გიორგაძეს (წყალბურთი) და მაია აზარაშვილს (მძლეოსნობა).

1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოდან წარგზავნილმა 16 სპორტსმენმა მოიპოვა: 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი.

¹ XXIII ოლიმპიურ თამაშებში სსრკ-ს ნაკრებს მონაწილეობა არ მიუღია

XXV ოლიმპიური თამაშები
ბარსელონა, 1992 წ., 25 ივლისი - 9 აგვისტო

ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე უკანასკნელად გამოდის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნაკრები - დამოუკიდებელი ქვეყნების გაერთიანებული გუნდის სახელწოდებით (დქგ) - ამჯერად საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში 12 სპორტსმენი სპორტის 11 სახეობაში ცდიდა ძალებს.

თავისი პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ძალოსანმა კახი კახიაშვილმა, ამჯერად ოქროს მედალი მოიპოვა წინა ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა - ლერი საბელიძემ.

ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა განაცვიფრა ძიუდოს სამყარო, მან ფინალამდე ყველა მეტოქეს, ქულებით მოუგო. ფინალში იაპონელი ნაოია ოგავა წმინდად დაამარცხა და ქართველი ძიუდოისტების ოლიმპიური ოქროს მედლები სამამდე გაზარდა.

პირველი ოლიმპიური მედალი ერგო ქართველ ჩოგბურთელს. ლეილა მესხმა ბელორუს ნატალია ზვერევასთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

პირველი ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი მოუტანა ქართულ კრივს რამაზ ფალიანმა.

ხათუნა ქვრივიშვილი მეორე ქართველი მშვილდოსანი ქალია, რომელმაც ქ. ლოსაბერიძის ოქროს შემდეგ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ბარსელონას 1992 წლის თამაშებზე საქართველოს სპორტსმენებს 8 მედალი ერგოთ, აქედან: 3 ოქრო და 5 ბრინჯაო.

XXVI ოლიმპიური თამაშები
ატლანტა, 1996 წ., 19 ივლისი - 4 აგვისტო

პირველად ქართული ოლიმპიური სპორტის ისტორიაში საქართველომ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი გუნდით მიიღო მონაწილეობა. ჩვენი ქვეყნის

დელეგაცია რაოდენობრივად სარეკორდო იყო ყველა დანარჩენი ოლიმპიური თამაშებისაგან განსხვავებით. 36 სპორტსმენი სპორტის 15 სახეობას წარმოადგენდა.

სამწუხაროდ მხოლოდ ორმა სპორტსმენმა შეძლო ოლიმპიური მედლის მოპოვება.

ელდარ კურტანიძე პირველ წრეში წმინდად დაამარცხა ბულგარელი კოლოიან ბაევი, მაგრამ მეორე წრეში მოულოდნელად დამარცხდა კორეელ იკ-ჰიკიმთან და მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ოთხ შეხვედრას დიდი უპირატესობით იგებს, III ადგილზე გადის და ბრინჯაოს მედალს იღებს.

სოსო ლიპარტელიანმაც თავისი გამოსვლა წმინდა მოგებით დაიწყო და მეორე წრეში შეხვდა კანადელ მორგანს. მოულოდნელად იპონით მარცხდება და დამამშვიდებელ ჯგუფში აღმოჩნდა. მან აქ სამი შეხვედრა ზედიზედ წმინდად მოიგო და მესამე ადგილისათვის 18 წამში ასევე წმინდად დაამარცხა გერმანელი შტეფან დოსტი და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ატლანტის ოლიმპიადა იყო ერთადერთი, სადაც საქართველოს წარგზავნილებმა ოქროსა და ვერცხლის მედალი ვერ მოიპოვეს.

XXVII ოლიმპიური თამაშები
სიდნეი, 2000 წ., 15 სექტემბერი - 1 ოქტომბერი

როგორც ატლანტაში, სიდნეიშიც საქართველოს სპორტული დელეგაცია წარმოდგენილი იყო 36 სპორტსმენით. ისინი სპორტის 13 სახეობაში ასპარეზობდნენ.

ატლანტის ოლიმპიადასთან შედარებით სიდნეიში სპორტსმენები უკეთ გამოვიდნენ და მათ ექვსი მედალი მოიპოვეს, რომელთაგან ოთხი მოჭიდავეებზე მოდის და თითოც კრივსა და ძალოსნობაზე.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები ხვდათ აკაკი ჩაჩუას და მუხრან ვახტანგაძეს.

ძიუდოში ბრინჯაოს მედალი ხედა გიორგი ვაზაგაშვილს.

მძიმე ბრძოლები გადახდა ელდარ კურტანიძეს. სიდნეის ოლიმპიურ სარბიელზე იგი მსოფლიოს ოთხ ჩემპიონსა და პრიზიორს დაუპირისპირდა და საბოლოოდ მესამე ადგილისათვის ბრძოლა პოლონელ გარმულევიჩს მოუგო და მასაც ბრინჯაოს მედალი ერგო.

სიურპრიზი იყო ფოთელი მოკრივის ვლადიმერ ჭანტურიას გამოსვლა სიდნეის რინგზე. მეოთხედ ფინალში ჩვენმა მოკრივემ მსოფლიო ჩემპიონს უზბეკ რუსლან ჩაგაევს სძლია და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

დასანანი იყო ძალოსან გიორგი ასანიძის მესამე ადგილი. სამმა სპორტსმენმა ორჭიდის ჯამში 390-390 კგ დააგროვეს და გ ასანიძე, რომელიც 64 გრამით მძიმე იყო გამარჯვებული ბერძენ პიროს დიმასზე და 48 გრამით გერმანელ მარკ ჰუსტერზე, მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

რიგით მეორე ოლიმპიადა ქართველებისათვის ექვსი ბრინჯაოს მედლის მოპოვებით დამთავრდა.

XVIII ოლიმპიური თამაშები **ათენი, 2004 წ., 13-29 აგვისტო**

ათენში საქართველოს სპორტული დელეგაცია 33 სპორტსმენით იყო წარდგენილი. ისინი სპორტის 13 სახეობაში ასპარეზობდნენ.

საქართველომ პირველად, დამოუკიდებლობის პერიოდში. ოქროს მედალი მოიპოვა. წინა ოლიმპიადებთან შედარებით, ათენში საქართველოს წარგზავნილებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და ქვეყანას ორი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოუტანეს.

ოლიმპიადის ტრიუმფატორები – ზვიად ზვიადაური და გიორგი ასანიძე სამუდამოდ შევიდნენ ქართული სპორტის ისტორიაში. ჩვენს სამშობლოს ორი ოლიმპიური ჩემპიონი მოველინა, რომლებმაც მსოფლიოს ოთხ მილიარდზე მეტ ტელემაყურებელს მოასმენინეს საქართველოს ეროვნული ჰიმნი და ზეადმართეს ხუთჯვრიანი დროშა. ასევე გმირები

არიან „ათენი-2004“-ის ვერცხლის მედალოსნები – ნესტორ ხერგიანი და რამაზ ნოზაძე.

სულ ათენის ოლიმპიურ თამაშებში მსოფლიოს 202 ქვეყანა მონაწილეობდა და საქართველომ მედლების ხარისხით 32-ე ადგილი დაიკავა. ამ მაჩვენებლით მან უკან ჩამოიტოვა 170 ქვეყანა. მათ შორის ისეთები, როგორებიცაა: ბულგარეთი, დანია, არგენტინა, ჩეხეთი, ბელგია, ისრაელი, მექსიკა, პორტუგალია, ფინეთი, ინდოეთი, შვეიცარია და სხვ.

ელადის მიწაზე გამართულმა თამაშებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართული ჯიში და გენი დაუმარცხებელია და ჩემპიონების სამჭედლო კვლავაც მსოფლიო სპორტის ავანგარდში დგას.

7.1. საქართველოს სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე

ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით ძალზე მოკრძალებულია ქართველი სპორტსმენების შედეგები ზამთრის ოლიმპიურ ასპარეზზე.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებიდან ზამთრის ოლიმპიური თამაშების არენა პირველად კობა წაქაძემ მოსინჯა. იგი ერთადერთი სპორტსმენია საქართველოდან, რომელიც მონაწილეობდა ოლიმპიადებში სსრ კავშირის ნაკრების სახელით. 1952 წლიდან 1972 წლის ჩათვლით კობა წაქაძემ მომწილეობა მიიღო ოთხ ოლიმპიადაში (1956 წელს კორტინა დამპეცოში, 1960 წელს სკო-ველში, 1964 წელს ინსბრუკში და 1972 წელს საპოროში).

1994 წლიდან უკვე დამოუკიდებლობა აღდგენილმა საქართველომ ცალკე გუნდად მიიღო მინაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში და ლილეჰამერის XVII თამაშებში გამოვიდნენ: ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი (სამთო სათხილამურო სპორტი), ლაშა ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი (ორადგილიანი ციკა).

ქართველებისათვის მეორე ოლიმპიური თამაშები, რომელიც 1998 წელს იაპონიის ქ. ნაგანოში ჩატარდა, კვლავ ოთხი სპორტსმენის მივლინებით შემოიფარგლა: სოფიო

ახმეტელი, ზურაბ ჯიჯიშვილი და ლევან აბრამიშვილი (სამთო-სათხილამურო სპორტი), კახა წაქაძე (ტრამპლინიდან ხტომა).

2002 წელს სოლტ ლეიკ სიტის XIX თამაშებზე საქართველოდან წარგზავნილ იქნენ: სოფიო ახმეტელი და რობერტ მახარაშვილი (სამთო-სათხილამურო სპორტი), კახა წაქაძე (ტრამპლინიდან ხტომა) და ვახტანგ მურვანიძე (ფიგურული ციგურაობა).

როგორც ვნახეთ, ზამთრის ოლიმპიური თამაშებში ოთხ ოლიმპიადაზე იასპარეზა ბაკურიანელმა კობა წაქაძემ. მისმა ვაჟმა კახამ, ისევე, როგორც ზურაბ ჯიჯიშვილმა და სოფიო ახმეტელმა, ორ ოლიმპიადაზე იასპარეზა. სამი ოლიმპიური თამაშების მონაწილეა ლევან აბრამიშვილი.

ამ სპორტსმენებიდან ყველაზე საუკეთესო ადგილი ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული აქვს კობა წაქაძეს, რომელმაც 1960 წელს სკო-ველის VIII და 1972 წელს საპოროს XI ოლიმპიადაზე ერთნაირი - მეცხრე შედეგი უჩვენა.

საქართველოს სპორტსმენების მიერ მოპოვებული მედლები ოლიმპიურ თამაშებზე (1952-2004 წწ.)

№	სპორტის სახეობა	სულ	მედლები		
			ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
1.	თავისუფალი ჭიდაობა	16	6	4	6
2.	ძიუდო	14	4	3	9
3.	კალათბურთი	13	2	7	4
4.	ბერძნულ-რომაული ჭიდაობა	12	4	2	6
5.	მძლეოსნობა	9	4	1	4
6.	ფეხბურთი	6	1	-	5
7.	ძალოსნობა	6	3	2	1
8.	ფარიკაობა	4	2	-	2
9.	წყალბურთი	4	-	2	2
10.	ტყ. სროლა	3	1	2	-
11.	ტანვარჯიში	3	2	1	-
12.	ხელბურთი	2	1	1	-
13.	კრივი	2	-	-	2
14.	მშვილდოსნობა	2	1	-	1
15.	ველოსპორტი (ტრეკი)	1	-	-	1
16.	თანამედროვე ხუთჭიდი	1	-	-	1
17.	ნიჩბოსნობა	1	1	-	-
18.	ფრენბურთი	1	1	-	-
19.	ჩოგბურთი	1	-	-	1
20.	ცურვა	1	-	-	1
21.	წყალში ხტომა	1	-	-	1
		205	33	25	47

საქართველოში სპორტის თავგადაცემები და მათი მოღვაწეობის პერიოდი

თედო სხირტლაძე	1939-1946	წწ.
ალექსანდრე ფარულავა	1946-1952	წწ.
ბორის კვინიკიძე	1952-1954	წწ.
გიორგი სიხარულიძე	1954-1972	წწ.
ფილიპე მახარაძე	1972-1978	წწ.
დავით პირტენავა	1978-1982	წწ.
რამაზ გოგლიძე	1982-1986	წწ.
ნუგზარ ენდელაძე	1986-1991	წწ.
კახი ასათიანი	1991-2000	წწ.
ირაკლი მეძმარიაშვილი	2000	წლიდან

თავი VIII. საერთაშორისო და საქართველოს
სპორტული ფედერაციები

აფროსნობა - აფროსნობის საერთაშორისო კავშირი (YRU) შეიქმნა 1907 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 115 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.
საქართველოს აფროსნობის ფედერაცია შეიქმნა 1991 წელს და საერთაშორისო კავშირის წევრი გახდა 1992 წელს.

საქართველოს აფროსნობის ფედერაციის პრეზიდენტია გურამ ბიგანიშვილი.

ბადმინტონი - ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაცია (IBF) შეიქმნა 1934 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 130 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ბადმინტონის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 19 ივლისს. 1992 წლიდან არის HIF-ის წევრი.

საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის პრეზიდენტია ანატოლი დავიდოვი.

ბალახის ჰოკეი - ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია (HIF) შეიქმნა 1924 წ.

საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაცია შეიქმნა 1992 წლის 12 თებერვალს. 1996 წლიდან არის HIF-ის წევრი.

საქართველოს ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტია გიორგი ჩარკვიანი.

ბეისბოლი - ბეისბოლის საერთაშორისო ფედერაცია (IBF) შეიქმნა 1921 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 104 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ბეისბოლის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 2 ივლისს. 1992 წლის 18 თებერვლიდან IBF-ის წევრია.

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტია რამაზ გოგლიძე.

ფრენბურთი - ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია (FIVB) შეიქმნა 1947 წელს. პლაჟის ფრენბურთმა

ოფიციალური სტატუსი მიიღო 1986 წ. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია 220 ქვეყანა.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 28 თებერვალს. 1991 წლის დეკემბრიდან IV -ს წევრია. იგი ასევე თავის რიგებში აერთიანებს პლაჟის ფრენბურთს.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტია ლევან ახვლედიანი.

ველოსპორტი - ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი (UCI) შეიქმნა 1900 წელს და ერთიანებს მსოფლიოს 167 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაცია დაფუძნდა 1992 წლის 13 მარტს. 1993 წლიდან არის UCI-ის წევრი.

საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტია ბესარიონ ნადირაძე.

თანამედროვე ხუთჭიდი - თანამედროვე ხუთჭიდსა და ბაიტლონის საერთაშორისო ფედერაცია (UIPMB) შეიქმნა 1948 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 44 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 30 მაისს. 1992 წლის ოქტომბრიდან UIPMB -ს წევრია.

2003 წელს დამოუკიდებლად დაფუძნდა თანამედროვე ხუთჭიდის და ტრიატლონის ფედერაცია.

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის და ტრიატლონის ფედერაციის პრეზიდენტია ვალერიან როგავა.

კალათბურთი - კალათბურთის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაცია (FIBA) შეიქმნა 1932 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 208 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 4 ივნისს. 1992 წლის 10 ივლისიდან FIBA -ს წევრია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი.

კრივი - 1946 წელს შეიქმნა სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაცია (AIBA) აერთიანებს მსოფლიოს 188 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს კრივის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 16 ივნისს. 1992 წლიდან AIBA -ს წევრია.

საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტია გიორგი კანდელაკი.

მშვილდოსნობა -- მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FITA) შეიქმნა 1931 წელს.

საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაცია შეიქმნა 1991 წელს 1 ივნისს.

2002 წელს დაფუძნდა საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაცია.

1992 წლის 23 სექტემბიდან მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია ქეთევან ლოსაბერიძე.

მძლეოსნობა - მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF) შეიქმნა 1912 წელს და ერთიანებს მსოფლიოს 211 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 30 აპრილს. 1992 წლის 30 მაისიდან IAAF -ის წევრია.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია თამაზ მდინარაძე.

ტყვიის სროლა - სროლის ნაციონალური ფედერაციებისა და ასოციაციების საერთაშორისო კავშირი (UIT) შეიქმნა 1907 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 148 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს სროლის ფედერაციის პრეზიდენტია ვახტანგ ქუთათელაძე.

ტანვარჯიში - ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივნისს. საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია 1992 წლის 18 ივლისიდან FIG-ის წევრია. მის შემადგენლობაში შედის მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა და ბატუტი.

საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტია ომარ ლონდაძე.

ფარიკაობა - ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია (FIE) შეიქმნა 1913 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 97 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 27 ივნისს. 1992 წლის 7 ივნისიდან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტია არჩილ გოგელია.

ფეხბურთი — ფეხბურთის ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია (FIFA) შეიქმნა 1904 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 204 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1990 წლის 15 თებერვალს. 1992 წლის 3 ივლისიდან FIFA-ს წევრია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია მერაბ ჟორდანიანი.

ჩოგბურთი — ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) შეიქმნა 1913 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 190 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციებს.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია შეიქმნა 1991 წლის 7 ივლისს. 1993 წლიდან ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტია ლეილა მესხი.

მაგიდის ჩოგბურთი - მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა 1926 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 116 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოში მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 19 ივლისს. 1992 წლის 15 სექტემბრიდან მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტია კობა ძლიერიშვილი.

ცურვა - მოყვარულ მოცურავეთა საერთაშორისო ფედერაცია (FINA) შეიქმნა 1908 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 155 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს სპორტის საწყალოსნო სახეობათა ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 აგვისტოს. 1992 წლის 24 ივლისიდან მოყვარულ მოცურავეთა საერთაშორისო ფედერაციის წევრია. საქართველოს სპორტის ფედერაციის სახეობათა ფედერაციის შემადგენლობაში შედის სინქრონული ცურვა, წყალბურთი და წყალში ხტომა.

საქართველოს სპორტის საწყალოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტია ვლადიმერ გოიაშვილი.

ცხენოსნობა - ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (FEI) შეიქმნა 1921 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 114 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 30 მაისს. 1992 წლის ოქტომბრიდან არის ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრი. 2003 წლიდან თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია გავიდა ცალკე ფედერაციად.

საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია თენგიზ აბულაძე.

ძალოსნობა - ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IWF) შეიქმნა 1913 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 159 ქვეყნის ეროვნულ ფედერაციას.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 1 ივლისს. 1993 წლის 1 ივნისიდან ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია დავით ბეჟუაშვილი.

ძიუდო - ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია (IJF) დაარსდა 1951 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 175 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 3 ივნისს. 1993 წლის მაისიდან IJF - ის წევრია.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტია დილარ ხაბუღიანი.

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - მოყვარულ მოჭიდავეთა საერთაშორისო ფედერაცია (FILA) შეიქმნა 1912 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 132 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 22 მაისს. 1992 წლის 2 აგვისტოს გახდა FILA წევრი. 1993 წლის 14 იანვარს შეიქმნა გაერთიანებული ფედერაცია, რომელშიც ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა გაერთიანდა.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტია გოჩა ძასოხოვი.

ხელბურთი - ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია (IHF) შეიქმნა 1928 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 136 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ხელბურთის ფედერაცია შეიქმნა 1990 წლის 5 ივნისს. 1996 წლიდან IHF-ის წევრია.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტია თენგიზ გაზდელიანი.

სოფტბოლი — სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაცია (ISF) შეიქმნა 1952 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 101 ქვეყანას.

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 2 ივლისს. 1992 წლის 18 თებერვლიდან სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის წევრია.

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე.

ტაეკვანდო - ტაეკვანდოს საერთაშორისო ფედერაცია (WTF) შეიქმნა 1973 წელს და აერთიანებს მსოფლიოს 67 ქვეყნის ნაციონალურ ფედერაციას.

საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაცია დაფუძნდა 1993 წელს. 1995 წლიდან WTF-ის წევრია.

საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტი კონსტანტინე გედევანიშვილი.

ტრიატლონის - ტრიატლონის საერთაშორისო ფედერაცია (ITL) შეიქმნა 1995 წელს.

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ფედერაცია დაფუძნდა 2003 წლის 26 თებერვალ და გახდა ITL-ის წევრი.

საქართველოს ხუთჭიდისა და ტრიატლონის ფედერაციის პრეზიდენტი ვალერიან როგავა.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. ასათიანი კ., ახვლედიანი შ. - საქართველოს სპორტსმენები საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე. ქართულ-კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1993 წ., 126 გვ.
2. ახვლედიანი შ., ბაგრატიონი ჯ., გუგუშვილი ნ. - სპორტი საქართველოში. საბჭოთა საქართველო. თბილისი - 1981 წ. 605 გვ.
3. გორგაძე მ. ფიზიკური კულტურის ისტორია. განათლება, თბილისი, 1965 წ., 268 გვ.
4. ოლიმპიური ენციკლოპედია. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია. სამშობლო, თბილისი, 1997 წ.
5. ოლიმპიური ჩემპიონები. გ. აკოფოვი, შ. ახვლედიანი. თბილისი, 1991 წ., „სვობოდნაია გრუზია“.
6. დოკვაძე ა. ფიზიკურული მოძრაობის მართვის ორგანიზაცია. „განათლება“. თბილისი - 1986 წ., 192 გვ.
7. ქართული პედაგოგიკის ისტორია. განათლება. თბილისი - 1974 წ., 288 გვ.
8. შერაზადაშვილი ზ. ფიზიკური აღზრდა საქართველის სკოლებში (1900-1917 წწ.). განათლება. თბილისი-1967 წ., 244 გვ.
9. ციბაძე ა. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია. თბილისი, 1991 წ., 82 გვ.
10. ციბაძე ა. ქართული საბჭოთა სპორტის ქრონიკები. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი - 1884 წ.
11. ძაგანია გ. ოლიმპიური თამაშები. გლობალ-პრინტი. თბილისი, 2003 წ., 240 გვ.
12. Кун Л. Всеобщая история физической культуры и спорта. - М., «Радуга», 1982.
14. Пономарёв Н.И. Возникновение и первоначальное развитие физического воспитания. - М.: ФиС, 1970.
15. Твой Олимпийский учебник (Отв. редактор Родиченко В.С.), 3-е дополненное издание. - М.: «Советский спорт», 1999.
16. The Olympic Spirit, 100 years of Games. Tehabi Books, 1995, 180 p.
17. The Olympic Center. Vol. 1-23. IOC, the USOC and WSRP. World Sport Research and Publications, 2000.

გამომცემლობის რედაქტორი ნ. გორჯელაძე

კორექტორი

ხელმოწერილია დასაბეჭდად

საბეჭდო ქაღალდი

პირ. ნაბეჭდი თაბახი

საადრ. - საგამომც. თაბახი

შეკვეთა №

ტირაჟი

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

საქართველო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის
სტამბა